დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
ასავალ დასავალი
2022 წლის 4 - 10 აპრილი
N 15 1427
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# არ არის, 2 არ არის

## კობა არაბული: ეს ომი ჩვენი საბრძოლველი!




სააკაშვილ-ზელენსკის ანტიქართული შეთქმულება გაშიფრულია!



УКРАЇНСЬКА ПРАВОСЛАВНА ЦЕРКВ...
КИЇВСЬКИЙ ПАТРІА...
Патріарх Київський і всієї Руси-...
вул. Пушкінська, 36
м. Київ 01004, Україна
"5" 01 201_р. N 3910

У К А З

...а заслуги з відродження духовності в Україні та ...вердження Помісної Української Православної Церкви – нагородити БАЧАНА АХАЛАЙЯ Орденом Святого Юрія Переможця.

ПАТРІАРХ КИЇВСЬКИЙ
І ВСІЄЇ РУСИ-УКРАЇНИ

4

8 ბაიდენი ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის წინაალმდეგ 88 მილიონ დოლარს გამოყოფს!

ნორმატიული ქიტლაყი სააკაშვილისათვის

ასო-ებს აძლევდნენ! ასო-ებს აძლევენ!

## ორი უწმინდესი და ორი უწმინდური




9 ამ ფულის დიდი ნაწილი, როგორც ყოველთვის, კოლექტიური ეკა გიგაურისა და კოლექტიური თამარ კინწურაშვილის ჟულაბაში ჩაჩხრიალდება!



14

## ძირს ბიბილოვის რეფერენდუმი!






26 მიაღწევს თუ არა დავით გურამიშვილის საფლავი მირგოროდში მისი გარდაცვალებიდან 230-ე წლისთავს?




16

## თინათინ გოცაძე:




თქვენ შესაძლოა, ფესტივალებისას ისე აგცრან, რომ ამის შესახებ არც არაფერი იცოდეთ!

## რობერტ ოდიკაძე: გვირაბი შუქის 6 ბოლოს

# არ არის, არ არის ეს ომი ჩვენი საბრძოლველი!




***მას შემდეგ, რაც რუსეთ-უკრაინას შორის ომი გაჩაღდა, საზოგადოებაში ბუნებრივად გაჩნდა კითხვა — ვისია ეს ომი და უნდა იბრძოლონ თუ არა ამ ომში ქართველებმა? და, საერთოდ, რისი მიღწევა სურს უკრაინის პრეზიდენტს საქართველოს ხელისუფლების კრიტიკით?! პოეტი, მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ეთნოკულტურათა მკვლევარი კობა არაბული ამ და სხვა მნიშვნელოვან შეკითხვებს ჩვეული პირდაპირობით პასუხობს:***

— ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ვთქვი — ზელენსკი უკრაინის სააკაშვილია, ამ ქვეყანას რუსეთისა და ნატოს საომარ პოლიგონად აქცევს-მეთქი. აქცია კიდეც — 2008 წელს დადგმული სააკაშვილის სპექტაკლის კოპირება მოახდინა. ხელი შეუწყო ომის პროვოცირებას და ახლაც აგრძელებს ამ პროცესს! **იმაზე დიდი არამზადა გამოდგა, ვიდრე მეგონა. ჯიუტად ცდილობს ამ ომში საქართველოს ჩათრევას, ანუ მის დაღუპვას!**

ქართველი ხალხის მტრობის დასტურია კრიმინალი ნაცებისა და სააკაშვილის ბანდის კონცენტრირება მის ხელისუფლებაში. საქართველოდან მართლმსაჯულებას გაქცეული მკვლელი-კრიმინალები ქვეყნის ლიდერებად აქცია, რამაც ეს დიდებული ქვეყანა კოლაფსამდე მიიყვანა.

ვინ არის ზელენსკი, ვინ მისცა იმის ნება ან თავხედობა, რომ ასე შეურაცხყოფდეს ქართულ სახელმწიფოსა და მის ხელისუფლებას, რომელიც თან გადაჰყვა უკრაინელებს? რატომ ვიბითურებთ თავს?! დღეს ჩვენ უნდა ვიწვევდეთ ელჩს უკრაინიდან და არა ის ტუტუცი ზელენსკი!

***— ფიქრობთ, მკაცრი განცხადებებით უნდა უპასუხოს საქართველოს ხელისუფლებამ ზელენსკის მიერ უკრაინის ელჩის გაწვევას?***

— დიახ, თავადაც უნდა გამოიწვიონ ელჩი და გაწყვიტონ დიპლომატიური კავშირი უკრაინასთან! ჩვენმა ხელისუფლებამ დროზე უნდა მოსთხოვოს ზელენსკის ქართველი კრიმინალების გადმოცემაც.

**პირადად ჩემთვის და საზოგადოებისთვის გაუგებარია, რა ვალი გვაქვს ასეთი უკრაინის, ამ მონური თმენის რეჟიმში რომ დავიყენეთ თავი?!**

რატომ ვართ ჩვენ, ქართველი ხალხი, ერი და ხელისუფლება „ნაცარშეყრილი და ფქვილშეყრილი“ გარე და შიდა მტრების მიერ ერთდროულად? **რატომ ვარჩევთ დუმილს, როცა ჩვენ გარშემო ჭაობის სინდრომს ქმნიან, ჩრჩილს უჩენენ ერის მენტალობას, ფუნაგორიებივით ქექავენ ნაგავს და ამ ნაგავში გვაცხოვრებენ?!**

## რატომ არავინ გამოჩნდა მაგათთვის „ხლოროფოსის“ მიმსხმელი ან „დუსტის“ მიმყრელი?!

სად არის სახელმწიფოს გადარჩენის, ერის დაცვის კრიტერიუმები?! სად არის ეროვნული დაცვის ძალა, ღია თუ დახურული კონცეფცია?! რა მოდელი გვაქვს კრიზისული სიტუაციიდან გამომყვანი?! **ვინ არიან ზელენსკები, დანილოვები და მისთანანი, რა უნდათ და რას უქადიან ქართველ ხალხს?!**

ამავე კონტექსტში, აქვე უნდა ვიკითხოთ, რამდენ ხანს შეიძლება, უსმინოს ერმა გისოსებში გამომწყვდეული სააკაშვილის ლაყბობას, მის შეურაცხყოფას სახელმწიფოს, სასამართლოს, ეკლესიის მიმართ? რა თმენის ვალდებულებაა ეს, კრიმინალი მსჯავრდებულის შეურაცხყოფას რომ უსმენს მთელი ქვეყანა, ლამის მთელი მსოფლიო?!

**რისთვის იბრძვიან დეკანოიძეები, ადეიშვილები, ხაბეიშვილები, მერაბიშვილები, ცისკარიშვილები და სხვანი, ზელენსკის უშიშროების საბჭოს სხდომებს რომ ესწრებიან და საკუთარი ქვეყნის უშიშროებას ძირს უთხრიან?!** სად არის სახელმწიფოს ნება, კანონისა და „სამართლის ხელი“? ეტყობა, ძნელია ეს ობოლი, დაუცველი ერისთვის და მისი ხელისუფლებისთვის ამდენი მასონი და ჭკუის დამრიგებელი რომ ადგას თავზე, ამდენი მენტორი რომ კარნახობს რაღაცას.

ძნელია, მაგრამ მოდით, ვუთხრათ სიმართლე მსოფლიოს. წარმოუდგენელია ამდენ ტყუილში და სიცრუეში ერის ცხოვრება! ვინ არის რუსეთი, ვინ არის უკრაინა, ვისია ეს ძმათამკვლელი, სისხლიანი ომი უკრაინაში? უკრაინა-რუსეთის თუ რუსეთის და მასონური ულტრალიბერალური სამყაროსი?! **ვინ აქცია უკრაინის მიწა ომის პოლიგონად? რა ვალი და ვალდებულება გვაქვს, სხვათა ომში შესაწირ ზვარაკად ვიქცეთ?! ბინდაც, რუსეთ-უკრაინის, ბინდაც, რუსულ-ევროატლანტიკურ ომში?** — დასხდნენ ანალიტიკოსები და თქვან სიმართლე!

***— ბევრი სრულიად გულწრფელად მიიჩნევს, რომ ეს მართლაც ჩვენი ომი არ არის!***

— არ არის, არ არის ეს ჩვენი საბრძოლველი ომი! მასონები სლავებს ერთმანეთს ახოცვინებენ. ძმათა ომია, რომლის მაპროვოცირებელი რენეგატი არამზადა ზელენსკი აღმოჩნდა!

**რა დარჩება ჩვენგან ამ ომში მონაწილეობით, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნით? — არაფერი. მხოლოდ მტვერი და ერთ საათში განადგურებული მიწა-წყალი!** ჩვენ საკმაოდ ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლე შევწირეთ რუსეთს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, აღარ გვაქვს სადმე შევარდნის აღარც რესურსი და აღარც სურვილი, როგორც ამას უკრაინიდან გვკარნახობენ.

საგანგებოდ ვიტყვი — უკრაინას მთელი მსოფლიო ეხმარება, მილიარდებს ურიცხავენ, ჰუმანიტარულ ტვირთებს უგზავნიან, ჩვენ კი, ვინ რას გვაძლევს? იმის ნაცვლად, რომ შევაგროვოთ ჰუმანიტარული დახმარება ჩვენი გაჭირვებულებისთვისაც, თურმე, იქით უნდა ჩავებათ ომში და თან მადლობის ნაცვლად, შეურაცხყოფა მივიღოთ!

ვის ომში უნდა იბრძოლოს ქართველებმა, სლავურ-მასონურ ომში უკრაინის მიწაზე? რა შუაში ვართ ჩვენ, ქართველები, მარაბდის ომია თუ კრწანისის? რატომ შეეწირნენ ის ბიჭები, ვინც შეეწირნენ, ატირებული მშობლები, დაქვრივებული ცოლები და ობლები რომ დატოვეს?! **გვეყოფა მონღოლოიდურ, ავლანოიდურ და მასონურ ომებში თავგანწირვისთვის მსხვერპლშეწირვის მისტერიები!**

ჩვენი სახელმწიფოს პროტესტი უნდა იყოს მკაცრი და საგანგებოდ გაცხადებული მსოფლიოს გასაგონად, ამით უნდა გამოიხატოს სახელმწიფოს იდენტობა!

***— ეს ხომ აღებული კურ-***





**„ვინ არიან ზელენსკები, დანილოვები და მისთანანი, რა უნდათ და რას უქადიან ქართველ ხალხს?!“**

## „დღეს ჩვენ უნდა ვიწვევდეთ ელჩს უკრაინიდან და არა ის ტუტუცი ზელენსკი!“

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო მოქალაქეებს სიმშვიდისკენ,** გამოწვევების ფონზე ქვეყანა ინარჩუნებს მშვიდობას, სტაბილურობას; **ჩვენ არ უნდა ავყვეთ ემოციებს, პროვოკაციებს** და ასე გავაგრძელოთ მშვიდად და მტკიცედ ქვეყნის განვითარება.

„ახალი თაობა“



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

**საქართველო არ შეუერთდება სანქციებს** ორი ძირითადი მოსაზრებიდან გამომდინარე, ეს არის ის, რომ **ჩვენ არ გვინდა, დავუშვათ საქართველოში რაიმე ფორმით სამხედრო ესკალაცია** და მეორე, არ გვინდა, ჩვენს მოქალაქეებს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები შევუქმნათ.

მიხეილ სააკაშვილი **რაც უფრო დიდხანს იჯდება ციხეში, მით უფრო ნაკლებად დააზიანებს საქართველოსაც და უკრაინასაც.**

„რეზონანსი“



**ირაკლი ზოიძე**
*მაჟორიტარი დეპუტატი*

დადასტურებული ფაქტია, **რომ მილიონები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიხარჯა მიხეილ სააკაშვილის ფუფუნებისთვის.** აქ საუბარი არის რვა მილიონი ლარის არამიზნობრივ ხარჯვაზე. **როდესაც ვიღაცები ცდილობენ ამ საქმის პიჯაკებამდე დაყვანას, ეს სასაცილოა!**

„საქართველოს რესპუბლიკა“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

**31 წლის წინათ ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ ხმამაღლა და მტკიცედ დაადასტურა, რომ** თავისუფლება ჩვენი უპირველესი ღირებულებაა და **ეს არასდროს შეიცვლება.**

„იმედინიუსი“

სის გადაჩვევას ნიშნავს?

— ეს ნიშნავს იმას, ვიყოთ ისეთი, როგორიც ვართ.

**არ გვინდა არც ევროპა და არც ამერიკა. გავთვალოთ ვითარება და ვიპოვოთ ჩვენი ადგილი სამყაროში გლობალური სვავების ფონზე.**

ახლა მაინც მოვიწვიოთ **რჩეულ მწიგნობარ-კითხულთა საბჭო** და შევქმნათ ერის დაცვის საკრალური მოდელი კრიზისული ვითარებიდან გამოსასვლელად. ვკითხოთ საკუთარ გონს და საკუთარ გულისხმას — როგორი ქვეყანა გვინდა? უფლის ნებით, ისეთი მიწა-წყალი და კულტურა გვაქვს, დიდ იმპერიებს შეშურდება. შეიძლება, გვაცხოვროს წყალმა, ჰაერმა, კულტურამ და ქართულმა დიპლომატიამ, პირისპირ მტერთან საუბარმა! ჩვენი მეფეები და ემისრები პირდაპირ საუბრობდნენ არაბებთან, მონღოლებთან, სპარსელებთან, რუსეთთან. ამ დიპლომატიამ მოგვიყვანა დღემდე.

**— ფიქრობთ, ამ ვითარებაში რუსეთთან საუბარი გამოსავალია?**

**— აბა, რა უნდა ვქნათ, ზელენსკის ხუშტურებზე ვიაროთ? არ უნდა დაველაპარაკოთ მეზობელ დათვს, რას დაგვითმობს და რას — არა?! არ უნდა გავარკვიოთ, რა უნდა მას ჩვენგან და ჩვენ — მისგან?** შუამავლად მეზობელი ან მეზობლის მეზობელი „ტორლია" უნდა ვაგზავნოთ, ფეხებზე რომ ჰკიდია ჩვენი ქვეყნის ბედი?! ხომ დავინახეთ, რა სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა ნატო და ევროპა. უკრაინის საზღვარსაც კი ვერ მიუახლოვდნენ პუტინის შიშით.

**ფაქტია, რომ მასონებს ზელენსკი არ გაჰყავთ ბრძოლის ველიდან. არავინ ეუბნება, რომ წაეთრეს. ის ბოლომდე ანგრევს ქვეყანას. მესამე მსოფლიო ომს, რომელიც უკრაინის მიწაზე მიმდინარეობს, ვერ აჩერებს ევროატლანტიკური სანქციები, პირიქითაც შეიძლება ითქვას, ტკბებიან სისხლის სუნით და სეირის ყურებით.**

ამიტომ დადგა დრო, მივიღოთ კანონი მათ დასასჯელად, ვინც განუწყვეტლად გვიბიძგებს უფსკრულისკენ. არ შეიძლება სატანასთან კოჰაბიტირებული ერის პერმანენტულ წამებაში ყოფნა. **რაღაც უნდა გაბედოს და შეცვალოს ხელისუფლებამ. კიდევ ერთხელ ვამბობ, სახელმწიფომ უნდა შექმნას საკუთარი თავდაცვის საკრალური მოდელი.**

**— ეს როგორ წარმოგიდგენიათ?**

— შემოქმედებითმა კავშირებმა, აკადემიებმა, უნივერსიტეტებმა და ხელისუფლებამ უნდა მოიწვიოს სახალხო ეროვნული კრება უხუცესთა და ყოველი კუთხის რჩეულ კაცთა მონაწილეობით, **სადაც გამოტანილი იქნება ვერდიქტი ე.წ. არასამთავრობო სექტების, ნაციონალების რევანშისტული „ომის პარტიის" და ძირგამომთხრელი ტელევიზიების შეზღუდვაზე.** დღეს ნომერ პირველი ამოცანაა „ტროას ცხენების" გაყვანა საკუთარი ქვეყნის საარსებო სივრციდან!

საგანგებოდ ვამბობ — კაცობრიობა აპოკალიფსური განსაცდელის ზღვარზე დგას და საკუთარ თავს ჭამს. ამ ძნელბედობის ჟამს ქართველ ერს და ხელისუფლებას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



> **„რამდენ ხანს შეიძლება, უსმინოს ერმა გისოსებში გამომწყვდეული სააკაშვილის ლაყბობას, მის შეურაცხყოფას სახელმწიფოს, სასამართლოს, ეკლესიის მიმართ?"**

# „დღეს ნომერ პირველი ამოცანაა „ტროას ცხენების" გაყვანა საკუთარი ქვეყნის საარსებო სივრციდან!"

# ნაცთა ფიურერმა პირდაპირ ეთერში ხალხს სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდა!

# მიაროჭეთ 20-ანი!

***სააკაშვილი სასამართლო პროცესებს თავისი უბადრუკი მონოლოგებისათვის რომ იყენებს, ამას უკვე ბავშვიც კი ხვდება, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო: ჯერ ერთი, ხალხი ხედავს, რა არაადეკვატურია ეს უბედური და, მეორეც კიდევ უფრო იმძიმებს იმ დანაშაულებს, რაც ისედაც უხვად აქვს მომკილი თავისი პრეზიდენტობის ხანაში.***

29 მარტის სასამართლო სხდომაზე საბადრაგო მანქანით მიყვანილმა სააკაშვილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრალდებულის ტრიბუნა თავისი **„სახალხო მიმართვისთვის"** გამოიყენა, მაგრამ ექსტაზში შესულმა, ნებსით თუ უნებლიეთ, ღიად მოუწოდა ხალხს ხელისუფლების დამხობისაკენ!

აი, ბატონო, ეს „მარგალიტები": **„თავს ნუ მოვიტყუებთ, თუ ამ მთავრობას არ ჩამოვაგდებთ, ეს თაობა სირცხვილს ვერ ჩამოირეცხავს ისტორიაში!"**

იქვე ესეც მიაყოლა: **„თუ ჩვენ ამ მთავრობას არ მოვაშორებთ, თუ ჩვენ არ გამოვალთ მობილიზაციით ქუჩაში, საქართველოს გადარჩენა არ უწერია!"**

დაბოლოს, ისტერიკაში ჩავარდნილი, აი, ამას კიოდა: **„მხოლოდ ამ მთავრობის ჩამოხრჩობით, მხოლოდ ამ მთავრობის ჩამოგდებით, მხოლოდ მასობრივი გამოსვლებით!"**

დიახ, სააკაშვილმა საქვეყნოდ მოუწოდა ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ და ხელისუფლების არამხოლოდ დამხობის, არამედ ჩამოხრჩობისკენაც!

**როგორც ხედავთ, სააკაშვილმა ამ ისტერიკისას სისხლის სამართლის კოდექსის მთელი ბუკეტი დაიმხო თავზე: დაწყებული ძალადობისკენ მოწოდებით და დამთავრებული სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის მოწოდებით!**

აგერ, ბატონო, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 315, რომელშიც შავით თეთრზე წერია:

> ***„შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად.***
>
> ***1.* *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად*** *— ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.*
>
> ***2.* *ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად. სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად*** *— ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.*
>
> ***3.*** *ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი —* ***ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე".***

ამას „ვარდების რევოლუციად" წოდებული სახელმწიფო გადატრიალება რომ შერჩა და გმირობად ჩაუთვალეს, იმიტომაც აბოდებს ახალ რევოლუციაზე!

**ჰოდა, საქართველოს პროკურატურა: ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!**

სააკაშვილი მხოლოდ **საბიუჯეტო მილიონების ქურდობისთვის** თუ დეპუტატ **ვალერი გელაშვილის** სასიკვდილოდ ცემის შეკვეთისთვის არ უნდა გასამართლდეს! **ის სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მცდელობის მუხლითაც უნდა დალპეს ციხეში!**

***გიორგი გიგაური***



კადრი და ციტატა ფილმიდან „ლაზარე"

## კვირგვინოსნები

**დავით ზალკალიანი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



**მიუღებელია ყოველგვარ რეფერენდუმებზე საუბარი** იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ტერიტორია არის ოკუპირებული, **ოკუპაციის პირობებში არანაირ რეფერენდუმს არ ექნება არანაირი იურიდიული ძალა.**

„ინტერპრესნიუსი"

**იაროსლავ მუზიჩუკი**
*საქართველოს საპატიო კონსული ლვოვში*



**არ მიმაჩნია, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის შესახებ საქართველოს ხელისუფლებას პასიური პოზიცია აქვს.** ვიცით, რომ თბილისიდან 62 კილომეტრში რუსული ბაზაა და ტანკები დგანან.

2008 წელს **რუსეთის საქართველოზე თავდასხმას სანქციები რომ მოჰყოლოდა,** უკრაინაში ეს ტრაგედია არ დატრიალდებოდა.

„კვირის პალიტრა"

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობას — **არ გაბედოთ, ქართველებს რუსეთუმეები დაგვიძახოთ,** რუსეთუმეები მოიკითხეთ იქ, სადაც 2008 წლის შემდგომ გავხდით ენერგოდამოკიდებული.

„პირველი არხი"

**ჯარჯი ნიქლაური**
*მიხეილ სააკაშვილის საქმის პროკურორი*



**სააკაშვილის** მოწოდებას **მთავრობის დამხობის შესახებ** სამართალდამცავი უწყებები შეისწავლიან.

„ახალი თაობა"

# ორი უწმინდესი და ორი უწმინდური

**ძვირფასო საზოგადოებავ, თქვენ წინაშეა სამი დოკუმენტი!**

პირველი, როგორც თავის თავს უწოდებს, **„კიევისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის“ ფილარეტის** მიერ 2016 წლის 5 იანვარს ხელმოწერილი ბრძანებულებაა, რომელშიც ვკითხულობთ:

> ***„უკრაინაში სულიერების აღორძინებასა და უკრაინის ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ბაჩანა ახალაია წმინდა გიორგის გამარჯვების ორდენით დაჯილდოვდეს!“***

**მეორეა დოკუმენტი-ფოტო,** რომელიც **პირველი დოკუმენტის** ნამდვილობასა და უტყუარობას ადასტურებს. მასზე ფილარეტთან ერთად ბაჩო ახალაიას მეუღლე **ანი ნადარეიშვილი** და „გენერალი“ **გიგი კალანდაძე** არიან გამოსახული. ეს ის „გენერალი“ კალანდაძეა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ცხინვალიდან თავის ტანკებს გამოასწრო და ებრაელების მიერ მოდერნიზებული და ნატოს სტანდარტებით ოპტიკური სამიზნეებით არჭურვილი 25 ერთეული ტ-72, ფაქტობრივად, ხელუხლებლად და უბრძოლველად, მთელი სამხედრო ამუნიციით დაუთმო მტერს, რათა **ნარკომან კეზერაშვილს** მერე ეს ყველაფერი ჩამოეწერა და ათეულობით მილიონი გაეხაზირებინა. ეს დოკუმენტი-ფოტო თავის დროზე ანი ნადარეიშვილმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოჭიმა — აქაოდა, ასეთი და ასეთი სასახელო ქმარი მყავს, ფილარეტმა უკრაინის ეკლესიის უმაღლესი ორდენით დააჯილდოვაო!

**მესამე დოკუმენტ-ფოტოზე** გამოსახულია **სამეგრელოს პროკურორი და ბაჩო ახალაიას მამა, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ნაცსექტიდან როლანდ ახალაია,** რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია მეორემ** საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — **წმინდა გიორგის სახელობის ორდენით** დააჯილდოვა! ეს მოხდა 2009 წელს, სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმის ხრწნილებისა და გადაგვარების აპოთეოზის ჟამს, როცა **ზურაბ ჟვანიათი დაწყებული, ბადრი პატარკაციშვილითა და გურამ შარაძით დამთავრებული,** მიხეილ სააკაშვილს უკლებლივ ყველა წონიანი მოწინააღმდეგე ან გაგორებული, ან კიდევ კომპრომეტირებული და ნაირნაირ პოზებში „ჩაკარტოჩკებული“ ჰყავდა...

წინამდებარე **ფოტო-დოკუმენტზე** გამოსახული **როლანდ ახალაია** იმ მომენტშია დაფიქსირებული, როცა **ილია მეორე მის დამსახურებებზე საუბრობს და „ასაბუთებს“, თუ რატომ უნდა ატაროს როლანდმა სიკვდილსა და კაცის ხორცის მჭამელ იმპერატორ დიოკლეტიანეზე გამარჯვებული წმინდა გიორგის სახელობის ჯინჯილიანი ორდენი...**

როცა თავის დროზე ამის შესახებ ცნობილ ფსიქოლოგს, აკადემიკოს **შოთა ნადირაშვილს** ჰკითხეს — **სად უწმინდური როლანდ ახალაია და სად — წმინდა გიორგიო?** — ბატონმა შოთამ ასეთი რამ თქვა — **პატრიარქმა ამ ნაბიჯით როლანდ ახალაია დაანამუსა და აგრძნობინა — დროა, უკეთესი გახდეო!** აწ განსვენებულ **შოთა ნადირაშვილს,** რომელიც მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი იყო, რატომღაც არ გაახსენდა ქართული ანდაზა — **უნამუსოს აფურთხებდნენ და ვიშ, რა ჟუჟუნა წვიმა მოდისო!**

ცხადია, იდეაში ბატონი **შოთა ნადირაშვილი** ისევე არ შემცდარა, როგორც არ ცდებოდა **კარნეგი,** რომელიც ამბობს — **შეუქმენით პიროვნებას ბრწყინვალე რეპუტაცია და ის აუცილებლად შეეცდება მის გამართლებასო!** მაგრამ ბატონმა შოთამ და ბატონმა კარნეგმა ის ვერ გაითვალისწინეს, რომ მათი მორალისტური მოძღვრება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანებზე ვრცელდება მაშინ, **როცა როლანდ, ბაჩო და დათა ახალაიები,** რომლებმაც საქართველოში და განსაკუთრებით სამეგრელოში კაცების გაუპატიურების წყეული და საშვილთაშვილოდ შესაჩვენებელი ისტორია შექმნეს, ადამიანები არ არიან!

**როცა მომავალი დროის ისტორიკოსი 1659 წლის ბახტრიონის აჯანყებას ახალი თვალით აზომავს, აუცილებლად იტყვის:** ურჯულო სპარსელების წინააღმდეგ ქართველი ერი იმ კონკრეტულ ისტორიულ მომენტში იმიტომ აღდგა, რომ მამათმავალმა ყიზილბაშებმა შუამთის ტყეში ქართველი მღვდელი შეიპყრეს და გააუპატიურესო! მაგრამ ჟამთააღმწერელი იქვე იმასაც აუცილებლად შენიშნავს — **სამაგიეროდ, ქართველი ერი ვერ აღდგა გარყვნილი სააკაშვილისა და მისი მამათმავლების წინააღმდეგ, რომლებიც სამეგრელოს სამალავებში კაცებს აუპატიურებდნენ და ამ ყველაფერს ვიდეოკამერით იღებდნენო!**

გაივლის წლები, სამეგრელოს სამალავები ფურთხით, წყევლითა და ნაგვით ამოივსება, მამათმავალი **კოხტა კოდუა და თემურ უზირია** სადღაც ჩაკვდებიან და აყროლდებიან და როცა უკრაინისა და საქართველოს ეკლესიების უმაღლესი ორდენებით დაჯილდოებული **ახალაიების** ბინძურ ეპოპეას გაიხსენებენ, აუცილებლად მოაგონდებათ საცოდავი მეგრელი კაცის ხავილი — **„ვა ღოლა, ვა ღოლა!“** რომელსაც გარყვნილი სააკაშვილის ჩაფრები ელექტროშოკერებით აწამებდნენ და „კასტილებიან“ გამაუპატიურებელს აუპატიურებინებდნენ!

მოკლედ, რეალობა ასეთია — **საქართველოსა და უკრაინის ეკლესიებმა უმაღლესი საეკლესიო ორდენებით დააჯილდოვეს მამა-შვილი როლანდ და ბაჩო ახალაიები, რომლებიც ნებისმიერ სისაძაგლესა და სიბილწეში არიან მხილებული. სწორედ მათ შექმნეს სააკაშვილის ხორცსაკეპი მანქანა და მათი ხელისბიჭები იყვნენ წყეული თემურ უზირია და კოხტა კოდუა...** სხვათაშორის, ეს უკანასკნელი, როგორც უკანასკნელი ნაძირალა და მამათმავალი, **გარყვნილმა სააკაშვილმა 2010 წლის 20 დეკემბერს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.**

ბუნებრივად დაისმის კითხვა — **რა ხდება მაშინ, როცა წმინდა პატრიარქები უწმინდურებს წმინდა გიორგის უმაღლესი საეკლესიო ორდენებით აჯილდოებენ?**

პასუხი ერთია — **ხდება ის, რაც საქართველოსა და უკრაინაში ხდება — ინგრევა, პარტახდება და ირყვნება ყოველივე!**

ხდება ის, რომ მარტვილის ეპარქიაში **მიტროპოლიტ სტეფანეს** ინტერესებს დღეს საპატრიარქოში თავშეფარებული ცნობილი თაღლითი და სპეცსამსახურებში ნათრევი აგენტი „იცავს“, რომელსაც ეშმაკთან აქვს ხელშეკრულება დადებული...

**აი, ამ ფიქრების პირისპირ დავრჩი, როცა წინამდებარე ფოტოდოკუმენტებს დავხედე და საქართველოს უახლესი ისტორიის ის სისხლიანი ქრონიკები გავიხსენე, რომელიც გარყვნილმა სააკაშვილმა და მისმა უზნეო მფარველებმა საუკუნო სირცხვილად და სასჯელად გვისახსოვრეს!**

***დიტო ჩუბინიძე***



ბაჩო ახალაია



УКРАЇНСЬКА ПРАВОСЛАВНА ЦЕРКВА

КИЇВСЬКИЙ ПАТРІАРХАТ

Патріарх Київський і всієї Руси-України

вул. Пушкінська, 36
м. Київ 01004, Україна

тел.: (044) 234-10-96
тел/факс: (044) 234-30-55

"5" 01 2016р. N 3210

УКАЗ

За заслуги з відродження духовності в Україні та утвердження Помісної Української Православної Церкви – нагородити БАЧАНА АХАЛАЙЯ Орденом Святого Юрія Переможця.

Філарет

ПАТРІАРХ КИЇВСЬКИЙ
І ВСІЄЇ РУСИ-УКРАЇНИ



ფილარეტი

ბაჩო ახალაია უკრაინაში უმაღლესი საეკლესიო ორდენით დააჯილდოვეს



15:02 / 13.01.2016

უკრაინის პატრიარქმა ფილარეტმა თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია უმაღლესი საეკლესიო ორდენით დააჯილდოვა. შესაბამის ფოტომასალა და ინფორმაცია ახალაიას მეუღლემ ანი ნადარეიშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

**როცა უკრაინისა და საქართველოს ეკლესიების უმაღლესი ორდენებით დაჯილდოებული ახალაიების ბინძურ ეპოპეას გაიხსენებენ, აუცილებლად მოაგონდებათ საცოდავი მეგრელი კაცის ხავილი – „ვა ღოლა, ვა ღოლა!“**



როლანდ ახალაია



# ნორმატიული ჭიტლაყი პატიმარ სააკაშვილისათვის




## ევროპულმა სასამართლომ პატიმარი ნაცბელადის საჩივარი არც კი განიხილა!

***ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსახილველად არ მიიღო რუსთავის ციხის პატიმრის — საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და უკრაინის რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის საჩივარი, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში მის მიმართ არასათანადო მოპყრობასა და მკურნალობას ეხებოდა.***

სტრასბურგის სასამართლომ შეისწავლა ყველა მტკიცებულება, რომელიც მას საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და მსჯავრდებული სააკაშვილის ინტერესების დამცველებმა წარუდგინეს და დაასკვნა, რომ **საქმეში არ არსებობს არავითარი გარემოება, რაც მომჩივანის, ანუ პატიმარ სააკაშვილის უფლებების დარღვევაზე შეიძლება, მეტყველებდეს.** შესაბამისად, ევროპული სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა ნუსხიდან სააკაშვილის საჩივრის ამორიცხვა კიდევ ერთხელ, ოღონდ უკვე საერთაშორისო დონეზე ამტკიცებს იმას, რაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ აქამდეც კარგად იცოდა — **ციხეში სააკაშვილის, როგორც პატიმრის, ყველა უფლება სათანადოდ არის დაცული!**

მეტიც, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის სამართლიან აღშფოთებას იწვევს **პატიმარ სააკაშვილის მიმართ საქართველოს ხელისუფლების ზედმეტად ლოიალური დამოკიდებულება,** რაც ნაცმოძრაობის ბელადისათვის იმაზე დიდი უფლებების მინიჭებაში გამოიხატება, ვიდრე საქართველოს პატიმრობის კოდექსით არის გათვალისწინებული. მაგალითად, **საქართველოში არცერთ პატიმარს არა აქვს უფლება და საშუალება, ციხეში იმდენი მნახველი მიიღოს, რამდენსაც სააკაშვილი პატიმრობის პირველივე დღიდან იღებს;** საქართველოს კანონმდებლობა არცერთ განსასჯელს არ ანიჭებს უფლებას, სასამართლო პროცესზე ისეთი ტირადები წარმოთქვას, რომელიც განსახილველ ბრალდებასთან არანაირ კავშირში არ არის, სააკაშვილს კი ამის საშუალებას ყოველ სასამართლო პროცესზე აძლევენ და მოსამართლეთა კოლეგია საპროცესო კანონის აღსრულებაზე უარს ამბობს მაშინაც კი, როცა მსჯავრდებული ნაცბელადი პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან აკეთებს მოწოდებას **ხელისუფლების დამხობის** შესახებ.

მოკლედ, პატიმარ **სააკაშვილის უფლებების დარღვევასა და მის მიმართ არასათანადო მოპყრობაზე საუბარი უსინდისო სიცრუე და მტკნარი დემაგოგიაა, რაც აწ უკვე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებითაც დადასტურდა!** ის კი არა, **საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ან მოქალაქეთა ჯგუფს, სურვილისა და მონდომების შემთხვევაში, შეუძლია, საქართველოს სახელმწიფოს სტრასბურგის სასამართლოში უჩივლოს პატიმარ სააკაშვილისათვის კანონით გაუთვალისწინებელი პრივილეგიების მინიჭებისა და მისი განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩაყენების გამო, რადგან ეს კანონის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებთან აბსოლუტურ შეუსაბამობაშია.**

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას — **განსახილველ საქმეთა სიიდან ამოეღო სააკაშვილის საჩივარი მის მიმართ ციხეში არასათანადო მკურნალობასა და მოპყრობასთან დაკავშირებით** — სამართლებრივთან ერთად პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობაც აქვს, რადგან **ევროპული სასამართლოს ეს ნაბიჯი კიდევ ერთხელ ხდის ნიღაბს ათასი ჯურის ლომჯარიებს, ჯიშკარიანებს, დენისოვებსა და ფოტიგებს!**

დიახ, **სტრასბურგის სასამართლოს დასკვნა,** რომლის თანახმადაც პენიტენციურ სისტემაში სააკაშვილის უფლებები, მათ შორის, მკურნალობის უფლება არ დარღვეულა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ **საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია** და **უკრაინის სახალხო დამცველი ლუდმილა დენისოვა,** რომლებიც თვეების განმავლობაში ხმაშეწყობილად გაჰკიოდნენ — სააკაშვილს ციხეში სათანადოდ არ მკურნალობენ და უფლებებს ულახავენო, ჩვეულებრივი ცრუპენტელები და პროვოკატორები არიან!

სტრასბურგის სასამართლოს დასკვნა, რომლის თანახმადაც პენიტენციურ სისტემაში სააკაშვილის უფლებები, მათ შორის, მკურნალობის უფლება არ დარღვეულა, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ცენტრ **„ემპათიის“ დირექტორი მარიამ ჯიშკარიანი,** ვინც ერთი ვაი-უშველებელი ატეხა — სააკაშვილს „ფარმაკოლოგიურად აწამებენო“, „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტი“ კი არა, **ნაციონალური მოძრაობის „ჯიბის ექსპერტია“!**

**და კიდევ:** ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დასკვნა, რომლის თანახმადაც პენიტენციურ სისტემაში სააკაშვილის უფლებები, მათ შორის, მკურნალობის უფლება არ დარღვეულა, მოწმობს, რომ ცნობილი ნაცქალებისაგან, მაგალითად, **თინა ბოკუჩავას, ხატია დეკანოიძისა და ეკა ხერხეულიძისაგან** არაფრით განსხვავდება ევროპარლამენტარი **ანა ფოტიგა,** რომელმაც სააკაშვილი პოლიტპატიმრად შერაცხა და დაწერა — **„მაწუხებს საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი მოპყრობა, რაც ღრმად ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტებს“.**

არადა, ფოტიგას ამ განცხადებიდან სულ რამდენიმე დღეში სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ სააკაშვილისადმი მოპყრობა სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს!

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განცხადება** სამართლებრივი კაზუისტიკის ენიდან სახალხო ენაზე რომ ვთარგმნოთ, ასეა — **მსჯავრდებულ სააკაშვილს, რომელმაც რუსთავის ციხიდან გლდანის ციხის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანისას პენიტენციური სამსახურის მუშაკებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია, კანონით გათვალისწინებული ნორმატიული ჭიტლაყი მოხვდა, რადგან ბადრაგს სრული სამართლებრივი უფლება აქვს, პროპორციული ძალა გამოიყენოს იმ შემთხვევაში, როცა პატიმარი მის კანონიერ მოთხოვნას არ ემორჩილება!**

ამდენად, **საქართველოს სახალხო დამცველად წოდებულ ნინო ლომჯარიას, უკრაინის სახალხო დამცველად მომუშავე ლუდმილა დენისოვას, ცენტრ „ემპათიის“ დირექტორ მარიამ ჯიშკარიანს, ევროპარლამენტარ ანა ფოტიგასა** და მათ მსგავს პროვოკატორებს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ სხვა არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ თავზე ნაცარი დაიყარონ და ხმა ჩაიკმინდონ!

რაც შეეხება თავად მსჯავრდებულ სააკაშვილს, რომელსაც, სტრასბურგის სასამართლოს თქმით, **ნორმატიული ჭიტლაყი** მოხვდა და კარგად უმკურნალეს, ისღა დარჩენია, ევროპული სტანდარტების შესაბამის ქართულ ციხეში დღეის ამას იქით კიდევ მრავალი წელიწადი დაყოს!













**საქართველოს სახალხო დამცველად წოდებულ ნინო ლომჯარიას, უკრაინის სახალხო დამცველად მომუშავე ლუდმილა დენისოვას, ცენტრ „ემპათიის“ დირექტორ მარიამ ჯიშკარიანს, ევროპარლამენტარ ანა ფოტიგასა და მათ მსგავს პროვოკატორებს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ სხვა არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ თავზე ნაცარი დაიყარონ!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**ბაია პატარაია**
*ფემინისტი*

**იმ კაცებს, რომლებიც ქალების ქორწინებამდელ სექსს სიბილწეს უწოდებენ, ვუსურვებ სამუდამო და განუკურნებად იმპოტენციას.**

„ტაბNEWS“



**ნიკოლოზ მჟავანაძე**
*ტელეჟურნალისტი*

**ეს ქალი ფემინისტია თუ ბორდელის დირექტორი, ბოლომდე ვერ გაიგო ქვეყანამ და იქნებ აგვიხსნას.**

„ტაბNEWS“



**დათო მაღრაძე**
*პოეტი*

ადამიანს აგრესორთან ბრძოლის **მორალური უპირატესობა** მანამდე აქვს, ვიდრე სახეს დაკარგავს... **კაფეზე წარწერა, რუსები არ დაიშვებიანო, ჩვენს დაკარგულ სახეზე მეტყველებს.**

„კვირის პალიტრა“



**ედუარდ გვენეტაძე**
*ექსპერტი*

ომს მოგვიწოდებს ის ხალხი, რომელიც **წითელ ხიდზე ერთმანეთს ასწრებდა.** დარწმუნებული ვარ, 99 პროცენტს შვილები გახიზნული ჰყავთ ოკეანის გაღმა.

„იმედინიუსი“



**ბონდო მძინარაშვილი**
*ჟურნალისტი*

ნაციონალები **ნათელ მხარეს ვერ იქნებიან** იმიტომ, რომ **ჯოჯოხეთში აცხოვრებდნენ ქვეყანას.**

„ჯორჯიან თაიმსი“



**ვახტანგ ხარჩილავა**
*„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი*

**ნაცმოძრაობა ფეხზე გამობმული ლოდივით** ძირს, ფსკერისკენ ექაჩება ქვეყანას. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: **ან ამ ლოდს მოვიშორებთ და გადავრჩებით, ან ეს ლოდი ჩაგვძირავს და შეგვიწირავს.**

„საერთო გაზეთი“

***სეპარატისტული ოსეთის ლიდერის ანატოლი ბიბილოვის განცხადების კვალდაკვალ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი***

***როზერტ ოდიკაძე***

***კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ როკის საავტომობილო გვირაბმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ-ოსური კონფლიქტის გაღვივებაში და გულისტკივილს გამოთქვამს, რომ ამ ავტომაგისტრალმა ქართველ ხალხს ვერც ეკონომიკური და ვერც პოლიტიკური სიკეთე ვერ მოუტანა.***




*ასე გამოეხმაურა გაზეთ „კომუნისტის“ 1981 წლის 11 ნოემბრის ნომერი როკის საავტომობილო გვირაბის მშენებლობას ჯერ კიდევ მის ოფიციალურ გახსნამდე ოთხი წლით ადრე*

# ვისთვის ან რისთვის აშენდა როკის საავტომობილო გვირაბი?!



## როკის გვირაბი

მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია

**როკის გვირაბი** — სატრანსპორტო გვირაბი დიდი კავკასიონის მთებში, რომელიც აკავშირებს ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიას (რუსეთის ფედერაცია) ცხინვალის რეგიონთან.

გვირაბი საბჭოთა ხელისუფლებამ ააგო (მშენებლობა დასრულდა 1984 წელს). მისი სიგრძე 3 730 მეტრია და ზღვის დონიდან დაახ. 2000 მეტრზე მდებარეობს. რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ სხვა გზებს შორისაა




**დიდი ლიახვის ხეობას, რომელიც დღეს რუსეთის მიერ არის ოკუპირებული,** თავისი გეოგრაფიული მდგომარეობითა და სტრატეგიულ-ეკონომიკური თვალსაზრისით ოდითგანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ აქედან გადიოდა გზები ჩრდილოეთ კავკასიაში **როკის უღელტეხილით (2995 მ),** რომელიც ათეული წლებია, როკის გვირაბმა ჩაანაცვლა. უფრო მეტიც, **კლდეში გაჭრილმა ამ ავტომაგისტრალმა მე-20 საუკუნის მიწურულს ფრიად უარყოფითი როლი ითამაშა ავადსახსენებელი ეთნოკონფლიქტის გაღვივებაში.** არადა, ჯერ კიდევ საბჭოთა წლებში დღის წესრიგში დადგა აღნიშნულ რეგიონში საავტომობილო გზის მშენებლობის საკითხი და სხვა პროექტებთან ერთად, წინა პლანზე წამოიწია როკის ვარიანტმაც. **ცნობისათვის:** ჯერ კიდევ 1917 წელს ოსთა ეროვნული საბჭოს პირველმა ყრილობამ აირჩია ე.წ. **საგზაო კომისია** *გაგლოევის, სანაკოევის, ჯიოევისა და კოჩიევის* შემადგენლობით, რომელსაც დაევალა როკის საუღელტეხილო გზის მშენებლობისთვის სახსრების გამოძებნა. ოპერატიულად დაიწყო შეწირულობათა შეგროვება. აღნიშნულ აქციაში სამხრეთელ ოსებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ვლადიკავკაზის ოსი მოსახლეობაც. 1927 წელს საოლქო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის *ჯაგაევის* ძალისხმევით, მოსკოვმა როკის საუღელტეხილო გზის მშენებლობისათვის 100 ათასი მანეთი გამოყო.

გადაწყდა, რომ გზის მშენებლობა როკის უღელტეხილის ორივე მხრიდან დაეწყოთ. შედგა საბოლოო პროექტი და განისაზღვრა ხარჯთაღრიცხვაც — 25 მილიონი მანეთი **(აქედან გვირაბის გაყვანაზე 17 მილიონი).** 1930 წელს, საშვიდნოემბროდ, საზეიმო ვითარებაში დაიწყო აფეთქებითი სამუშაოები, თუმცა, იმ პერიოდისათვის ასეთი დიდი თანხის დაბანდება შეუძლებელი გახდა და მშენებლობაც დროებით შეწყდა.

მიუხედავად ამისა, ოლქის ხელმძღვანელობა და სეპარატისტულად განწყობილი ძალები ინტენსიურად ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ მოსკოვი, გაგრძელებულიყო გვირაბის მშენებლობა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ამ პროექტის განხორციელება ხანგრძლივი დროით გადადო.

**შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე რამდენჯერმე დაისვა საკითხი კავკასიონის საუღელტეხილო საავტომობილო გზის მშენებლობის განახლების თაობაზე.** 1969 წლის დეკემბერში სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოსვლისას **ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბასიევმა** აღნიშნა, რომ დაპროექტება და სამუშაოს დაწყება გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ წინა ხუთწლიანი გეგმით, მაგრამ მშენებლობა დღემდე არ დაწყებულაო. ამიტომ იგი მოითხოვდა, რომ საავტომობილო გზის მშენებლობა კავკასიონის ქედზე შეეტანათ **სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების გეგმაში.**

აღნიშნულ გამოძახილზე **საკავშირო გაზეთი „პრავდა“** 1971 წლის 17 მარტს აქვეყნებს ცხინვალელი **ჩერმენ ბაზაევის** წერილს, სადაც ვკითხულობთ, **რომ** ...

ბა, რომელიც 1975-1985 წლებში მიმდინარეობდა, დაპროექტდა და დაფინანსდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, **ქართველი ხალხის ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად,** ხოლო საქართველოსათვის პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უსარგებლო მშენებლობა შემდგომში სხვა სავალალო შედეგებითაც (მეწყრები, ეთნოკონფლიქტი) დადასტურდა! **მიუხედავად ამისა, როკის საავტომობილო გვირაბის გრანდიოზული მშენებლობა ფართოდ შუქდებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკურ და საკავშირო საინფორმაციო საშუალებებით და მჟღავნდა ჭეშმარიტად ინტერნაციონალური. მასზე გაივლიან მგზავრები და ტვირთი აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, აფხაზეთიდან, ოსეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან, ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან. მთელი კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება გარდაიქმნება...“ უფრო მეტიც, კავკასიის საუღელტეხილო გზაზე გაივლის ტვირთი აზიიდან ევროპისაკენ და პირიქით; ამ ორი კონტინენტის ხალხი ისარგებლებს მთიანი ტრასის მომსახურებით და სამართლიანად გადაიქცევა ევროაზიულ საკონტინენტთაშორისო მთიან ტრასად.** არადა, **ხაროდ, უსახლკაროდ დარჩენილმა ათობით ოჯახმა ახალმოსახლეობა ვერ იზეიმა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ცხინვალის რეგიონში დატრიალებული ქართულ-ოსური კონფლიქტის გამო. რაც აშენდა, ისიც იმ ქარცეცხლიან დღეებში სრულად განადგურდა.**

ზემოხსენებული დამეწყრილი **ხეითი** ის **საბაწმინდა** გახლდათ, სადაც ადრეული ხანიდან ქართველი თავადები — **მაჩაბლები** სახლობდნენ და ქალაქ ცხინვალის ახლომახლო ვრცელი ტერიტორიაც **სამაჩაბლოდ** იწოდებოდა.

როგორც ცნობილია, **სამაჩაბლო** ფეოდალური საქართველოს ...

# გვირაბი შუქის

**რომ სულ რამდენიმე კილომეტრი აშორებდა ორ ოსურ ქალაქს — ცხინვალსა და ალაგირს... (?!).** ვფიქრობთ, კორესპონდენციის ავტორის **ამ „გასროლილ“ სიტყვაზე** კომენტარი ზედმეტია!

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, რვა თვის შემდეგ, 1971 წლის 16 ნოემბერს **საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ** მიიღო დადგენილება, 1973-1975 წლებში დაწყებულიყო როკის უღელტეხილის ქვეშ გრანდიოზული ავტოგვირაბის გაყვანა. აღნიშნული მშენებლობის შესახებ ... **სათაურებით:** „სამშენებლო ვახტზე“, „გადმიშვი მთაო, მაღალო“, „მთებთან ჭიდილში“ და სხვა.

ზემდგომი ორგანოები, როკის საუღელტეხილო გზის მშენებლობის პერიოდში ეკონომიკურ აღმავლობას და ბევრ სხვა სიკეთესაც გვპირდებოდნენ. ოსი ეროვნების ინჟინერი **ლევან კორთიევი** როკის საუღელტეხილო გზის მშენებლობის შესახებ მომზადებულ კორესპონდენციაში სიამაყით დასძენს, რომ **„ტრასა გახდე-**




ძირითადი მიმართულება როკის საუღელტეხილო გზისა და გვირაბის პროექტისა, **ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის** პირობებსა და **ოს სეპარატისტთა** შავბნელ ზრახვებზე იყო გათვლილი. არც ის ყოფილა წინასწარ გაანგარიშებული, რა ეკოლოგიურ ზიანს მოუტანდა ტრასა ლიახვის ხეობას, რადგან მაგისტრალზე უნდა გაევლო კვაისის პოლილითონებით დატვირთულ მანქანებს. ლიახვის წყალს კი არაერთი დასახლებული პუნქტის მოსახლეობა იყენებს სასმელად, თავი რომ დავანებოთ სარწყავ არხებს.

ლიახვის მარჯვენა მხარეს **ცხინვალის ე.წ. ასაქცევი გზის** მშენებლობას სავალალო შედეგები მოჰყვა: **დაიმეწყრა ასფალტის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია და ცხინვალის რაიონის სოფელ ხეითის საბაწმინდისა და ჭალის უბნები. უგუნურობას შეეწირა ხეითელ გლეხკაცთა წლების მანძილზე შეძენილი ნაჯაფ-ნაამაგარი. გამძვინვარებულმა სტიქიამ პირისაგან მიწისა აღგავა საცხოვრებელი სახლები და დამხმარე შენობა-ნაგებობები, ბაღ-ვენახები, გამოუსადეგარი გახდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.**

იმ ხანებში სტიქიური უბედურების შესახებ იუწყებოდა როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკური პრესა. დაზარალებულებს გამოუყვეს ხეითელთა კუთვნილი ე.წ. **დიცის** (გორის რაიონი) **მინდორზე** არსებული მიწები, ხოლო ცხინვალის აღმოსავლეთით მიმდებარე **ერედვის მეურნეობის** სავარგულიდან — საკარმიდამო ნაკვეთები, სადაც ქალაქის სამშენებლო ორგანიზაცია მათთვის ბინების მშენებლობას შეუდგა. **სამწუ-** ...

ლოს ერთ-ერთ სათავადოს წარმოადგენდა, რომელიც წარმოიშვა ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის დასაწყისში მდინარე ლიახვის შუა და ზემო წელზე, ისტორიული **აჩაბეთის ხევში.** სახელწოდება **სამაჩაბლო** თავად **მაჩაბელთა გვარიდან** მომდინარეობს. მათი წინაპრები **აზნაური თავხელიძეები** (სხვათა თვალსაზრისით, ანჩაბაძეები) ყოფილან. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, სამაჩაბლოს რეზიდენცია **აჩაბეთი** იყო, ხოლო საგვარეულო საძვალე-სამარხი — **თირის მონასტერი** და **საბაწმინდა.**

აღსანიშნავია, რომ **სამაჩაბლო** ეკლესიურად გორის რაიონის სოფელ **ნიქოზის** საეპისკოპოსოს ექვემდებარებოდა. მისი სამხრეთი ნაწილის ეკონომიკა სარწყავ მიწათმოქმედებას ეყრდნობოდა. ხეობის ზედა წელზე მისდევდნენ მემინდვრეობას (ძირითადად ქერი ითესებოდა). განვითარებული იყო მესაქონლეობაც.

ჟამთააღმწერთა ცნობით, **სამაჩაბლოს** ჩამოყალიბება და ტერიტორიული გაფართოება მეფის ხელისუფლების წინააღმდეგობის დაძლევასთან იყო დაკავშირებული. მას აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა **ქსნის საერისთავო,** სამხრეთიდან — **ფავლენიშვილთა და ამილახვართა მამულები,** სამხრეთ-დასავლეთით — **საყაფლანიშვილო,** ჩრდილო- დასავლეთით — **რაჭის საერისთავო.** ცნობილია, რომ ჩრდილოეთით მაჩაბელთა ძალაუფლება **დვალეთამდე** აღწევდა. მე-15 საუკუნეში მაჩაბელთა მეზობელი დვალების ერთ-ერთი ხეობის — **ჟღელეს** სოფლები, ხოლო მე-17 საუკუნის დამლევს — **ზროგის ხეობის** სოფლები.

**სამაჩაბლო 1850 წელს გაუქმდა. და ეს მაშინ, როდესაც მაჩაბლებსა და ყმა ოსებს შორის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის გამო, სენატის დადგენილებით, მაჩაბელთა 2000 კომლი ყმა სახაზინო უწყებას გადაეცა.** მაჩაბლების შესახებ ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **სოფრომ მგალობლიშვილი** თამარაშენში სტუმრობისას გასაუბრებია სოფლის მოხუცებს, რომლებსაც მამა-პაპათაგან გადმოცემული ამბები თავიანთ ბატონებზე **(მაჩაბლებზე)** დაწვრილებით მოუყოლიათ. მათი მონათხრობი მწერალს გამოუქვეყნებია გაზეთ 1884 წლის 166-ე ნომერ **„დროებაში“,** რომლის მიხედვით,

*„**მაჩაბლების საცხოვრისი წინათ საბაწმინდაში ყოფილა.** საბაწმინდა საინტერესო ადგილია. იქ ამჟამადაც ყოველი წლის მაისიდან დაწყებული აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე მთაზე ქვებს შორის **„ამოდის მაგარი ყინული“**, ეს მაშინ, როცა მზიანი ამინდებით ზეობს ბუნება, ძალობს სიცხე-პაპანაქება. ღრუბლიან დღეებში იმ ადგილას ეს სასწაულებრივი საიდუმლოება მთლიანად გამქრალია და მნახველი ვერც წყალსა და ვერც ყინულს შეამჩნევს **(საბაწმინდის „საყინულე“ შესწავლილი და გამოკვლეულია მეცნიერულად)**“.*

აღნიშნული ადგილის შესახებ ქართველი გეოგრაფი და მეცნიერი **ვახუშტი ბატონიშვილი** საკმაოდ ამომწურავ დახასიათებას იძლევა:

*„საბაწმინდის მონასტრის ზეით, აღმოსავლეთით, არის უდაბნო, მაღალ კლდეთა შინა გამოკვეთილი ქვაბნი ეკლესიით. **აქა არს კარკალი (საყინულე), სად ზამთარ დნების თოვლი, ხოლო ზაფხულ ჰყინავს და ხმარობენ ზაფხულ ყინულად**“.*

**საბაწმინდის** უნიკალური, სასწაულებრივი, ბუნებრივი საყინულე მწერალ **სოფრომ მგალობლიშვილს** პირადად უნახავს და ასე აგვიწერს:

***„კლდეებში ზანებია დარჩენილი სოროებივით. კლდის სოროები, ზოგ-ზოგი კარგა ვრცელია, ასე რომ, ორი კაცი ჩაეტევა შიგ. ამ სოროებში მუდამ სინოტივეა. ზაფხულში, როდესაც მზე საშუადღეოზე სდგას, როდესაც საშინელი სიცხეა და პირ-დაპირ დაადგება ამ სოროებს, მაშინ ჩამოწვება სოროში, კლდის ძირებში სიპი ქვასავით ყინული, ისეთი კამკამა, როგორც ბროლი, სუფთა და უვნებო...** სცობიან ზამთარში მდინარეებში ამოჭრილს და შენნინგის ქარხანაში ხელოვნურად გაკეთებულს ყინულს... **ჩავედით ერთ სოროში და ისეთნაირად შეგვციედა, რომ ველარ ვაწამეთ რა. ათ მინუტს ვერ შეძლებს ზოგიერთი შიგ ყოფნას. როცა ღრუბლიანი, ან ცივი დარია, მაშინ მხოლოდ სწვეთავს და არ ჰყინავს. რაც უნდა ტფილი რამე ჩასდო სოროში... გააცივებს. ჩვენც ვისარგებლეთ ამ ყინულით. ერთის სოროთგან ორი სულ თეთრი ყინული ამოვამტვრიეთ“.***

რუსი ისტორიკოსი და მკვლევარი **ნიკოლოზ ლიხაჩოვი** საბაწმინდის შესახებ აღნიშნავს:

*„1877 წლის 8 ივნისს დილას ვანათის სკოლის მასწავლებლებთან ერთად წავედით... **აქ ზაფხულში ვლინდება საინტერესო ფიზიკური მოვლენა — ყინულის შექმნა ორმოებში***



**როკის ავტომაგისტრალი ძირითადად მზაკვრული პოლიტიკური მიზნებისთვის იყო გათვალისწინებული. წინასწარ განზრახულად მიმდინარეობდა ოსი ახალგაზრდობის მოწამვლა ანტიქართული იდეოლოგიითა და სეპარატისტული განწყობით, რომ ერთ დროს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ორივე მხარეზე არსებობდა ერთიანი ოსური სახელმწიფო, რომლის სამხრეთი ნაწილი თითქოს ქართველებმა მიიტაცეს.**

# ბოლოს

***ქვებს შორის. ასეთი ორმო შვიდამდეა.*** *გამყოლმა ძლივს მონახა ერთი ორმო ორი არშინის სიღრმით. ორმო ძაბრისებურად ვიწროვდება...* ***ამ ორმოში ჩასვლისას იგრძნობოდა ცივი ჰაერის დინება, რომელიც გამოდიოდა ორი ჯურღმულიდან ქვებს შორის. ორმოს კედლები და ფსკერი ნამიანი და ცივი იყო“.***

პროფესორი **იოსებ მეგრელიძე** საბაწმინდის საყინულეს შესახებ წერს:

*„აქ... როცა ჰაერზე ძალიან ცხელა, მთის ძირში ლოდებს ქვეშ წყაროები გამოდის და იყინება.* ***1953 წლის 29 აგვისტოს ცხელ დღეში ამ ყინულით ჩვენც ვისარგებლეთ“.***

საბაწმინდის საყინულეს **კონსტანტინე ბერძენოვი** (ბერძენიშვილი) ასე აგვიწერს:

***„გამატარეს ბუნებითს ყინულთან... კლდის ნაჩეხებით სავსე იყო იქაურობა. ამ კლდის ნაგლეჯების შუაში იყო აქა-იქ ორმოსავით. ზევიდგან კლდის ნაგლეჯები ეხურა და შიგ კი ყინული იყო ჩაწოლილი, არშინნახევარი სისქე ჰქონდა. ასე რომ, თუ არ რკინის ვეჯით, სხვითი ვერას ღონისძიებით ამოვამტვრევდით. ჩემს ამხანაგს ჩაქუჩი წამოეღო. ამით ამოვამტვრიეთ და ნახევარ ფუთამდინ შინაც წავიღეთ... რამდენიც სიცხე იქნება, უფრო სქელი ყინული ჩაწვება. აქ დავრჩით ორი დღე და ორი ღამე“.***

გაზეთ **„დროების“** ფურცლებიდან **ალათო თუთაევი** დასძენს:

***„კარგა ხანია, ლაპარაკია, რომ ვლადიკავკაზამდის რკინიგზა უნდა გაკეთდესო ცხინვალზედაო... ეს ლაპარაკი რომ გამართლდეს...*** *მახლობლად ცხინვალისა, სადაც გზა უნდა გავიდეს ნახევარ ვერსზედ მთის ძირში, ლიახვის ზევით წყაროები გამოდის და ამ წყაროში ზაფხულში ივნისში და ივლისში და აგვისტოში ისე ჰყინავს და ისეთი ყინული კეთდება, რომ იანვრისთვის გაყინული ყინული ისეთი მაგარი არ იქნება.* ***და თუ გზა იქნება, ტფილისის შეძლებული მცხოვრებნი ბევრს ისიამოვნებენ ამ ყინულით, რადგან ყოველ დღე შეიძლება თუნდა სამი ვაგონი ამოსჩეხონ და წაიღონ ქალაქში. ცხინვალში ხშირად ჩამოაქვთ ის ყინული ზაფხულში და ჩქარაც არ დნება“.***

თუთაევის კორესპონდენციის შესახებ ცხინვალელი ჟურნალისტი **ვახტანგ ცოტნიაშვილი** სამართლიანად მიგვანიშნებს, რომ **„ამ ბოლო ციტატაში, მკითხველიც დაგვეთანხმება, მეტისმეტი გაზვიადებაა. ავტორს ეს იმისათვის დასჭირდა, რომ თბილისელი გავლენიანი პირები ცხინვალზე გავლით ახალი სარკინიგზო ხაზის მოწყობის სასარგებლოდ განეწყო“.**

როგორც ცნობილია, **მაჩაბლები** საბაწმინდიდან **თამარაშენსა** და **ქურთაში** ჩამოსახლებულან. ამჟამად ოკუპირებულ **ფრონეს ხეობის სოფელ ავნევში,** თურმე, შეძლებული **აზნაური დოლიძე** ცხოვრობდა.

*„ერთ დღეს მას მამითადი ჰქონია სალთვისის მინდორში, სადაც წყალი არ არის და ექვსი მეძნეური ვირი გაუგზავნია საბაწმინდას, რომ ყინული ჩამოეტანათ მომკელებისათვის. მაჩაბელს შეუნიშნავს ვირები, დიდად განრისხებულა —* ***ვინ გაჰკადნიერდა ასე, რომ მაჩაბლის მამულიდან უკითხავად და უნებართვოდ ყინულის წაღება მოინდომაო.*** *მან ბრძანა ხუთი კაცისა და ვირებისათვის თავები დაეყრევინებინათ, აეკიდებინათ მეექვსესათვის და გაეგზავნათ იმ ბრიყვი აზნაურისათვის, რომელიც ესოდენ კადნიერად მოიქცა.* ***აზნაურმა გულში ჩაიდო ეს ამბავი და დროს ელოდა, სამაგიერო გადაეხადა თავადისათვის. ეს დროც მალე დადგა. აღდგომა ღამეს, ლიტანიობისას, ეს აზნაური, იარაღში ჩამჯდარი, თავისი ყმების თანხლებით თავს დაესხა სოფელს. მაჩაბლები ერთიანად ამოწყვიტა, მხოლოდ აკვნის ბავშვის გადარჩენა შეძლო მისმა გამზრდელმა.*** *როცა ბავშვი წამოიზარდა, მან თავი გამოიჩინა საქართველოს მტრებთან ბრძოლაში.* ***მეფეს შეუნიშნავი არ დარჩა იგი და ვინაობა გამოკითხა. როცა ყველაფერი მოისმინა, მაჩაბლების მემკვიდრეს ძველი მამულებიც დაუბრუნა და ახლითაც დაასაჩუქრა“.***

დიდი ლიახვის ხეობის სოფელ **თამარაშენს** მწერალი **სოფრომ მგალობლიშვილი** **„მაჩაბლების სადგურს“** უწოდებს. იგი იმოწმებს **პლატონ იოსელიანის** და **ვახუშტი ბაგრატიონის** ისტორიულ ცნობებს, გადმოგვცემს თამარაშენის და აჩაბეთის მოკლე ისტორიას.

ნიშანდობლივია, **საბაწმინდის 56-კომლიანი ქართული სოფელი** გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ცალკე კოლმეურნეობად ითვლებოდა და **„ამ მადლიან და დალოცვილ მიწაზე“** მოწეული ხვავ-ბარაქიანი მოსავლით მოწინავე პოზიციებს არ თმობდა ცხინვალის რაიონსა თუ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. შემდგომ პერიოდში საბაწმინდა მთის კალთებზე შეფენილ **ხეითს** შეუერთდა და მას შემდეგ ამავე სოფლის ერთ-ერთ უბნად ითვლება. სწორედ ამ უბნიდან იყო ცხინვალის პირველი ქართული საშუალო სკოლისა და ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული სექტორის კურსდამთავრებული, **წლების მანძილზე ცხინვალში გამომავალ ერთადერთ ქართულენოვან გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“** რედაქციის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, ჟურნალისტი **ივანე ბაგაევი.** თუ როგორი **არასწორი პროპაგანდისტული საქმიანობით** იყო დაკავებული იგი, ამის უტყუარი დასტურია თუნდაც ის, რომ თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა: **„მე, ივანე გრიგოლის ძე ბაგაევი, დავიბადე ოსურ სოფელ საბაწმინდაში...“ (?!)**

**ქართული საოლქო გაზეთის რედაქციის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების კაბინეტში თითქმის მთელ კედელზე გაკრულ სსრკ რუკაზე მან წითელი ფანქრით საგულდაგულოდ შემოხაზა და „გააერთიანა“ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა. ამის გამო, ქართველი კოლეგების სამართლიან შენიშვნაზე, იგი სიამაყით აცხადებდა, რომ „ეს დროც მალე დადგებაო...“**

ჩვენმა კოლეგამ არც ღირსეული ოსი თანამემამულის, **პროფესორ ვასილ აბაევის** მოწოდება გაითვალისწინა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა უარყო **„ორი ოსეთის“** გაერთიანება:

***„კავკასიის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და ყოველგვარი მცდელობა ამ საზღვრის დარღვევისა გამოიწვევს პერმანენტული კონფლიქტის მდგომარეობას ქართველებსა და ოსებს შორის.*** *უპირველეს ყოვლისა, უნდა დასრულდეს საუბარი* ***სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს*** *დაცილების შესახებ.* ***არცერთი ქართული ხელისუფლება ამას არ დათანხმდება და მართალიც იქნება, რადგან ეს იქნება მანიშნებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა...*** *ვისაც უნდა მშვიდობა სამხრეთ ოსებსა და ქართველებს შორის, ვისაც სურს მშვიდობა საქართველოსა და რუსეთს შორის, ასევე უნდა უარყოს ეს იდეა. ასეთია რეალობა“.*

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში **ივანე ბაგაევი** აქტიურად ჩაება ადგილობრივ ოსურ სეპარატისტულ მოძრაობაში და მალე **„ადამონ ნიხასის“** წევრიც გახდა. იმ ხანებში ცხინვალში სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდა რესპუბლიკურ **გაზეთ „სოფლის ცხოვრების“** განყოფილების გამგე **მზია კობერიძე.** ქალაქის ავტოსადგურთან ახლოს ქართველების მიმართ აგრესიულად განწყობილმა ოსმა მანდილოსნებმა იცნეს თბილისელი ჟურნალისტი, იქვე, სამკერვალო საამქროში, ძალით შეიყვანეს და მისი „გასამართლება“ მოინდომეს. ამ ფაქტის შემსწრე **ივანე ბაგაევმა** არ დაიცვა ჭეშმარიტება და დიდი ხნის ნაცნობ კოლეგაზე თვითონაც იერიში მიიტანა. **მართალია, ჟურნალისტისთვის შეუფერებელი, უღირსი საქციელის გამო იმსჯელეს საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ ღია პარტიულ კრებაზე, პროპაგანდისა და აგიტაციის გამგე გაკიცხეს, საყვედურიც გამოუცხადეს პირად საქმეში შეტანით, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი...“ ივანე ბაგაევმა** ოსურ სეპარატისტულ მოძრაობაში ისე შორს შეტოპა, რომ ჯანმრთელობა შეერყა და გარდაიცვალა.

როგორც შემდგომ თვალნათლივ გამოიკვეთა, **როკის ავტომაგისტრალი** ძირითადად მზაკვრული პოლიტიკური მიზნებისთვის იყო გათვალისწინებული. კერძოდ, ტრასას კატალიზატორის როლი უნდა შეესრულებინა ჩრდილო და სამხრეთელი ოსების დაახლოებასა და გაერთიანებაში. **ამ მიზნით წინასწარ განზრახულად მიმდინარეობდა ოსი ახალგაზრდობის მოწამვლა ანტიქართული იდეოლოგიითა და სეპარატისტული განწყობით,** იმ იდეით, რომ ერთ დროს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ორივე მხარეზე არსებობდა **ერთიანი ოსური სახელმწიფო,** რომლის სამხრეთი ნაწილი თითქოს ქართველებმა მიიტაცეს. **სწორედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის გაერთიანებისათვის უნდა წარმართულიყო მთელი ძალისხმევა და გადამწყვეტი როლი როკის საუღელტეხილო საავტომობილო მაგისტრალს უნდა შეესრულებინა.**

გათვლა სწორი აღმოჩნდა... **როკის საავტომობილო მაგისტრალმა** შეასრულა საბედისწერო მისია... დიახ, **როკის გვირაბს ეროვნული საუნჯის გატანისა და მომაკვდინებელი იარაღისა თუ ნარკოტიკების შემოტანის მეტი ჯერჯერობით საქართველოსათვის არაფერი გაუკეთებია. კონფლიქტი, რომელიც მოხდა და ჯერაც არავინ იცის, როდის ჩაცხრება, ამ გზამაც მოიტანა!**

ცხინვალის რეგიონში როკის საუღელტეხილო საავტომობილო გვირაბის აგება საქართველოს თავს მოახვიეს **მტრულმა პოლიტიკურმა ძალებმა.** აკი, „ჩრდილოელი ძმა“ ტყუილად არაფერს აგვიშენებს.

საარქივო და ლიტერატურული წყაროებიდან გამომდინარე, კავკასიონზე როკისა და სხვა გვირაბების გაყვანით დაინტერესებული იყვნენ როგორც ოსები, ასევე რუსები... **მათი ინტერესები კი, უპირველესად, პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ითვალისწინებდა, და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ მე-6 საუკუნის ბიზანტიელი ჟამთააღმწერი პროკოფი კესარიელი აღნიშნავს — სვანები კავკასიონის ჩრდილო მხარეზეც ცხოვრობენო.** ამის დასტურია თუნდაც იმ ტოპონიმთა ნაშთი, რომელიც ჩრდილო კავკასიაში ამჟამადაც გვხვდება.

ისიც რეალურია, რომ **როკის საავტომობილო მაგისტრალის** შექმნის ისტორია დაახლოებით საუკუნე-ნახევარს მოიცავს. ამ ხნის მანძილზე მას მიეძღვნა 500-ზე მეტი წიგნი, ბროშურა, საჟურნალო თუ საგაზეთო წერილი. **ასრულდა ამდენი ხნის ჩანაფიქრი და ოცნება... მუშაობს ცხინვალ-ალაგირის საუღელტეხილო ავტომაგისტრალი... თითქმის 2000 მეტრ სიმაღლეზე გაიჭრა კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ცენტრალური ნაწილი... სად, რისთვის ან ვისთვის აშენდა ეს ავტომაგისტრალი?!**

ჩვენ არასოდეს მოგვითხოვია საქართველოს გარესამყაროსგან იზოლირება ან კარჩაკეტილობა. **უდაოდ, მეზობელ ქვეყანასთან გზაც უნდა აშენდეს, გვირაბიც უნდა გავიდეს, მაგრამ, უპირველესად, ქვეყნის ყოველმხრივი ინტერესის გათვალისწინებით! მართალია, ცხინვალისა და ჯავის რაიონები სატრანსპორტო თვალსაზრისით ერთგვარ ჩიხს წარმოადგენდა, მაგრამ ამის გამოსწორებას ქართველი მეცნიერები და ეკონომისტები ყოველთვის ცდილობდნენ.** არსებობდა პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა გასულიყო სარკინიგზო ხაზი **ცხინვალი-ჯავა-ონი-ქუთაისი.** ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მისი სიგრძე 65 კილომეტრი იქნებოდა და მოემსახურებოდა **კვაისის** ტყვია-თუთიის, **ირისა** და **ჩორდის** ბარიტისა და სხვა წიაღისეულ საბადოებს.

ასე შენდებოდა 1975-1985 წლებში **როკის საავტომობილო გვირაბი,** რომლის ისტორიული ასპექტები ერთ საგაზეთო წერილში ვერ ჩაეტევა. შეუძლებელია როკის საავტომობილო გზისა და გვირაბის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა აქტის, დადგენილებისა თუ სხვა დოკუმენტების ჩამოთვლაც კი, რაც გარკვეული დროის მანძილზე იქმნებოდა და ადგილობრივ, რესპუბლიკურ თუ საკავშირო პრესაში ქვეყნდებოდა **მავანთა მანკიერი პოლიტიკური მიზნების შესასრულებლად.**

და აი, 1985 წელს როკის საავტომობილო გვირაბი ზარ-ზეიმით შევიდა ექსპლოატაციაში. **ივერიელთა სამკვიდროს მიმართ მტრულად განწყობილმა პოლიტიკურმა ძალებმა საწადელს მიაღწიეს.** რუსეთის რეგულარულმა არმიამ საბრძოლო ტექნიკით სწორედ როკის გვირაბი გადმოკვეთა და გეზი ცხინვალისკენ აიღო... **შედეგი? — მწარე და გაუსაძლისი რეალობა!**




**როკის საავტომობილო გვირაბის უარყოფით შედეგებს დღესაც უხვად იმკის დამოუკიდებლობის გოლგოთაზე შემდგარი საქართველო!**

# ამერიკული დახმარება კრემლისათვის «სასარგებლო იდიოტებს»

***ამერიკის შეერთებული შტატები 2023 წლისათვის საქართველოს 126 მილიონი დოლარის დახმარებას გამოუყოფს. ერთი შეხედვით, შესანიშნავი ამბავია — სტრატეგიული პარტნიორი ხელს გვიმართავს, საკუთარი ჯიბიდან ფულს იღებს და ჩვენ გვჩუქნის, რადგან საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებით არის დაინტერესებული.***



თუმცა, კარგად თუ გავეცნობით იმ დათქმებსა და პირობებს, რომლებიც საქართველოსათვის გამოსაყოფ **126 მილიონ დოლარს** ახლავს, ანუ როგორ უნდა განაწილდეს და რაში უნდა დაიხარჯოს ამ თანხის უდიდესი ნაწილი, მივხვდებით, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია საქართველოსა და ქართველ ხალხს კი არა, საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ დღენიადაგ მებრძოლ ნაცმოძრაობასა და მის მოკავშირე არასამთავრობო ორგანიზაციებს, შემოკლებით — **ასო**-ებს ეხმარება.

კერძოდ, **დოკუმენტში, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა და საერთაშორისო განვითარების სააგენტომ კონგრესს დასამტკიცებლად გაუგზავნეს, წერია, რომ იმ 126 მილიონი დოლარიდან, რომელსაც აშშ საქართველოს გამოუყოფს, 88 მილიონი დოლარი „საქართველოში დემოკრატიის განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას" უნდა მოხმარდეს, რაც რეალურად იმას ნიშნავს, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი ნაციონალური მოძრაობის დანამატად თუ ქვეგანყოფილებად ქცეული ასოების — კოლექტიური ეკა ბიბაურისა და კოლექტიური თამარ კინწურაშვილის ჯულაბაში ჩაჩხრიალდება.** დიახ, ეს გაკეთდება იმისათვის, რათა მათ **უფრო კარგად იბრძოლონ** საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, **უფრო კარგად აწარმოონ კამპანია** საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, ნაციონალურ მოძრაობასთან უნისონში **უფრო კარგად აჯანჯლარონ** ქართული სახელმწიფო, **უფრო კარგად დააბეზღონ** თავიანთი ქვეყანა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში, **უფრო კარგად წარმართონ** ნეოლიბერალური პროპაგანდა, **უფრო კარგად მოახერხონ** ლგბტ კვირეულებისა და პრაიდების ორგანიზება, **უფრო კარგად დააწესონ** კვაზილიბერალური ცენზურა მედიასა და სოციალურ ქსელებში, **უფრო კარგად შერაცხონ** „რუსეთუმედ" ყველა, ვინც მათ ფსევდოლიბერალურ, მოფაშისტო ნარატივში არ ჯდება... მოკლედ, **უფრო კარგად ავნონ საქართველოსა და ქართველ ხალხს!**

## ბაიდენი ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის წინააღმდეგ საბრძოლველად 88 მილიონ დოლარს გამოყოფს!

შესაბამისად, 2023 წლიდან უფრო მეტი ინტენსივობითა და სიმძლავრით ჩატარდება აქციები პარლამენტის შენობის წინ ლოზუნგებით — **„ფუჩულიბერალიზაცია" და „ორგაზმი კაცების გარეშე";** ნაცლიბერასტები უფრო **ხშირად და უფრო ხმამაღლა მოითხოვენ** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაპატიმრებასა და მღვდლების გაპარსვას, **უფრო ხშირად შეღებავენ** საპატრიარქოს კედლებს წითელი საღებავით; **თუ იგივე ნაცლიბერასტები მანამდე შარვლებს მხოლოდ სოფელ ატოცში იხდიდნენ, მომავალი წლიდან უკანალებს საოკუპაციო ხაზთან მდებარე სხვა სოფლებშიც მოიშიშვლებენ და „რუსულ ოკუპაციასთან ბრძოლას" უფრო „შთამბეჭდავ" სახეს მისცემენ;** ნაცდეპუტატი ქალები პარლამენტის სხდომათა დარბაზში აქამდე მომწამლავ სითხეს თუ ასხამდნენ, აწი პირდაპირ მხუთავი გაზის კაფსულებს შეყრიან; **თუ ელენე ხოშტარიას აქამდე პირში „სვისტოკი" ჰქონდა ჩადებული, აწი უფრო ძვირადღირებულ, უფრო დიდ და უფრო გამკივანი ხმის გამომცემ მოწყობილობას ჩაიდებს;** თუ ახლა წესრიგის დამცველ ქართველ პოლიციელებს სახეში ბრინჯს აყრიან და კეტჩუპს ასხამენ, გაისად მსუყე ამერიკული დაფინანსებით გულმოცემულნი პირდაპირ ქვების სროლას დაუწყებენ; **მაქარაშვილი და ძმანი მისნი რუსეთიდან ჩამოსულ სტუმრებს ქათმის კვერცხებს თუ უშენდნენ, აწი უფრო დიდი ზომის — ბატის ან ინდაურის კვერცხებს დაუშენენ;** თუ ახლა პატიმარ სააკაშვილის მხარდასაჭერ აქციებზე რუსთავის ციხესთან და თბილისის საქალაქო სასამართლოსთან 100-150 კაცი იკრიბება, მომავალ წელს მათი რაოდენობა გასამმაგდება, რადგან „მიშას გულშემატკივრებს" აქციაზე მისვლისათვის **20 ლარის ნაცვლად 40 ლარს გადაუხდიან,** უკრემო ფუნთუშის ნაცვლად კი კრემიან ფუნთუშას აჭმევენ!

დიახ, როგორც უკანასკნელი ათწლეულის პრაქტიკა გვიჩვენებს, სწორედ ამას ნიშნავს **„საქართველოში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად"** ამერიკული გრანტების გამოყოფა.

ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ **ნაცმოძრაობასთან დაახლოებული ასო-ებისათვის** მილიონობით დოლარის გამოყოფის შემდეგ **ქართულ საინფორმაციო სივრცეში კიდევ უფრო ისტერიულ ხასიათს მიიღებს ყოველგვარ რაციონალიზმს მოკლებული ანტირუსული რიტორიკა, რომელიც სინამდვილეში ანტიქართული რიტორიკაა, რადგან რუსეთის კი არა, საქართველოს ინტერესებს აზიანებს.**

ამის კლასიკური მაგალითი თუნდაც ასო **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს"** ხელმძღვანელის, 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი აქციის დარბევიდან რამდენიმე დღეში ვანო მერაბიშვილის მიერ კაპიტნის წოდებით დაჯილდოებული **ეკა ბიბაურის** ამასწინანდელი განცხადება გახლავთ: **„საფრთხე არ დგას, რადგან რუსეთი ომს აგებს უკრაინაში, არ ჰყოფნის რესურსები და ვერ დაიწყებს ყველა მიმართულებით საომარ მოქმედებებს. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ**

# ასო-ებს აძლევდნენ!




## 2023 წლიდან უფრო მეტი ინტენსივობითა და სიმძლავრით ჩატარდება აქციები პარლამენტის შენობის წინ ლოზუნგებით – „ფუჩულიბერალიზაცია" და „ორგაზმი კაცების გარეშე!"

## კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



2008 წელს **სხვანაირი მხარდაჭერა რომ ყოფილიყო,** შეიძლება ამ მდგომარეობაში არ ვყოფილიყავით.

„რეზონანსი"

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



ამერიკა და დასავლეთი ცდილობენ, **რუსეთი დაასუსტონ და გამოფიტონ.** ასეთი შანსი დასავლეთს რუსეთის წინააღმდეგ, როგორიც ახლა აქვს, კიდევ დიდხანს არ მიეცემა.

„ახალი თაობა"

**მამუკა გიორგაძე**
*სახალხო პარტიის ლიდერი*



**უკრაინის ომს ადარებენ ხოლმე საქართველოს 2008 წლის ომს,** უკრაინისა და საქართველოს მაშინდელ მოვლენებს შორის არის განსხვავება. **უკრაინამ ჯერ დააფიქსირა, რომ რუსეთი შეიჭრა მის ტერიტორიაზე და შემდეგ გაისროლა.** საქართველოში 2008 წლის აგვისტოში **ჯერ ესროდნენ ბანდფორმირებებს და ამას ყველას აუწყებდნენ, შემდეგ განაცხადეს, რომ რუსეთის ჯარი შემოვიდა.** საქართველოს ხელისუფლებას სროლის უფლება ჰქონდა, უბრალოდ, ჯერ უნდა ეთქვა, რომ რუსეთის ჯარია შემოსული, **ომი დაიწყო რუსეთმა, მაგრამ ცხელი ფაზა სააკაშვილმა წამოიწყო.**

„ახალი თაობა"

**კელი დეგნანი**
*აშშ-ის ელჩი საქართველოში*



**ჩვენ გვჯერა ქართველი ხალხის,** გვჯერა საქართველოს ევროპული მომავლისა და **საქართველოს, როგორც დემოკრატიული ერის,** წარმატებისა.

„რეზონანსი"

**ვიქტორ ყიფიანი**
*ანალიტიკური ორგანიზაციის „გეოქეისის" დამფუძნებელი*



ომი ნებისმიერ შემთხვევაში დასრულდება **პოლიტიკური ზავით.**

„რეზონანსი"

# ამერიკიდან დაფინანსებული ასო-ები 2023 წლიდან მართლმადიდებლობასა და ეროვნულ ფასეულობებს გაძლიერებულად შეუტევენ!

**იმისთვის, რომ შესაძლებლობების ფანჯარა გამოვიყენოთ და ვანაჩოთ დასავლეთს, რომ მათ გვერდით ვართ“.** ე.ი. კაპიტანი გიგაური ამბობს — ახლა რუსეთს იმის თავი არა აქვს, რომ საქართველოს ომი გამოუცხადოს, ამიტომ დრო უნდა ვიხელთოთ და კრემლს რაც შეიძლება, ძლიერად შევუჩიჩხინოთ, რათა დასავლეთს ერთგულება დავუმტკიცოთო! აი, ასეთი ბრძენი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე **ასო**-ელია **კაპიტანი გიგაური,** რომლის ორგანიზაციაც ამერიკის მიერ გამოყოფილი 126 მილიონი დოლარიდან კარგა მოზრდილ ულუფას მიიღებს **„სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების“** სოუსით.

რა თქმა უნდა, **კაპიტან გიგაურს** იმდენი კი ესმის, რომ რუსეთს, თუნდაც უკრაინაში მართლა მარცხდებოდეს, საქართველოსათვის უდიდესი ზიანის მოტანა მაინც შეუძლია; მაგალითად, **რუსეთს, თუ საქართველოს ხელისუფლება ამის საბაბს მისცემს, ვერაფერი შეუშლის ხელს, საკუთარი ტანკები, სულ რაღაც, ათიოდე კილომეტრით გადააადგილოს, გორთან ავტომაგისტრალზე განალაგოს და საქართველო შუაზე გაჭრას; კაპიტანმა გიგაურმა ისიც იცის, რომ რუსული ტანკებითა და ბლოკპოსტებით შუაზე გაჭრილ საქართველოს კოლექტიური**






## თუ ელენე ხოშტარიას აქამდე პირში „სვისტოკი“ ჰქონდა ჩადებული, აწი უფრო გამკივანი ხმის გამომცემ მოწყობილობას ჩაიდებს!

ტამენტისა და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ კონგრესისათვის დასამტკიცებლად გაგზავნილ დოკუმენტში ასევე წერია — **ჩვენ მიერ გამოყოფილი ფულადი დახმარება დამოუკიდებელ, დაბალანსებულ და სანდო მედიაზე წვდომას გააუმჯობესებსო, რაშიც, რა თქმა უნდა, ნაციონალურ მოძრაობასთან პირდაპირ და ირიბად დაკავშირებული მედიასაშუალებების დაფინანსება იგულისხმება.** კერძოდ, ასო **„მედიის განვითარების ფონდი“,** რომელსაც ცნობილი ფეისბუქ-ცენზორი **თამარ კინწურაშვილი** განაგებს, ბაბუა ბაიდენისაგან მიღებულ დაფინანსებას ისეთ ტელეარხებს, საინფორმაციო სააგენტოებსა და ინტერნეტგამოცემებს გაუნაწილებს, რომლებიც პატიმარ სააკაშვილისა და მისი სექტის გათეთრებით, ლიბერასტული პროპაგანდითა და ეროვნულ-კონსერვატიულ პლატფორმაზე მდგომი პოლიტიკოსების, სამოქალაქო ჯგუფებისა და მედიასაშუალებების მარგინალიზაციით, განსხვავებული აზრისა და საღი მსჯელობის მოგუდვით არიან დაკავებული.

მაგალითად, **დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი „ასავალ-დასავალი“, რომლის პატივსაცემადაც 2007 წლის აპრილში ვაშინგტონში, კაპიტოლიუმის შენობის თავზე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშა აფრიალდა, აშშ-ის მიერ დამოუკიდებელი მედიის განვითარებისათვის გამოყოფილი მილიონობით დოლარიდან ერთ ცენტსაც ვერ მიიღებს, რადგან ამ მილიონების განაწილება ბაბუა ბაიდენის ქართველი შვილიშვილების ხელშია!**

## ასო-ებს აძლევენ!!!

**დასავლეთის შეშფოთება-აღშფოთებანი ვერ გაამთელებს, მაგრამ მაინც ასეთ ანტისახელმწიფოებრივ და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის საზიანო განცხადებებს აკეთებს, რათა უცხოელ პატრონებს გააგონოს — თქვენი ვარ, გრანტები გამოუშვითო!**

ჰოდა, მოდის კიდეც გრანტები **კაპიტან ეკა გიგაურის ასო**-სა და მისი მსგავსი სხვა ასო-ებისათვის!

ო, როგორ გაიბრიქებიან ეს ანტიქართული **ასო**-ები **ბაბუა ბაიდენისაგან** მილიონების მიღების შემდეგ!

ო, რაოდენ თვალსაჩინო გახდება ამ **ასო**-ების პოლიტიკური ერექცია!

აშშ-ის სახელმწიფო დეპარ-

### თუ ნაცლიბერასტები მანამდე შარვლებს მხოლოდ სოფელ ატოცში იხდიდნენ, მომავალი წლიდან უკანალებს საოკუპაციო ხაზთან მდებარე სხვა სოფლებშიც მოიშიშვლებენ!



ატოცში შარვალჩახდილი ნაცლიბერასტები

### საერთოდ, „ასავალ-დასავალს“ არც ბაბუა ბაიდენის დოლარები სჭირდება, არც – ბიძია ვოვას რუბლები და არც – არანაირი გრანტი თუ ტრანში, რომელსაც აუცილებელ პირობად საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება და უცხო ქვეყნებისა თუ პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების სასარგებლოდ მუშაობა მოჰყვება!

დიახ, **„ასავალ-დასავალის“ სიძლიერე და 30-წლიანი წარმატების საიდუმლო სწორედ რეალური დამოუკიდებლობისა და ზეპარტიულობის შენარჩუნებაში, საქართველოს ეროვნული ინტერესების განუხრელ მსახურებასა და მრავალრიცხოვან მკითხველამდე პირუთვნელი სიმართლის მიტანაშია, მაგრამ გული იმაზე გვწყდება, რომ ჩვენს მეგობარსა და სტრატეგიულ პარტნიორს — ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში მოკავშირეებად ეკა გიგაურისა და თამარ კინწურაშვილის მსგავსი ანტიქართული ასო-ები ჰყავს, რომლებიც არაფერს აკეთებენ, გარდა იმისა, რომ ქართველი საზოგადოების თვალში ამერიკისადმი ნდობა შეარყიონ და ნამდვილი დასავლური ფასეულობების დევალვაცია მოახდინონ.**

კარგად რომ დავუკვირდეთ, ეს **ანტიქართული ასო-ები — კოლექტიური ეკაგიგაურები** და **თამარკინწურაშვილები,** რომლებიც ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს ამერიკისა და დასავლეთისადმი ანტაგონისტურად განაწყობენ, სწორედ რომ **რუსეთის საქმეს** აკეთებენ და **კრემლისთვის სასარგებლო იდიოტები** არიან!

ასე რომ, ბაბუა ბაიდენი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, როცა საქართველოში საკუთარ შვილიშვილებს — ეკაგიგაურებსა და თამარ კინწურაშვილებს ეყრდნობა!

**ემანდ, ქართული ანდაზა უკუღმა არ შეტრიალდეს და შვილიშვილების ნაჭამმა ტყემალმა ბაბუას არ მოჭრას კბილი!**

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ოლაფ შოლცი**
*გერმანიის კანცლერი*



რუსეთის უკრაინაში შეჭრა **იმპერიალიზმისკენ** დაბრუნებაა.

„რეზონანსი“

**ალარ კარისი**
*ესტონეთის პრეზიდენტი*



კრემლი კვლავ ცდილობს **„რკინის ფარდის“** დაშვებას ევროპაში.

„რეზონანსი“

**მიხაილ შიშკინი**
*რუსი მწერალი*



არც ნატოს და არც უკრაინელებს არ შეუძლიათ რუსეთის **დეპუტინიზაცია,** ეს რუსებმა უნდა გავაკეთოთ.

„THE GUARDIAN“

**ბორის ჯონსონი**
*დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი*



გაერთიანებული სამეფოს მიზანი არ არის **ვლადიმერ პუტინის** ხელისუფლებიდან ჩამოცილება — **ჩვენი მიზანია დავეხმაროთ უკრაინის ხალხს,** დაიცვას საკუთარი თავი.

„პირველი არხი“

**სერგეი ლავროვი**
*რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



დასავლეთი რუსეთთან მიმართებით პირდაპირ **სახელმწიფო „ბანდიტობამდე“** დავიდა.

„რეზონანსი“



## დავით ქართველიშვილი:
# უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რისთვის და რა დავალებით შემოათრიეს აქ სააკაშვილი! მათი მიზანი რუსეთ-საქართველოს ახალი ომია!



„სააკაშვილის სასამართლო პროცესი რეალობას მოწყვეტილია!“

***ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი აღნიშნავს, რომ სააკაშვილმა, რომლის ფსიქიკური მდგომარეობაც კრიტიკულია, 2008 წელს საქართველო რუსეთზე გამარჯვებულად გამოაცხადა და რა გასაკვირია, თუ უკრაინასაც გამარჯვებულად გამოაცხადებს:***

— წინა კვირას **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** დავით არახამიასა და პეტრე ცისკარიშვილის მიერ თავის დროზე საქართველოში უკრაინის სრულუფლებიან ელჩად დანიშნული **იგორ დოლგოვი** დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. შესაძლოა, ეს ნაბიჯი განპირობებულია უკრაინის პრეზიდენტის უკმაყოფილებით, რომ დოლგოვმა ჯეროვნად ვერ გაართვა თავი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას, აგრეთვე კეზერაშვილის მიერ 2006-2010 წლებში უკრაინიდან წამოღებული სამხედრო ჯართის დარჩენილი ნაწილის უკან დაბრუნების საქმეს. აშკარაა, მეუღლეს ვერც დოლგოვის ცოლმა უშველა, რომელიც თბილისში გამართულ უკრაინის მხარდამჭერ აქციებში მონაწილეობდა. ამას დავუმატოთ ის ფაქტი, რომ ზელენსკიმ ამ გაგანია ომში საქართველოსთან ერთად მაროკოსთვისაც მოიცალა და იქაური ელჩიც მოხსნა, რაც უკვე სიგიჟის აპოთეოზია. უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რისთვის და რა დავალებით შემოათრიეს აქ სააკაშვილი! მათი მიზანი რუსეთ-საქართველოს ახალი ომია!

**— ბატონო დავით, 10 აპრილის შემდეგ ცხინვალში რეფერენდუმს ატარებენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების მიზნით...**

— **ცხინვალის ამ ე.წ. რეფერენდუმის შედეგები დაიდება რუსეთის ფედერაციის საბჭოში და ჩაიკეტება სეიფში. ამის შემდეგ რუსები დაგვაკვირდებიან, როგორ მოვიქცევით უკრაინაში ატეხილი ომის ფონზე და ამ თემით დაგვიწყებენ ვაჭრობას. ეს იქნება შენელებული მოქმედების მეორე ნაღმი ჩვენ წინააღმდეგ!**

**— პირველი ნაღმი რომელია?**

— პირველი ნაღმი გახლავთ ლუგარის ლაბორატორია!

**— სააკაშვილმა განაცხადა, რომ უკრაინამ ომში გაიმარჯვა! საფუძველი?**

— ბუნებაში ვერ ვნახე ადამიანი, რომელსაც ნანახი ექნება 2008 წლის აგვისტოში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაფორმებული ექვსპუნქტიანი შეთანხმება. მაინტერესებს — ეს შეთანხმება ვისა და ვის შორის დაიდო ან ვინ მოაწერა ხელი? მიჩნდება ეჭვი, რომ ეს დოკუმენტი ბუნებაში საერთოდ არ არსებობს. არადა, 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველომ დაკარგა ტერიტორიის 22 პროცენტი, შეიძინა დამატებით რამდენიმე ათეული ათასი დევნილი და აბსოლუტურად გაუგონარი მოტივაციით ოკუპანტ რუსეთს აჩუქა ახალგორის რაიონი! აი, ეს იყო სააკაშვილის მიერ მოპოვებული **„გამარჯვება“**, რომლის შემდეგაც მან გაურკვეველ ვითარებაში მოკლა, აწამა და წყალქვეშა სასაფლაოზე ჩაფლა ის ადამიანები, რომლებიც ან მტერს ებრძოდნენ, ანდა სააკაშვილის ხროვის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებს აპროტესტებდნენ.

სააკაშვილმა შექმნა და შეთითხნა **„ენვერის საქმე“,** რათა 2008 წლის აგვისტოს ომში მებრძოლი ქართველი გმირებისთვის ჩირქი მოეცხო და მათთვის ჯაშუშობა და ქვეყნის ღალატი დაებრალებინა... ამას მოჰყვა **„ფოტოგრაფების საქმე“,** 2011 წლის 26 მაისის საშინელი დარბევა და ათასი უბედურება... **როცა ამის გამკეთებელი კაცი უკრაინასაც „გამარჯვებულად“ აცხადებს, ჩემთვის უკვე ყველაფერი გასაგებია...** რის საფუძველზე ცხადდება უკრაინა „გამარჯვებულად“? უკრაინამ ყირიმი შეინარჩუნა, დონბასი და ლუგანსკი შეინარჩუნა თუ რუსეთის ტერიტორიაზე გამარჯვების პარადი ჩაატარა?

## მიმაჩნია, რომ ამ მძიმე მარხვაში ორი მართლმადიდებელი ძმა და, ფაქტობრივად, ერთი ხალხი რომ ერთმანეთს ხოცავს, ეს უკვე მათი დამარცხებაა!

**— ფაქტია, რომ რუსეთმა კიევი ვერ აიღო!**

— მიმაჩნია, რომ რუსეთის სტრატეგიულ ამოცანას არ წარმოადგენდა კიევისა და ლვოვის აღება. მისი მიზანია, უკრაინის გარკვეული ნაწილი თავის პროტექტორატს დაუქვემდებაროს და ეს ტერიტორია ბუფერულ ზონად გადააქციოს. ლაპარაკია უკრაინის შავიზღვისპირეთის ზოლზე — ოდესაზე, მარიუპოლზე, ნიკოლაევსა და ხერსონზე რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ზეგავლენის დამყარებაზე. **ჩემი ინფორმაციით, რუსეთს ამ ქალაქებში დასანიშნად სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაცია უკვე შერჩეული და შეგულებული ჰყავს.** შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ ანექსირებულ ყირიმში ნომერ პირველ პრობლემად რჩება სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგება. ვკითხულობ — თუ რუსეთი ამ ტაქტიკურ ამოცანებს შეასრულებს, არ აიღებს კიევს და ჩერნიგოვს, მაგრამ გაბატონდება ოდესაში, ხერსონში, ნიკოლაევსა და მარიუპოლში, უკრაინული მხარე და ნაცები ამას მაინც **„გამარჯვებად“** ჩათვლიან? ამიტომაც ვამბობ: **სააკაშვილისა და ნაცების მიერ იმის ყვირილი, რომ „უკრაინამ გაიმარჯვა“, არის სიგიჟე, რომელიც ამ ქვეყანაში 2008 წლის აგვისტოში დაიწყო და დღემდე გრძელდება!**

**— თუ ზელენსკი რუსეთთან კომპრომისზე წავა, უკრაინის მოსახლეობა აპატიებს?**

— გამორიცხულია, არ აპატიებს! ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, თუ რა მოჰყვა 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილის **„გამარჯვებას“** — მთელი საქართველო ქუჩაში გამოვიდა და დაიწყო საკნების ცნობილი აქცია! მაშინ ქართულმა ოპოზიციამ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა პარლამენტში არ შევიდა და მთელი პოლიტიკური ველი მეგის ქარდავას, „მასტერას“, „ქილერას“, კოხტა კოდუასა და მსგავს მანიაკებს დაუტოვა სათარეშოდ. **საქართველომ და ქართველობამ სააკაშვილს ღალატი და ქვეყნის დაღუპვა აპატიეს, მაგრამ ზელენსკის უკრაინელები არაფერს აპატიებენ!**

ერთი რამ ყველამ დაიმახსოვროს: ეს სანქციები რუსეთს სერიოზულ დისკომფორტს უქმნის, მაგრამ უკვე იკვეთება იმის ტენდენციაც, რომ სანქციებმა ევროპაც შეაწუხა.

## „ქართველობამ სააკაშვილს ღალატი და ქვეყნის დაღუპვა აპატია, მაგრამ ზელენსკის უკრაინელები არაფერს აპატიებენ!“

## გერმანელის, ფრანგისა და ინგლისელის გონებამდე ვერ დადის იმის გაფიქრებაც კი, რომ რუსს შეუძლია, სანქციებში იცხოვროს და მთელი ზამთარი დამპალი კარტოფილით გამოხდილ არაყსა და მჟნილზე გადააგოროს!

ევროპელი ამას ვერ იზამს, რადგან ის კომფორტულ ცხოვრებას არის მიჩვეული. გარდა ამისა, მთელ ევროპას სასუქებით სწორედ უკრაინა და რუსეთი ამარაგებდნენ... აქედან გამომდინარე, **რუსეთ-უკრაინის ომის რაც შეიძლება სწრაფად დამთავრებით სწორედ ევროპაა დაინტერესებული. თუ ევროპას უნდა, რომ რუსეთი დაამარცხოს, მაშინ მან კომფორტულ ცხოვრებაზე უარი უნდა თქვას!**

**— მაშ, ვის აძლევს ხელს უკრაინაში ომის გაგრძელება?**

— დავიწყოთ იმით, რომ ევროპის დასუსტება ამერიკის პირდაპირ ინტერესებში შედის. ასე რომ, რაც უფრო გაიწელება უკრაინის ომი, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მით უკეთესი — დასუსტდება რუსეთიც და ევროპაც!

**— ასეთ სიტუაციაში ვისი პოზიცია გადაწონის — ამერიკის, რომელსაც უკრაინაში ომის გაგრძელება სურს თუ — რუსეთისა და ევროპის, რომლებსაც ომის დასრულება უნდათ?**

— მიმაჩნია, რომ ასეთ სიტუაციაშიც კი ევროპელ ლიდერებსა და ვლადიმერ პუტინს შორის არც კულუარული შეხვედრები წყდება და — არც სატელეფონო საუბრები... აქედან გამომდინარე, **მგონია, რომ ევროპელთა დაუოკებელი სწრაფვა კომფორტისა და ფუფუნებისკენ საბოლოოდ გაიმარჯვებს ამერიკელთა პოლიტიკურ ზრახვებზე და ომი უკრაინაში დასრულდება არა ამერიკული, არამედ რუსულ-ევროპული სცენარით!**

**— თქვენ „ქართული ოცნების“ დროს უშიშროების მალალჩინოსანი იყავით... კი მაგრამ, ამდენი უბედურების ჩამდენ სააკაშვილს პროკურატურა 9 მილიონის გაფლანგვას უნდა ედავებოდეს თუ სახელმწიფო ღალატს?**

— იმის მუდმივი მოშველიება, რომ ბოკერიას ინიციატივით, სახელმწიფო ღალატის მუხლი ნაცებმა გააუქმეს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ცხადია, სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლის აღდგენა შესაძლებელი იყო, რაც არ გაკეთდა... **ბოკერიამ და ნაცებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მათ სწორედ სახელმწიფო ღალატის მუხლით მოუწევდათ გასამართლება, ამიტომაც ეს მუხლი საერთოდ გააუქმეს.** არ ვიცი, რა და როგორ უნდა მოხდეს, სააკაშვილი სწორედ სახელმწიფო ღალატის ბრალდებით რომ გაასამართლონ, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის სასამართლო პროცესი რეალობას მოწყვეტილია!

## „სააკაშვილისა და ნაცების მიერ იმის ყვირილი, რომ „უკრაინამ გაიმარჯვა“, არის სიგიჟე, რომელიც 2008 წლის აგვისტოში დაიწყო და დღემდე გრძელდება!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

### კვირგვინოსნები



**მიხეილ ყაველაშვილი**
*პარლამენტარი*

**ნაციონალური მოძრაობა დამთავრებულია.** შეუძლებელია, ამ ქვეყანაში **ნაციონალურმა მოძრაობამ** გაიმარჯვოს, ხელისუფლებაში მოვიდეს.

„რეზონანსი“



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

**თუ ჩვენ ამ მთავრობას არ ჩამოვაგდებთ,** ეს თაობა სამუდამოდ დარჩება სასირცხვილოდ უკრაინის ისტორიაში. **თუ არ მოვახერხებთ ხალხის მობილიზებას და ქუჩებში არ გამოვალთ,** საქართველო დაღუპულია.

„რეზონანსი“



**ბუბა კიკაბიძე**
*მომღერალი*

თუ **ქალბატონ პრეზიდენტს** უნდა, რომ **საქართველოსთვის ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთოს, გამოუშვას მიშა.**

„ინტერპრესნიუსი“



**სოსო ცისკაძე**
*პოლიტოლოგი*

როგორც ჩანს, **სალომე ზურაბიშვილმა** „ქართული ოცნებისა“ და პირადად **ღარიბაშვილის** გაგიჟება გადაწყვიტა. თუ ასე გააგრძელებს, **მალე პრეზიდენტის პოსტს გააუქმებენ.**

„ახალი თაობა“



# სააკაშვილისა და ზელენსკის ანტიქართული შეთქმულება გაშიფრულია!

**„ქინძისა“ და „მწვანილაძის“ ერთობლივი სპეცოპერაციის პირველი ფაზა ქართულმა სახელმწიფომ წარმატებით მოიმწვანილა!**

***უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოდან ელჩი უკვე ოფიციალურად გაიწვია, რადგან მიიჩნევს, რომ იგი მხოლოდ საკუთარი თანამდებობის შენარჩუნებაზე ფიქრობდა და ვერ უზრუნველყო, რომ ქართულ სახელმწიფოს რუსეთისათვის სანქციები დაეწესებინა, ხოლო უკრაინისათვის იარაღი მიეწოდებინა.***

**პირდაპირ თუ ვიტყვით, საქართველოში უკრაინის აწ უკვე ყოფილი ელჩისადმი პრეზიდენტ ზელენსკის პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ იგორ დოლგოვმა რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტში საქართველოს ჩასათრევად სათანადო მუშაობა ვერ გასწია, ხოლო, თუ ფრჩხილებს ბოლომდე გავხსნით, სათანადოდ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული როლი ზელენსკის ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის ერთობლივ სცენარში, რომელიც საქართველოში რუსეთისათვის მეორე ფრონტის გახსნას გულისხმობს!**

ასეთი გეგმა ზელენსკის ხელისუფლებასა და საქართველოში მის მოკავშირე ნაციონალურ მოძრაობას რეალურად რომ გააჩნიათ, ეს საბოლოოდ დადასტურდა რამდენიმე დღის წინათ, როცა უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა **ალექსეი დანილოვმა** განაცხადა: ***„თუ დნესტრისპირეთი და საქართველო დღეს დაკავებული იქნებიან თავიანთი ტერიტორიების დაბრუნებით, უფრო მეტიც, პოლონეთს ჯერ ოფიციალურად არ გამოუთქვამს პრეტენზია კალინინგრადის რეგიონზე, ეს აუცილებლად დაგვეხმარება, რადგან რუსებს რამე ექნებათ გასაკეთებელი, გარდა ჩვენი ქალაქების განადგურებისა, ჩვენი ბავშვების და ქალების მკვლელობისა“.***

ასე რომ, უკრაინელი სახელმწიფო მაღალჩინოსნის ამ განცხადებამ გახსნა კვანძი, რომელიც ზელენსკის ხელისუფლებამ და მისმა მოკავშირე ნაცებმა საქართველოს წინააღმდეგ ორკესტრირებული პროპაგანდით შეკრეს. კერძოდ, როცა უკრაინის ხელისუფლებისა და სააკაშვილის პოლიტიკური ბანდფორმირების მხრიდან ორგანიზებულმა პოლიტიკურმა და მორალურმა წნეხმა შედეგი ვერ გამოიღო, **ანუ ღარიბაშვილის მთავრობამ არ გადადგა ნაბიჯები, რომლებიც რუსეთ-უკრაინის ომში საქართველოს პირდაპირ ჩართვას გამოიწვევდა და ჩვენს ქვეყანას რუსული სამხედრო აგრესიის რეალური საფრთხის წინაშე დააყენებდა,** უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანს ნერვებმა უმტყუნა და პირდაპირ გაშიფრა ის გეგმა, რომლის რეალიზებასაც ზელენსკის ხელისუფლება და ნაცმოძრაობა მანამდე, ასე თუ ისე, შეფარულად ცდილობდნენ — **საქართველომ რუსეთს მეორე ფრონტი უნდა გაუხსნას, რათა პუტინს პარალელური პრობლემები გაუჩნდეს და უკრაინული ქალაქების დაბომბვის გარდა ქართული ქალაქების დაბომბვაც მოუხდეს, უკრაინელი ქალებისა და ბავშვების დახოცვასთან ერთად ქართველი ქალებისა და ბავშვების დახოცვამაც მოუწიოსო!**

გეგმა, რომ უკრაინის ომის პარალელურად რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში საქართველოც ყოფილიყო ჩათრეული, რაც პუტინს ორ ფრონტზე ბრძოლასა და, შესაბამისად, რესურსების ორი მიმართულებით გადანაწილებას აიძულებდა, იმ ძალების მოფიქრებულს ჰგავს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქმე უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე მიეყვანათ და უკრაინა აშშ-რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად გადაექციათ.

**ზოგადად, უკრაინის ხელისუფლებასა და სააკაშვილის ბანდას ერთი და იგივე პატრონი რომ ჰყავთ და ორივე ერთი და იგივე პოლიტიკური ცენტრიდან იმართებიან, ჯერ კიდევ მაშინ გახდა ცხადი, როცა ზელენსკიმ ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი დამნაშავეები შემოიხვეწა,** ხოლო სავარაუდო გეგმა, რომელიც ზელენსკისა და სააკაშვილის ერთობლივმა პატრონებმა დასახეს, ასეთი გახლდათ — **წინასაარჩევნოდ საქართველოში შეპარულ სააკაშვილს ხელისუფლება უნდა დაემხო, რათა იმ დროისათვის, როცა უკრაინის ტერიტორიაზე აშშ-ისა და რუსეთის სამხედრო დაპირისპირება გაჩაღდებოდა, საქართველოს სათავეში ყოფილიყო ძალა, რომელიც ამ ომში ჩაერთვებოდა და რუსეთს მეორე ფრონტს გაუხსნიდა!** ყოველივე ამას წინ უსწრებდა უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კოლექტიური დასავლეთის ლიდერების მხრიდან რუსეთის გასაგონად გაკეთებული სისტემატური განცხადებები უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში მიღების შესახებ, რასაც შორეულ პერსპექტივაშიც კი არ განიხილავდნენ.

**გონივრულ ეჭვს იმის შესახებ, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოპარება ზელენსკის ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის ერთობლივი ოპერაცია იყო, ორი კონკრეტული გარემოებაც აძლიერებს. პირველი:** სააკაშვილმა უკანონოდ გადმოკვეთა არამხოლოდ საქართველოს საზღვარი, არამედ საქართველოში ტრაილერით გამომგზავრებამდე უკანონოდ გადაკვეთა უკრაინის საზღვარიც! შესაბამისად, სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არამხოლოდ ქართულ სახელმწიფოს, არამედ უკრაინის სახელმწიფოსაც უნდა აღეძრა, მაგრამ ზელენსკის ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა! **მეორე:** სააკაშვილს ჯერ უკრაინის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში, ხოლო შემდეგ საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთაში **ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე დაეხმარა!** ამდენად, ლორთქიფანიძის წინააღმდეგ შესაბამისი ბრალდებით საქმე არამხოლოდ საქართველოს პროკურატურას, არამედ უკრაინის პროკურატურასაც უნდა აღეძრა, მაგრამ ზელენსკის ხელისუფლებამ ლორთქიფანიძის წინააღმდეგ არათუ საქმე არ აღძრა, არამედ იგი კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილედ დანიშნა!

## სააკაშვილის საქართველოში შემოპარება ზელენსკის ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის ერთობლივი ოპერაცია იყო!

**ყოველივე აქედან გამომდინარე და კიდევ იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იჩენენ ერთობლივ ძალისხმევას საქართველოს ომში ჩასათრევად უკრაინის ხელისუფლება და ნაციონალური მოძრაობა, ვფიქრობთ, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოპარება, რაც ხელისუფლების დამხობასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად, სხვა არაფერი იყო, თუ არა ზელენსკის ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის ერთობლივი შეთქმულება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ!**

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ სააკაშვილმა თავის ყოფილ სატრფოსთან და აწ უკვე მისი შვილის დედასთან, მომღერალ **სოფო ნიჟარაძესთან** ერთ-ერთ სატელეფონო საუბარში თქვა — **ქინძი ვიყოო, ხოლო უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის გვარს „მწვანილაძედ“ ან „მწვანილაშვილად“ ვთარგმნით, მაშინ გამოდის, რომ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ სპეცოპერაციას „ქინძი“ და „მწვანილაძე“ ერთობლივად ახორციელებდნენ!**

„ქინძისა“ და „მწვანილაძის“ ერთობლივი სპეცოპერაციის პირველი ფაზა, რომელიც გასული წლის ოქტომბერში საქართველოს ხელისუფლების დამხობას გულისხმობდა, ქართულმა სახელმწიფომ **წარმატებით მოიმწვანილა!**

იმედია, ქართული სახელმწიფო **წარმატებით მოიმწვანილებს** „ქინძისა“ და „მწვანილაძის“ ერთობლივი სპეცოპერაციის მეორე ფაზასაც, რომელიც საქართველოს რუსეთთან ომში ჩათრევას გულისხმობს!

**ჯაბა ხუბუა**

## ელჩმა იგორ დოლგოვმა სათანადოდ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული როლი ზელენსკის ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის ერთობლივ სცენარში, რომელიც საქართველოში რუსეთისათვის მეორე ფრონტის გახსნას გულისხმობს!



## კვირგვინოსნები

**ანზორ აბრალავა**
*ანალიტიკოსი*



**საქართველოს ომში ჩათრევა უნდათ** იმ ძალებს, რომლებიც 2008 წელს რუსეთის სამხედროებს არათუ არ ებრძოდნენ, არამედ ემსახურებოდნენ. **ზოგიერთი პოლიტიკოსი სააკაშვილის გარემოცვიდან რუსებს გორში სტალინის ძეგლის დაბომბვას სთხოვდა,** დღეს კი უნდა, რომ საქართველო გახდეს მეორე ფრონტი.

„ახალი თაობა“

**ირაკლი ბერაია**
*პარლამენტარი*



უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა კი არა, ვინც უნდა მოგვიწოდოს, **საქართველოს ხელისუფლება მისი გაცხადებული სამშვიდობო პოლიტიკიდან გადახვევას არ აპირებს,** ასე იყო აქამდე და ასე იქნება მომავალშიც.

„რეზონანსი“

**ზაალ იაკობიძე**
*„ხენტა პეტროლეუმის“ დამფუძნებელი*



მოლაპარაკება რამდენიმე ქვეყანასთან მიმდინარეობს და შეთანხმება თუ შედგა, **ერთ ლიტრ საწვავზე სხვაობა, შესაძლოა, 50-60 თეთრი იყოს.** საქართველოს მთავრობა ცდილობს და უკვე დაწყებული აქვს მოლაპარაკება სხვადასხვა ქვეყანასთან, რომ **შესასყიდი ფასი საქართველოსთვის იყოს იაფი, ვიდრე საერთაშორისო ბაზრის ფასებია.**

„რეზონანსი“

**ლადო პაპავა**
*პროფესორი*



რუსეთი ახლა იმდენად გამწარებულია, რომ უკრაინაში მარცხის შემთხვევაში სადღაც რაღაც წარმატებას მოინდომებს. ამ ვითარებაში კი **ნამდვილად არ იქნება გამართლებული, საქართველომ დაუშვას ისეთი შეცდომები, რომლებიც გამოიწვევს რუსული აგრესიის საქართველოზე გადმორთვას.** ეს მიუტევებელი შეცდომა იქნება.

„კვირის პალიტრა“

# «ასავალ-დასავალს» უკვე

## „ასავალ–დასავალის“ ჟურნალისტი, ისტორიკოსი დიტო ჩუბინიძე მეცნიერებათა დოქტორი გახდა!



## დიტო ჩუბინიძე:

## ჩემს დისერტაციაში ვამტკიცებ, რომ 1991–1992 წლების სისხლიანი მოვლენები დაიწყო არა დეკემბერში, არამედ 1991 წლის 2 სექტემბერს კინოსახლთან, სადაც ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ და მისმა აქტივმა პროვოკაცია მოაწყვეს!

***იმ ისტორიული მაკულატურის ფონზე, რომელიც უკანასკნელ ხანს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენათა შესახებ შეიქმნა, ნამდვილი გამონათება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2022 წლის 28 მარტს დაცული სადოქტორო დისერტაცია, რომლის ავტორიც ჩვენი კოლეგა, ისტორიკოსი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი ДИТО ჩუბინიძეა. სადოქტორო დისერტაცია — „1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში და საერთაშორისო-პოლიტიკური კონტექსტი,“ ჩვენი უახლესი ტრაგიკული ისტორიის ის პირუთვნელი შეფასებაა, რომელიც ფეიკების ეპოქაში ბევრ მიჩქმალულ ფაქტს მოჰფენს ნათელს და რომელსაც მომავალში არაერთი მკვლევარი დაეყრდნობა! ვულოცავთ დიტო ჩუბინიძეს საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას და გთავაზობთ ინტერვიუს მისი სამეცნიერო განაცხადის კვალდაკვალ:***

— უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა, გადავუხადო ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **იგორ კვესელავას,** ძვირფას ოპონენტებს, პროფესორებს **ედიშერ გვენეტაძესა** და **დიმიტრი შველიძეს,** აკადემიკოს **როინ მეტრეველსა** და **ელიზბარ ჯაველიძეს,** უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **დავით გურგენიძეს** და დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ **თამარ კიკნაძეს.** ჩემს წარმატებაში მათი დიდი წვლილიც არის!

როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ამ თემაზე დისერტაცია, ყოველი შემთხვევისათვის ტექნიკურ უნივერსისტეტში, ჯერ არ დაცულა. **ალნიშნულ საკითხებზე საუბარს ყველა ერიდება, რადგან იმ უბედურების ფიგურანტები, ვისაც 1991-1992 წლების სისხლში ხელები აქვთ გასვრილი, დღესაც ცოცხლები არიან და ავსებენ როგორც ოპოზიციის, ასევე ოპოზიციის რიგებს.**

პირდაპირ ვამბობ — საქართველოსთვის ბედნიერებაა, რომ დღეს ქვეყნის სათავეში არის ღირსეული პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ამ უბედურებაში მონაწილეობა არ მიუღია, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი ქვეყნის პრეზიდენტზე, რომელმაც ხელი შეუწყო ხელისუფლების დამხობას!

**— რა წვლილი მიუძღვის სალომე ზურაბიშვილს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში?**

— მისი მეუღლე **ჯანრი კაშია** „კაგებეს“ ნომრიანი აგენტი იყო და კრემლის დავალებას ასრულებდა. ესეც თავის კაგებეშნიკ მეუღლესთან ერთად ზვიად გამსახურდიას დასამხობად იდეოლოგიურ ნიადაგს ამზადებდა. **პარიზში გამომავალ ქართულ-ევროპულ ჟურნალ „ივერიაში“ გამუდმებით იბეჭდებოდა მათი ბინძური პუბლიკაციები ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ.** მხარს უჭერდნენ იმ უწვერო თუ წვერმოშვებულ კრიმინალებს, რომლებმაც ქვეყანა დაღუპეს და დააქციეს.

საუბედუროდ, დღეს სალომე ზურაბიშვილი იმ ხუთჯვრიანი დროშის ფონზე გვარიგებს ჭკუას, რომელიც არა ჩემი, არამედ სამშობლოს მოღალატის — ჰალსტუხჭამია, დამარცხებული და მუცელზე მხოხავი სააკაშვილის პარტიული დროშაა. საქართველოს სიმბოლო ის შვინდისფერი დროშაა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა და ივანე ჯავახიშვილმა შექმნეს და რომელიც ჭეშმარიტმა ეროვნულმა გმირებმა — ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ ააფრიალეს.

**— ჩვენი უახლოესი ისტორიის, მათ შორის, 1991-1992 წლების მოვლენათა შესახებ ბევრი რამ არის ცნობილი, მათ შორის, თქვენი პუბლიკაციებიდანაც. რა სიახლეა თქვენს სამეცნიერო ნაშრომში, რომელსაც დღეს პირველად შეიტყობს მკითხველი?**

— ჩემს დისერტაციაში ვამტკიცებ, რომ 1991-1992 წლების სისხლიანი მოვლენები დაიწყო არა დეკემბერში, არამედ 1991 წლის 2 სექტემბერს კინოსახლთან, სადაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ **გიორგი ჭანტურიამ** და მისმა აქტივმა პროვოკაცია მოაწყვეს. 2 სექტემბერს დაწყებულ სახელმწიფო გადატრიალებას რამდენიმე სისხლიანი და უსისხლო ფაზა ჰქონდა, ამიტომ **ტერმინი 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები** უნდა შეიცვალოს **1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენებით.** წინა დღით გიორგი ჭანტურიას თბილისის მაშინდელი პოლიცმაისტერი **ალექსანდრე მიქაბერიძე** შეხ-



## ყველაფერი აქიდან დაიწყო:

**1991 წლის 2 სექტემბრის აქცია თბილისში, კინოსახლთან**



გიორგი (გია) ჭანტურია

### კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**

*დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟი*



**დღეს ჩვენი სახელმწიფო ძალიან დიდი გამოწვევების წინაშეა.** ჩვენ გვიკიჟინებენ ე.წ. **„კლავიატურის ლომები“, „მილიტარისტები“,** მათი ნაომარი არ გაიშვა, ცდილობენ, საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულონ, რატომ არ გახვიეს ქვეყანა ომში. **რუსის ჯარი გავიდა აფხაზეთიდან და შევიდეთო... ანუ რას შვრები? ის ხალხი უნდა დახოცო? ეს არის ჩვენი სალაპარაკო ენა ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან?** მათმა იდეურმა მამამ შევარდნაძემ აფხაზეთში რაც ჩაიდინა, ამ **„კლავიატურის ლომებს“** იმავეს გამეორება უნდათ.

„TV იმედი“

**გოგა ჩანადირი**

*ფოტოდოკუმენტალისტი*



**არცერთ ქვეყანას** იმაზე მეტი არ გაუკეთებია უკრაინისთვის, რამდენიც საქართველომ და ქართველმა ხალხმა; **არცერთ ქვეყანას** იმაზე დიდი სიმწარე არ განუცდია რუსეთისგან, **როგორც საქართველოს; არცერთ ქვეყანას** იმხელა მსხვერპლი არ გაუღია უკრაინისთვის, **რამდენიც საქართველოს; არცერთი ქვეყნის** მებრძოლი მოხალისე არ არის უკრაინაში, **რამდენიც ქართველია.** რა საქციელია ეს ზელენსკისგან? **არ მომწონს. და უკვე ეჭვიც მაქვს, რომ ერთგვარი ნაბიჯია საქართველოს ომში ჩასათრევად, მეორე ფრონტის გახსნის დასაქოქად.**

„აიპრესი“

# თავისი ჰეროდიტოც ჰყავს!



„საქართველოსთვის ბედნიერებაა, რომ დღეს ქვეყნის სათავეში არის ღირსეული პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ამ უბედურებაში მონაწილეობა არ მიუღია, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი ქვეყნის პრეზიდენტზე, რომელმაც ხელი შეუწყო ხელისუფლების დამხობას!“

ვდა და ზვიად გამსახურდიას თხოვნა გადასცა — ამერიკელი კონგრესმენები არიან ჩამოსული, ქვეყნის აღიარების საკითხი წყდება და აყალმაყალს ნუ ატეხთო. მიუხედავად ამისა, გიორგი ჭანტურია ალექსანდრე მიქაბერიძეს პოლიციის დარბევით დაემუქრა და დაარბია კიდეც!

გიორგი ჭანტურიას ისევე, როგორც 1988 წელს დაწყებული ე.წ. ნოემბრის აქციების უკან საბჭოთა კავშირის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი **ედუარდ შევარდნაძე** იდგა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაც მის მიერ იყო დაფუძნებული, დაფინანსებული და მართული. **ის, რომ ხელისუფლების დამხობის პროცესი სექტემბრიდან დაიწყო, დასტურდება გერმანიის ერთ პატარა ქალაქში გამართული ბანკეტითაც.**

**— რა ბანკეტზე საუბრობთ?**

— ცნობილ მოვლენებამდე სამი თვით ადრე გერმანიაში გაიმართა ბანკეტი, რომელსაც ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელმძღვანელები და მსოფლიო პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ბანკეტის მასპინძელი **ედუარდ შევარდნაძე** გახლდათ. მან გადაიხადა ფული. ამ ამბავში ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ის არის, რომ ხელისუფლების დამხობამდე 3 თვით ადრე ბანკეტზე ედუარდ შევარდნაძე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ისე ადღეგრძელეს!

ეს ცნობა ქართველმა ემიგრანტმა **რენო სირაძემ** მომაწოდა. მას აქვს ამ ბანკეტის მონაწილეთა სია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებას დღემდე აზრადაც არ მოსვლია, ეს ადამიანი დაეკითხა — საიდან აქვს სია, ვინ ესწრებოდა ბანკეტს, რა დაიგეგმა აღნიშნულ შეკრებაზე და ა.შ.

**— დისერტაციაზე მუშაობისას რა დასკვნამდე მიხვედით — ვინ იდგა ედუარდ შევარდნაძის უკან — რუსეთი თუ ის ამერიკა, რომლის პრეზიდენტმაც ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ ცურვაში დაადანაშაულა?**

— არსებობს რუსი ავტორის **სპარტაკ ჟიტკოვის** ცნობა, რომ ცნობილმა მოქანდაკემ **ზურაბ წერეთელმა** თავის სახელოსნოში **თენგიზ კიტოვანი** გენერალ **პაველ გრაჩოვს** შეახვედრა. წარმოგიდგენიათ, რა დონეზე იყო ყველაფერი მოკვარახჭინებული?! ასევე რუსეთის მერმა **გავრილ პოპოვმა** ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ აღიარა, რომ მოსკოვს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება 65 მილიონი დაუჯდა. ამ ფულის ნაწილი საქართველოში პირადად ჩამოიტანა პროფესორმა და კაგებეშნიკმა **გურამ მამულიამ.**

1991 წლის 19 აგვისტოს ბუშის მიერ გაკეთებულმა ცნობილმა განცხადებამ — **ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო,** საბოლოოდ გადაწყვიტა ეროვნული ხელისუფლების ბედი, მწვანე შუქი აუნთო საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების დაწყებას. არსებობს ირიბი მტკიცებულებები, რომ შევარდნაძემ საბჭოთა კავშირის დანგრევაში დასავლეთისგან დიდძალი ფული აიღო. **ჯეიმს ბეიკერი** დავალებული იყო მისგან და საქართველოში გამოშვებით უმუშევრად დარჩენილ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ფუნქცია მიანიჭა.

გლობალურ საკითხებში ამერიკა და რუსეთი ყოველთვის თანამშრომლობდნენ. მათი ინტერესები ამ საკითხშიც დაემთხვა. ამიტომაც დაიხვრიტნენ ქართველი პატრიოტები მშვიდობიან მიტინგებზე, ამიტომაც დუმდა სახელმწიფო დეპარტამენტი და ევროპის წამყვანი ოფიციოზები ძალადობრივი გზით ხელისუფლების დამხობაზე. არადა, იმ პერიოდში კუნძულ ჰაიტიზეც მოხდა გადატრიალება — აჯანყებულებმა კანონიერი ხელისუფლება დაამხეს, მაგრამ შტატების აქტიურობის შედეგად პრეზიდენტი არისტიდი თავის თანამდებობას მალევე დაუბრუნდა. არსებობს უტყუარი ცნობები იმასთან დაკავშირებით, როდის გაუფუჭდა ზვიად გამსახურდიას ურთიერთობა **უფროს ბუშთან.**

**— საინტერესოა...**

— ყველაფერი 1991 წლის ივლისში დაიწყო, როცა **უფროსი ბუში** ვიზიტით იმყოფებოდა მოსკოვში. იმ პერიოდში ცნობილი ქართველი მოქანდაკე **ზურაბ წერეთელი** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახლდათ და შეეცადა, ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი **ზვიად გამსახურდიასა** და **ბუშის** არაოფიციალურ შეხვედრაზე დაეთანხმებინა. საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად აღიარებული და, შესაბამისად, ეს შეხვედრა სხვაგვარად ვერ შედგებოდა. **ზურაბ წერეთლის** წინადადებას **გორბაჩოვი** დათანხმდა — საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ საბოლოოდ ეს საკითხი ამხანაგმა **შევარდნაძემ** გადაწყვიტოსო. შევარდნაძემ კი, ცხადია, ყველაფერი სათავისოდ გადაწყვიტა.

**— მაინც როგორ?**

— ზურაბ წერეთლის ზარის შემდეგ ზვიად გამსახურდია მეუღლესთან, შვილებთან, პირადი დაცვის წევრებთან, უშიშროების მინისტრთან და სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად სპეცრეისით გაემგზავრა მოსკოვში. მეორე დილით, როდესაც **ზურაბ წერეთელთან** ერთად სახელოსნოში ბუშთან შესახვედრად უნდა წასულიყო, თითქოს ჯოჯოხეთიდან ამოძვრა **ედუარდ შევარდნაძე.** რუხი ფერის „გაზ-31“-ით მივიდა იქ, სადაც დელეგაცია იმყოფებოდა. დაახლოებით 15 მეტრის მოშორებით დადგა. საქარე მინა ჩასწია და ზურაბ წერეთელს ორი თითი დაუქნია. მანაც პატარა ბავშვივით, კუნტრუშ-კუნტრუშით მიირბინა მანქანასთან, ჯერ თავი შეყო, მერე კარი გააღო, მანქანაში ჩახტა და შევარდნაძესთან ერთად წავიდა. ანუ მასპინძელი, რომელსაც სტუმრები თავის სახელოსნოში ბუშთან შესახვედრად უნდა წაეყვანა, შევარდნაძემ მოიტაცა. **ზურაბ წერეთელიც ედუარდ შევარდნაძის გავლენის ქვეშ იყო. ცნობილი მოქანდაკე მისგან დავალებული გახლდათ.**

ზვიად გამსახურდია ამ დროს ქართული სათვისტომოს ტექნიკურ პერსონალს ესაუბრებოდა და ეს მომენტი არ დაუნახავს. როცა მას მომხდარის შესახებ მოახსენეს, გაბრაზებულმა თქვა — მაგას ჰგონია, ამით მე მიშავებს, სინამდვილეში საქართველოს უსპობს მომავალსო!

ის, რომ სახელმწიფო გადატრიალების უკან ედუარდ შევარდნაძე იდგა, კიდევ ერთი ფაქტით დასტურდება, რაც ასევე ასახულია ჩემს დისერტაციაში.

**— კერძოდ?**

— 1991 წლის ივლისში შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას დაურეკა და პირდაპირ უთხრა — **ბატონო ზვიად, შენს თავისუფალ საქართველოს სულ მალე სისხლში ჩავახშობო.** მან მართლაც შეასრულა ეს დანაპირები. მთელი უბედურება ის არის, რომ ამ ბინძურ საქმეში მის გვერდით დადგა ე.წ. **კინოს ინტელიგენცია.** შევარდნაძემ გამსახურდიას წინააღმდეგ მთელი კინოსტუდია — 700 კაცი აამხედრა. სამწუხაროდ, ჩვენი კინორეჟისორები და მსახიობები უზარმაზარ კორუფციულ სქემებში იყვნენ ჩაფლული. იმისთვის, რომ ქურდობა და აღვირახსნილობანი დაეფარათ, ბოროტების მხარეს დადგნენ.

შევარდნაძე იყო ყველაფრის არქიტექტორი. ის იდგა 9 აპრილის ტრაგედიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ძალად მაცხონე დისიდენტის **თამარ ჩხეიძის,** „მხედრიონისა“ და ჯაბა იოსელიანის უკან, რომელიც აგრომრეწვის თავმჯდომარის, ცნობილი პარტიული ფუნქციონერისა და შევარდნაძის „კასირის“ **გურამ მგელაძის** ხელის ბიჭი გახლდათ. სხვათაშორის, სწორედ გურამ მგელაძემ გადაურიცხა „მხედრიონს“ 14 მილიონი მანეთი, რაც მაშინ უზარმაზარი თანხა იყო. ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ იტყვის ვინმე, ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლაო?! სხვათაშორის, ამერიკელ ჟურნალისტთან **თომას გოლცთან** საუბარში, კითხვაზე — მოკლეს თუ თავი მოიკლაო, შევარდნაძემ უპასუხა — **ზვიადი ამ ქვეყნიდან თავისი ნებით წავიდა, კიდევ კარგი, რომ არ ესროლესო...** ბუნებრივია, ყველაფერი ნათელია!

**— არის თუ არა საკითხები, რომლებზეც დისერტაციაში მტკიცებულებით ფორმაში ვერ ლაპარაკობთ?**

— დარწმუნებული ვარ, ჩაწერილი იქნება **ბეიკერისა და შევარდნაძის შეხვედრები,** როდესაც გადატრიალების მოწყობაზე მსჯელობდნენ და ფუსფუსებდნენ, უბრალოდ, ეს დოკუმენტები ახლა არ ჩანს. დადგება დრო, როცა დღის სინათლეს იხილავს და საბოლოოდ დადასტურდება, რომ სახელმწიფო გადატრიალების პირველი ვიოლინო **ჯეიმს ბეიკერი** იყო.

**— გიფიქრიათ, 50 წლის შემდეგ რას იტყვის თქვენს ნაშრომზე ხალხი?**

— 50 წლის შემდეგ უფრო მეტი დოკუმენტი იქნება გამომზეურებული, რაც კიდევ უფრო ნათელს გახდის 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენებს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ჩემს ნაშრომს მომავალი ისტორიკოსებიც დაეყრდნობიან, რადგან, რაც იქ წერია, პირუთვნელი სიმართლეა და მართალი გულით არის ნათქვამი!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## ბოლოთქმა

***ის, რომ დიტო ჩუბინიძის დისერტაცია მართალი გულით არის დაწერილი, ამის ერთ-ერთი გარანტი მეც გახლავართ — ადამიანი, რომელიც წლებია, მის გვერდით „ასავალ-დასავალში“ ვმუშაობ. ისიც ეჭვგარეშეა, რომ ჩემი მეგობარი და დღევანდელი რესპონდენტი კიდევ ბევრ მტვერს გადაწმენდს საიდუმლოებით მოცულ ფოლიანტებს.***

**P.S.**

მსოფლიოს ისტორიას ლეგენდარული ჰერო**დოტე** ჰყავდა... ამიერიდან ჩვენც გვყავს ჩვენი ჰერო**დიტო**, ერისკაცობაში — **დიტო ჩუბინიძე!**

## კვირგვინოსნები

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი*



ახლა ნახავთ, **ცხინვალის გამყოფ ზოლთან ვითომ მამაცი „მამულიშვილები“ დაიწყებენ პროვოკაციების მთელ სერიას.** ამ პროვოკაციების მიზანი კვლავ რუსეთის გამოწვევაა და **ერთი სული აქვთ, რუსეთი ბოლოს და ბოლოს ძალიან გაბრაზდეს და უკრაინის პარალელურად საქართველოზეც წამოვიდეს.** აი, ესაა ნამდვილი ღალატი და მოღალატეობა. გამოვფხიზლდეთ!

„აიპრესი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



საქართველოს მტრები მოკალათებული არიან უკრაინის ხელისუფლებაში, ვგულისხმობ **ადეიშვილს, მერაბიშვილს, ოქრუაშვილს, ლორთქიფანიძეს.** არც ფარავენ და არც მალავენ. **დანილოვის** განცხადების მერე ნათელი გახდა — **ისინი ყველანი ერთად მონაწილეობდნენ მცდელობაში, რომ საქართველო ჩაეთრიათ ომში და მეორე ფრონტი გახსნილიყო.** ამაზე უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი ღიად ლაპარაკობს, ეს იყო მათი ამოცანა. აქედან გამომდინარე, მინდა, მივმართო საქართველოს ხელისუფლებას — **როდემდე უნდა ვითმინოთ ამ პროვოკატორების თარეში საქართველოში, როდემდე უნდა ითმინოს საზოგადოებამ ის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, რისი მოწმეებიც ვართ?** როდის უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის?

„პირველი არხი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ნაცების ბელადმა რომ თქვა, **უნდა ჩამოვაგდოთ ეს მთავრობაო,** დაგმე? ვერ დაგმე, არ გაქვს ერთი ადგილი და ამიტომ ხარ **„ჭიჭე ვაშაძე“!**

„ინტერპრესნიუსი“

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



ვინც იტყვის, რომ **მთავრობა, „ქართული ოცნება“ ან ივანიშვილი** პრორუსულია, ის, უბრალოდ, ფანტაზიორობს, **ანა ფოტიგა** ამწუთას არის ფანტაზი.

„ინტერპრესნიუსი“



# ძირს ბიბილოვის რეფერენდუმი!




***2022 წლის 10 აპრილს ე.წ. სამხრეთ ოსეთში „საპრეზიდენტო არჩევნებია“ დანიშნული, რამდენიმე დღის წინათ კი სეპარატისტული რეჟიმის ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა რუსეთთან შეერთების შესახებ რეფერენდუმის გამართვა დააანონსა.***

## ერთადერთი რეფერენდუმი, რომელიც შეიძლება, ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარდეს და რომელიც ოსურ ეთნოსს გადაშენებისაგან გადაარჩენს, ეს არის რეფერენდუმი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შესახებ!

*— ოსი ხალხის — გაყოფილი ხალხის — მთავარი ისტორიული, სტრატეგიული მიზანი ერთი სახელმწიფოს საზღვრებში გაერთიანებაა და ეს სახელმწიფო არის რუსეთის ფედერაცია. ჩვენმა ხალხმა არაერთხელ დაისახა ეს მიზანი, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, 2014 წელს აგვესრულებინა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ოცნება, როცა ყირიმი მშობლიურ ნავსადგურს დაუბრუნდა. მაშინ ხელიდან გავუშვით ჩვენი შანსი, მაგრამ ამის გამეორებას ვერ დავუშვებთ. ვფიქრობ, რუსეთთან გაერთიანება არის ჩვენი სტრატეგიული მიზანი, ჩვენი გზა და ხალხის მოლოდინი. ჩვენ ამ გზით ვივლით. უახლოეს მომავალში გადავდგამთ შესაბამის სამართლებრივ ნაბიჯებს. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა იქნება მისი ისტორიული სამშობლოს — რუსეთის ნაწილი!* — წერია რუსეთის მიერ ოკუპირებული ე.წ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის განცხადებაში.

ჯერ ის ვთქვათ, რომ ბიბილოვის განცხადება, თითქოს რუსეთი „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ისტორიული სამშობლოა“, გახლავთ სასაცილო, უსინდისო და უბადრუკი ტყუილი, რადგან არათუ **„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“**, არამედ მთლიანად ოს ხალხს, როგორც ეთნოსს, რუსეთთან არავითარი ისტორიული ბმა და კავშირი არ გააჩნია! დიახ, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების ერთადერთი სამშობლო საქართველოა, ერთადერთი მფარველი და პატრონი — ქართული სახელმწიფო, ხოლო ქართველი ხალხი ის ხალხია, რომელსაც არასოდეს მოუნდომებია ოსური ეთნოსის ჩაგვრა, ასიმილაცია და თვითმყოფადობის ხელყოფა!

**მართალია, ამხანაგ ბიბილოვს დიდი ინტელექტი არც გამომეტყველებაზე ამჩნევია და არც — საქმიანობაზე, მაგრამ იგი მთლად ისეთი „დებილოვიც“ არ უნდა იყოს, რომ ვერ ხვდებოდეს** — რუსეთის „ისტორიულ სამშობლოდ“ გამოცხადება ისტორიის გაყალბების უტიფარი მცდელობაა, რაც, უპირველეს ყოვლისა, თავად ოსი ხალხის მტრობას ნიშნავს! სწორედ ამაზე ამბობდა ნაცისტური რეჟიმის მთავარი იდეოლოგი **იოზეფ გებელსი** — „გაუყალბე ადამიანებს ისტორია და ერთი თაობის შემდეგ მათგან მიიღებ ბრბოს, ხოლო კიდევ ერთი თაობის შემდეგ მათი მართვა ნახირის მართვაზე ადვილი გახდება“.

### ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ბიბილოვი, რომელიც ცდილობს, ოს ხალხს ისტორია გაუყალბოს და რუსეთი „ისტორიულ სამშობლოდ“ წარმოუდგინოს, სწორედ გებელსის დოქტრინის მიხედვით მოქმედებს – მას სურს, ოსები ბრბოდ და ნახირად გადააქციოს, რათა ადვილად მართოს ისინი!

კი მაგრამ, თქვენს „დამოუკიდებლობას“ რაღას უშვრებით, ამხანაგო ბიბილოვ?

**განა იმისათვის იომეთ და იბრძოლეთ „მტარვალი“ საქართველოსაგან „გასათავისუფლებლად“ და „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ მოსაპოვებლად, რომ მასზე უარი ასე ერთი ხელის მოსმით თქვათ და თქვენი „სუვერენული ქვეყანა“ რუსეთის ფედერაციის სუბიექტად გადააქციოთ?**

სხვათაშორის, ამ მხრივ ერთობ ნიშანდობლივია ცხინვალის რეგიონის მცხოვრების, მოქალაქე **ნაირა პლიევას** პოზიცია, რომელიც მან სოციალურ ქსელში გამოხატა: *„რა გამოდის, ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა სისხლით და იარაღით, იმიტომ, რომ რუსეთს შეერთებოდა?! სხვა თუ არა, ჩვენ ხომ კარგად ვიცით, სრულიად განსხვავებული ენა, ადათი და შეხედულებები გვაქვს? კი ბატონო, ოსები ვართ, მაგრამ განსხვავებული. ასე უფრო ადვილად გავრუსდებით. პირდაპირ რომ ვთქვათ, სუსტი ერი ვართ, რომელმაც გადარჩენა ვერ შეძლო!“*

### დარწმუნებული ვართ, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ძალიან ბევრი „ნაირა პლიევა“ ცხოვრობს, რომლებსაც შესანიშნავად ესმით, რომ რუსეთი მათი „ისტორიული სამშობლო“ არ არის!

ბიბილოვის დე ფაქტო რეჟიმის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანაზე საუბარი იმითაც არის განპირობებული, რომ საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების ფონზე კრემლს ვეღარ ექნება შესაძლებლობა, საქართველოს ოკუპირებული რეგიონები საკუთარი ბიუჯეტის ხარჯზე შეინახოს, ხოლო რუსეთიდან ფინანსური დოტაციის შემცირება ან სულაც შეწყვეტა ბიბილოვის რეჟიმის დასასრულს ნიშნავს. აკი, რუსეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **დიმიტრი ვოლვაჩმა,** რომელიც ამა წლის 9 მარტს სოხუმში ჩავიდა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდა, პირდაპირ განაცხადა — **„რუსეთი იმედოვნებს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ეკონომიკურ ფორმატზე გადავლენ, რაც რუსულ სუბსიდიებზე დამოკიდებულებას შეამცირებს. უკვე დამთავრდა დახმარების პირველი ეტაპი, როცა, უბრალოდ, შეგვეძლო, რომ ფული მიგვეცა, განგვევითარებინა ინფრასტრუქტურა. რისი მიღებაც შეიძლებოდა ამ ეტაპისაგან, ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, უკვე მივიღეთ“.**

რუსეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ასევე აღნიშნა, რომ მომდევნო 3 წლის განმავლობაში ეტაპობრივად შემცირდება რუსული თანადაფინანსების წილი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასებში. მისივე თქმით, სოხუმისა და ცხინვალის დე

## იმას, რომ ოსი ხალხის ასიმილაცია არ მოხდება და ოსური ეთნოსი საკუთარ ენას, ტრადიციებსა და თვითმყოფადობას შეინარჩუნებს, ერთადერთი გარანტორი ჰყავს – საქართველო და ქართველი ხალხი!

## კვირგვინოსნები

**რამზან კადიროვი**
*ჩეჩნეთის ლიდერი*



**თუკი კიევი თავად არ მოვა ჩვენთან, მაშინ ჩვენ უნდა მივიდეთ, როგორც დაუპატიჟებელი სტუმრები.**

„პირველი არხი“

**ანა ფოტიგა**
*პოლონელი ევროპარლამენტარი*



შეესაბამება თუ არა **საქართველოს მე-3 პრეზიდენტის მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორების და არასათანადო მოპყრობის პოლიტიკა** ევროპულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში? ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში იზიარებს თუ არა საერთო მოსაზრებას, რომ **რუსეთთან კავშირებით ცნობილი ქართველი ოლიგარქისთვის პირადი სანქციების დაწესება პოზიტიურ ეფექტს მოიტანს?**

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილს არაადამიანურად არავინ ეპყრობა.** დაკავების შემდეგ დაახლოებით 600-მდე ადამიანმა მოინახულა ის. სად არის აქ არასათანადო მოპყრობა. **სად იყო ქალბატონი ფოტიგა, როდესაც ხალხს თბილისში ქუჩაში ხოცავდნენ, სად იყო, როდესაც „იმედში“ შემოვარდნენ. 9 წლის მანძილზე ერთი ვიზიტი მაინც განუხორციელებია მას რომელიმე საპატიმროში?** კარანტინში 90 კაცი რომ ჰყავდათ შეტენილი 3 თვით და ხელისგულები რომ ჰქონდა ხალხს დახეთქილი ჭიებით, **სად იყო ეს ფოტიგა?**

**სააკაშვილს გადატრიალების ნოსტალგია მოაწვა.** ნაციონალები ბელადის მოწოდებას დაუჯერებენ და კიდევ ერთხელ შეეცდებიან **ქვეყნის ყანყალს,** მაგრამ არაფერი გამოუვათ.

„TV იმედი“

**ლევან ქოიავა**
*საქართველოს ჯარისკაცის სამედიცინო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი*



თუ ოდესმე **საქართველოში შედგება ტრიბუნალი** და იგი 2008 წლის ომს განიხილავს, **ბიძინა ?უგულავა**... 

„ახალი თაობა“

# ძმებო ოსებო,

## თუ ქართველების არ გჯერათ, რუს მაქსიმ შევჩენკოს მაინც დაუჯერეთ და უარი თქვით ბიბილოვის რეფერენდუმზე, რომელიც თქვენ წაშლასა და დაღუპვას ნიშნავს!

ფაქტო რეჟიმებმა თავიანთი ბიუჯეტების გასაზრდელად **ინვესტიციები თვითონვე უნდა მოიზიდონ.**

დიახ, საკითხავია, თავად რუსეთს, რომელიც ახლა უმძიმესი ეკონომიკური სანქციების ქვეშ იმყოფება, რამდენად აძლევს ხელს კიდევ ახალი ტვირთის აკიდება და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიერთება? ამ კუთხით ერთობ ნიშანდობლივი და საყურადღებოა გავლენიანი რუსი ჟურნალისტისა და ანალიტიკოსის **მაქსიმ შევჩენკოს** მოსაზრება, რომ **სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე გაცილებით უფრო ხელსაყრელი და მომგებიანი ის პირობებია, რომლებსაც მას ქართული სახელმწიფო სთავაზობს** და **რატომ უნდა დაიჩაგრონ ისინი რუსეთის შემადგენლობაში შესვლისას დასავლური სანქციებით მაშინ, როცა მათ საქართველოში ყველანაირი უფლება და სრულიად სხვა, ფართო შესაძლებლობები აქვთ?**

რუსი ჟურნალისტი იმ პერიოდსაც იხსენებს, როცა ე.წ. **ერგნეთის ბაზრობა** ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობის დათბობასა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და აღნიშნავს, რომ **ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და ყირიმის შედარება შეუძლებელია,** რადგან „სამხრეთ ოსეთში" ეთნიკური წმენდა განხორციელდა: *„ქართული მოსახლეობა ძალის გამოყენებით, ძალადობრივი გზით გამოდევნეს, დაანგრიეს და დაწვეს ქართული სოფლები და ქართული მართლმადიდებლური ტაძრები.* ***რატომ არ სურს ანატოლი ბიბილოვს და მისნაირებს, რომ ჯერ ქართველები დააბრუნოს, შემდეგ კი რეფერენდუმი ჩაატაროს?*** *არ არიან ხომ შედეგებში დარწმუნებული? და ამ დროს განა რუსეთისათვის სასურველია ისეთი ტერიტორიის თავის შემადგენლობაში მიღება, სადაც ეთნიკური წმენდა ჩატარდა?"*

ერთადერთი, რაც რუსი ჟურნალისტისა და ანალიტიკოსის ბრძნულ ნააზრევს შეიძლება დავამატოთ, მხოლოდ ეს არის — **ძმებო ოსებო, თუ ქართველების არ გჯერათ, რუს მაქსიმ შევჩენკოს მაინც დაუჯერეთ და უარი თქვით ბიბილოვის რეფერენდუმზე, რომელიც თქვენ წაშლასა და დაღუპვას ნიშნავს!**

ერთადერთი რეფერენდუმი, რომელიც შეიძლება, ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარდეს და რომელიც ოსურ ეთნოსს გადაშენებისაგან გადაარჩენს, ეს არის რეფერენდუმი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შესახებ!

დიახ, **იმას, რომ ოსი ხალხის ასიმილაცია არ მოხდება და ოსური ეთნოსი საკუთარ ენას, ტრადიციებსა და თვითმყოფადობას შეინარჩუნებს, ერთადერთი გარანტორი ჰყავს — საქართველო და ქართველი ხალხი!**

ასე რომ, ოსო დებო და ძმებო, სწორედ ახლა უნდა თქვათ — ***ძირს ბიბილოვის რეფერენდუმი!***

დროა, გააკეთოთ არჩევანი თქვენი ერთადერთი სამშობლოს — **საქართველოს სასარგებლოდ, ანუ საკუთარი თავის სასარგებლოდ!**

***ჯაბა ხუბუა***

Принципиальное отличие возможного присоединения Южной Осетии к РФ от крымской истории в частности том, что в Южной Осетии были этнические чистки - насильственное изгнание грузинского населения, разрушение грузинских сел и грузинских православных храмов.
Южные осетины задаются вопросом - почему они (имеющие все права в Грузии) должны страдать под санкциями в России, когда, в паре шагов от них, им открыта совсем иная возможность?
К тому же санкционная ситуация способна вернуть Южной Осетии тот формат посреднического региона и связанного с ним оптового рынка, с помощью которого до 2007 года (пока Саакашвили этот статус не уничтожил) жители региона зарабатывали немалые деньги.




**ფრაგმენტები მაქსიმ შევჩენკოს ფეისბუქ-პოსტიდან**



***ამასობაში მიხეილ სააკაშვილმა პატიმრობის 6-თვიანი იუბილეც იზეიმა! დიახ, 1 აპრილს ზუსტად ექვსი თვე შესრულდა, რაც საქართველოში შემოპარული ეს ვაი-რევოლუციონერი ხელბორკილებით დაასაჩუქრეს და საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი სავარძლის ნაცვლად პარაშასთან დასვეს!***



რუსთავის ციხის კამერაში გამოკეტილი სააკაშვილი ხან გულყრილ ავადმყოფობანას თამაშობს, ხან — უსასოო შიმშილობანას, ხანაც — მთლად სასოწარკვეთილ რევოლუციონერობას, ხალხს ქუჩაში გამოსვლისაკენ რომ მოუწოდებს ისტერიკაში ჩავარდნილი, მაგრამ, მისი სიტყვებისა არ იყოს, ნურას უკაცრავად: ის ისევ იქ არის — პარაშასთან!

ჰოდა, როდესაც საკუთარ პარტიასა და მშობლიურ ნაცსექტასაც კი ფეხებზე ჰკიდია, სააკაშვილი ფანტაზიორობს და უშუბლისძარღვოდ იტყუება — **დასავლეთი და მისი ლიდერები ციხიდან ჩემ გათავისუფლებას ითხოვენ, მაგრამ „რუსული ოცნება" პუტინის დავალებით არ მათავისუფლებსო!**

აგერ, ცინცხალი მაგალითი: გასულ კვირას, როდესაც თბილისს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და, იმავდროულად, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე **ზბიგნევ რაუ** სტუმრობდა, სააკაშვილმა თავის ფეისბუქგვერდზე პოსტი გამოაქვეყნა — **პოლონეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ჩემი გათავისუფლება მოითხოვაო!** იქვე ისიც დაამატა, ამავეს ითხოვს დასავლეთის ბევრი ლიდერიო! მაგრამ ზბიგნევ რაუს არსად არცერთი სიტყვა არ უთქვამს, სააკაშვილი გაათავისუფლეთო!

ეს პირველმა ნაცმა **თინა ბოკუჩავამ** ბრძანა, რომელიც სხვა რამდენიმე ოპოზიციონერთან ერთად ევროპელი მაღალჩინოსნის ტრადიციულ, პროტოკოლურ შეხვედრას დაესწრო!

აკი, **სააკაშვილის ბოკუჩავამ** თავად დააბრეხვა ჟურნალისტებთან — **დიახ, ეუთოს თავმჯდომარესთან შეხვედრაზე მე დავაყენე ციხიდან სააკაშვილის გათავისუფლების საკითხიო!**

არადა, ნაცები და მათი ჯიბის ტელევიზიები 24-საათიან რეჟიმში გაჰკიოდნენ — **ეუთოს თავმჯდომარის თბილისში ვიზიტის მთავარი თემა სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებააო!** ანუ ზბიგნევ რაუ უკრაინაში ამ გაგანია ომისას, საქართველოს ხელისუფლების მხარდასაჭერად კი არ ჩამოსულა, არამედ სააკაშვილის გასათავისუფლებლად! მაგრამ ფაქტი რომ ჯიუტია, რა ვქნათ?! **ეუთოს პოლონელმა თავმჯდომარემ საჯაროდ, მთელი მსოფლიოს გასაგონად, ბევრი ილაპარაკა საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დასცდენია სააკაშვილზე!**

ერთადერთი, ვინც სააკაშვილის ციხიდან გამოშვებაზე წამოიკნავლა, ეს ევროპარლამენტარი **ანა ფოტიგაა** — როგორც ჩანს, ახალი საბანკო შეტყობინება მიიღო! ასეთია, ევროპული პრაგმატიზმი: **დილით — ფული, საღამოს — სკამი, ანუ მიშას მხარდამჭერი განცხადება!**

როგორი ფარჩაკი უნდა იყო, 6 თვე ციხეში იჯდე, იჭაჭებოდე და იფხრიწებოდე, პუტინის პოლიტპატიმარი ვარო და ამ ხნის მანძილზე არცერთ მსოფლიო ლიდერს, არცერთ მსოფლიო საგარეო მინისტრს ერთი სიტყვაც კი არ დაესველებინოს შენზე!

ახლა, შევადაროთ მსოფლიო ლიდერთა განცხადებები პუტინის პოლიტპატიმრად გამოცხადებულ **ნავალნიზე** და უმალ დავინახავთ კონტრასტს. ის კი არა, სააკაშვილის გათავისუფლება უკრაინასაც კი არ მოუთხოვია! საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი **ანდრეი კასიანოვის** ოფიციალური განცხადებით, **საელჩოს კიევიდან არ მიუღია უკრაინის ხელისუფლების ოფიციალური მიმართვა უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით!**

„უკრაინის საელჩოს არ მიუღია და არც საელჩოს გადაუცია საქართველოს ხელისუფლებისათვის უკრაინის მთავრობის ოფიციალური მიმართვა, რომელიც ეხებოდა უკრაინის მოქალაქე **მიხეილ სააკაშვილს",** — აი, ეს თქვა სიტყვასიტყვით **ანდრეი კასიანოვმა.** ასე რომ, მიშა, დაყენდი — სადაც გაგამწესეს, შენი ადგილიც მანდ არის! და გულწრფელი სიხარულით გილოცავთ ტუსაღობის 6-თვიან იუბილეს!

# ეს ექვსი და... სხვა მრავალი!

***გიორგი გიგაური***



**ვაჟა შაქარიშვილი**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



სცენარი იგივე — **მაპზე უკეთესი საქართველოს და წევრობაზე უკეთესი არგაწევრიანება უკრაინას...** უდიდესი ადამიანური მსხვერპლის, ნგრევის, დამატებით ტერიტორიების დაკარგვის, ეკონომიკის განადგურების და სახელმწიფოებრიობის ჩამოშლის შემდეგ, **უკრაინა მივიდა იმ წერტილამდე, სადაც 24 თებერვლამდე შეეძლო ყოფილიყო ამ ყველაფრის გარეშე! ეს გამარჯვება რანაირად არის?!**

„GTMEDIA"

**ირაკლი ლატარია**
*ექსპერტი*



**ვაჭარი, ფულის გამო ნებისმიერი თემის დამწერი ანა ფოტიგა,** როდესაც ახლა წერილს წერდა, ნეტავ თუ ფიქრობდა იმაზე, რა არის რეალურად არაადამიანური მოპყრობა და წამება?! **კორუმპირებული ქალი ფოტიგა, რომელსაც შეუძლია, თვალი დახუჭოს წამების რეალურ ფაქტებზე და იწივლოს ბუმბულით შეხებაზე!** ქალბატონო ანა, წამება და არაადამიანური მოპყრობა რომელს ეტყობა? **სულხან მოლაშვილს** თუ **მკვლელ სააკაშვილს?!**

„იმედინიუსი"

**დიმიტრის ავრამოპულოსი**
*მიგრაციის, საშინაო საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში ყოფილი ევროკომისარი*



**საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება** და ჩვენ არ ვართ შორს იმ მომენტამდე, როდესაც ამ სიხარულს ერთად გავიზიარებთ, **თქვენ სწორ გზაზე ხართ.**

„იმედინიუსი"

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



ევროკავშირი **შარლ მიშელის** დოკუმენტის გაცოცხლებას მოსთხოვს საქართველოს მთავრობას, რომელიც ორჯერ გადააფხრიწეს თავზე.

„ახალი თაობა"

**ვახტანგ მაისაია**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში*



**პუტინისგან** ყველაფერი მოსალოდნელია, მათ შორის, **ბირთვული ომის დაწყებაც.**

„ახალი თაობა"

*— „თუ გავიხსენებთ კაცობრიობის ისტორიიდან ადამიანებზე ჩატარებულ საშინელ ექსპერიმენტებს და ჩვენს რეალობაში დამკვიდრებულ ვაქცინაცია-ტესტირებაზეც დავფიქრდებით, ბევრ პარალელს დავინახავთ. სწორედ ამაზე დაყრდნობით მსჯელობენ ექსპერტ-ანალიტიკოსები პისიარ-ტესტირების მზაკვრულ როლზე და დღემდე გასაიდუმლოებული ფაქტების გამომზეურებას ითხოვენ!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ექიმმა და ჟურნალისტმა, საქართველოს გამომგონებელთა, ნოვატორთა და მკურნალთა ასოციაცია „ლაზაროსის“ სამკურნალო მიმართულების ხელმძღვანელმა, მედიცინის დოქტორმა***

*თინათინ გოცაძემ:*



„დაუჯერებელი და შოკისმომგვრელია, არა? მაგრამ ამ ფაქტის შესახებ დღეს უკვე უამრავი მასალაა ხელმისაწვდომი!“

# თინათინ გოცაძე: დიახ, მოქალაქენო, თქვენ შესაძლოა, ტესტირებისას ისე აგცრან, რომ ამის შესახებ არც არაფერი იცოდეთ!



— ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტი და პოლიტიკური მიმომხილველი **ჯონ ო' სალივანი** გვაფრთხილებდა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დასახული ვაქცინაციის პროგრამა შესაძლოა, შენიღბული იყოს პისიარ-ტესტირების მასშტაბური კამპანიით. **დიახ, მოქალაქენო, თქვენ შესაძლოა, ტესტირებისას აგცრან ისე, რომ ამის შესახებ არც არაფერი იცოდეთ!** ამაზე ბევრს შესაძლოა, გაეცინოს ისევე, როგორც ეცინებოდათ „ფაიზერის“ ვაქცინის და, საზოგადოდ, **რნმ**-ტექნოლოგიის საფრთხეებზე ინფორმაციის მოსმენისას, თუმცა, ეს საკითხი თავისი საგანგაშო შედეგებით უკვე ბევრ ქვეყანაში გასაჯაროვდა.

**ჯონ ო' სალივანი** დიდი ბიოგრაფიის მქონე ანალიტიკოსი და ჟურნალისტია, 2017 წლიდან ანალიტიკური ცენტრის Danube Institute-ის პრეზიდენტი და მსოფლიო მასშტაბით კრიზისულ ზონებში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია Global Panel Foundation-ის კონსულტანტთა საბჭოს საპატიო წევრია. პანდემიის დაწყების დღიდან სხვა ექსპერტებთან ერთად ღიად აცხადებდა, რომ ტესტირება, როგორც ცრუ პანდემიის განუყოფელი ნაწილი სამი ძირითადი მიზნისთვის იქნებოდა გამოყენებული: მარტივად მოხდებოდა ციფრებით მანიპულირება და სტატისტიკის გაყალბება; მოიპოვებდნენ სხვადასხვა გენოტიპის ადამიანთა ბიოლოგიურ ნიმუშებს შემდგომი კვლევებისა და ბიოლოგიური იარაღის სრულყოფისათვის და რაც მთავარია — პისიარ-ტესტირებით შესაძლოა, შეენიღბათ ვაქცინაცია!

**— რა ჰქონდა მხედველობაში სალივანის, როდესაც ტესტირებისას შესაძლო ვაქცინაციაზე აფრთხილებდა ხალხს?**

— მხედველობაში ჰქონდა **ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტში** შემუშავებული ახალი ტექნოლოგია, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა უმცირესი ვარსკვლავისებრი მიკრომოწყობილობები სახელწოდებით „Theragrippers“. **ეს მიკრომოწყობილობა ემაგრება ნაწლავის ლორწოვან გარსს და აწვდის ორგანიზმს სათანადო პრეპარატს.** „Theragrippers“ შექმნილია მეტალისა და თხელი აპკისგან, დაფარულია თერმომგრძნობიარე ცვილითა და ნავთით, მტვრის ნაწილაკის ზომისაა და იცვლის ფორმას, როდესაც ნავთის საფარი აღწევს სხეულის ტემპერატურას. მოწყობილობა ექვსი ქიმის მეშვეობით ეჭიდება მსხვილი ნაწლავის ლორწოვან გარსს და თანდათანობით გამოათავისუფლებს მის შუაგულში არსებულ წამალს. საბოლოოდ ქიმები კარგავენ ქსოვილთან შეჭიდების უნარს და საკუთრივ მიკრომოწყობილობა გამოიდევნება ნაწლავიდან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კუნთოვანი გარსის პერისტალტიკური ფუნქციის წყალობით. როგორც ირკვევა, ნაწლავთა პარაზიტების შთაგონებით შექმნილ ამ მეტად აქტიურ მექანოქიმიურ თერაპიულ გრაფებს, იგივე თერაგრიპერებს („Theragrippers“) ცოცხალი ცხოველების კუჭ-ნაწლავის ტრაქტში 24 საათით შეუძლიათ დაყოვნება. მეცნიერები შეისწავლიდნენ არამხოლოდ მათი დაყოვნების ხანგრძლივობას, არამედ აკვირდებოდნენ პრეპარატ **კეტოროლაკ ტრომეთამინის** ნახევარდაშლის პერიოდს. აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელი 6-ჯერ გაიზარდა. შედეგები ადასტურებს, რომ მიკრომოწყობილობები აუმჯობესებენ მედიკამენტის ეტაპობრივად გამოყოფას და ხანგრძლივად მიწოდების ეფექტურობას.

ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტის მონაცემებით, მიკრომოწყობილობები „Theragrippers“ შეიყვანება ბამბის ტამპონით. 2020 წლის ოქტომბერში აღნიშნული უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა გამოაქვეყნა ვისტარის ხაზის მამრ ვირთაგვებზე ჩატარებული კვლევის დადებითი შედეგები, რითიც დასტურდება, რომ ახალი ტექნოლოგია უნაკლოდ მუშაობს. აქვე გაითვალისწინეთ, რომ **ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტი** არის წამყვანი კვლევითი და აკადემიური დაწესებულება მსოფლიოში და ამერიკის ყველაზე პრესტიჟულ უნივერისტეტთა რიგშია.





**„1955 წლიდან 1963 წლის პერიოდში 10-დან 30 მილიონამდე მოქალაქეს მართლაც შეუყვანეს კანცეროგენი SV40 პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინით!“**

**— რა გამოდის? ვაქცინაციის ჩავარდნილი პროცესი სულ სხვა მეთოდით შეიძლება მოიყვანონ მოქმედებაში?**

— არ არის გამორიცხული! თანაც ეს იმდენად სერიოზული საკითხია, რომ არაერთი ცნობილი ექსპერტის პუბლიკაცია მიეძღვნა. მიმდინარე წლის თებერვალში **იან ვალტერმა** გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღწერილია ის მეთოდები, რომლებიც შესაძლოა, გამოიყენონ მოსახლეობის ვაქცინაციისთვის. როგორც ავტორი აცხადებს, გენური თერაპიისათვის ნემსი, ანუ ინიექცია სრულებითაც არ არის საჭირო და თავისუფლად შეიძლება აბების, პლასტირებისა და სატესტო ჩხირების გამოყენებაც. სტატიაში ისიცაა აღნიშნული, რომ 2019 წლის იანვარში ჯანმომ ვაქცინაციის კრიტიკოსთა მზარდი რიცხვი მიუღებლად მიიჩნია, არადა, მსოფლიო მასშტაბით გენურ თერაპიაზე, ანუ **რნმ**-ტექნოლოგიით შექმნილი პრეპარატებით ვაქცინაციაზე სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი აცხადებს უარს. ამ ფონზე ჯანმო დაჟინებით ცდილობს მსოფლიო მოსახლეობის 70 პროცენტის აცრას, თუმცა, აწყდება სერიოზულ წინააღმდეგობას, რადგან ვაქცინაციის საფრთხეს სულ უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს.

## კვირგვინოსნები

**ივანე ჩხაიძე**
*იმუნიზაციის ტექნიკურ მრჩეველთა ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელი*



იმის თქმა, რომ **პანდემიის დასასრულისკენ** მივდივართ, ნაადრევია.

„კვირის პალიტრა“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



გამორიცხულია, ამნისტია **იგორ გიორგაძესა და ასლან აბაშიძეს** შეეხოს, შეიძლება შეეხოს **ლევან მამალაძეს** — ამის მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ მხარდაჭერას არ იმსახურებდა ეკონომიკური დანაშაულების ამნისტირება.

„ინტერპრესნიუსი“

**ტარიელ ნაკაიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**ასლან აბაშიძის ამნისტირება პრობლემად არ მიმაჩნია** — თუნდაც მოღალატეს, თუნდაც დამნაშავეს, **უფლება აქვს საკუთარ სამშობლოში დაიმარხოს.**

„ინტერპრესნიუსი“

**კახა ოქრიაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ჩვენ მოღალატე მთავრობა გვყავს!** ხვალ მტერი რომ მოგვადგეს და გვითხრას, ერთიანი საქართველო კი არა, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები ხართ და მმართველად **ვორონცოვს, პასკევიჩს ან კობახიძეს** დაგინიშნავთო, „ოცნება“ ხელს დიდი სიამოვნებით მოაწერს.

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ დაუშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



ამ გამოთქმისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ **რასაც გისმენთ, „ოცნებას“ და ნაცმოძრაობას — ორივეს ფეხებზე გკიდიათ საქართველოც და საქართველოს მოქალაქეც.**

„ინტერპრესნიუსი“

**— ანუ სხვა ბერკეტების ამოქმედება დასჭირდებათ...**

— უკვე იყენებენ კიდეც! განა იძულების მიზნით არ გამოიყენეს საქართველოში ფსიქოლოგიური ტერორი, დაშინება, მწვანე პასპორტები, ფულადი წახალისებები და სხვა ბერკეტები თავისი ბოროტი მიზნების მისაღწევად?

**ჩვენთვის ძალიან ბევრი რამ შოკის მომგვრელია, დაუჯერებელი იყო და არის! დაუჯერებელია, რომ ხელისუფლებამ შეიძლება გაწიროს თავისი მოქალაქეები, არ დაინდოს მასები და დაასნებოვნოს საშიში დაავადებით, მაგრამ, როგორც ამბობენ, ფაქტი ჯიუტია!**

ერთ-ერთი ასეთი ჯიუტი ფაქტია მოყვანილი ცნობილი ჟურნალისტისა და ანალიტიკოსის **პატრიკ სმიტის** სტატიაში. სახეზეა 2007 წელს CDC-ის — ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის — აღიარება, რომ 1955 წლიდან 1963 წლის პერიოდში 10-დან 30 მილიონამდე მოქალაქეს მართლაც შეუყვანეს კანცეროგენი SV40 პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინით. **დაუჯერებელი და შოკის მომგვრელია, არა? მაგრამ ამ ფაქტის შესახებ დღეს უკვე უამრავი მასალაა ხელმისაწვდომი.** პატრიკ სმიტიც იზიარებს იმ აზრს, რომ მიკრომოწყობილობათა შუაგულში ძალიან მარტივად შეიძლება აღმოჩნდეს ვაქცინაციისთვის გამიზნული გენმოდიფიცირებული პრეპარატი.

**— მიგვანიშნებთ, რომ სატესტო ჩხირით ვაქცინის შეყვანაზე წავლენ?**

— ის, რომ ცხოველების სწორ ნაწლავში შეყვანილი მიკრომოწყობილობები ანალოგიურად შეიძლება შეუყვანონ ჩხირით ადამიანებს სწორ ნაწლავში, ამას კვლევის მთავარი ხელმძღვანელები **დევიდ გრაციასი** (ქიმიური და ბიომოლეკულური ინჟინერიის დეპარტამენტის პროფესორი) **და ფლორინ სელარუც** (ექიმი გასტროენტეროლოგი, ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტის ნაწლავის ანთებითი დაავადებების ცენტრის დირექტორი) არ უარყოფენ! აღსანიშნავია, რომ დასახელებულ კვლევაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები — ინჟინერ-ბიომედიკოსები, ქიმიკოსები, ექიმები... შედეგები 2020 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა ჟურნალში Svience Advanes. ვრცელ სამეცნიერო სტატიაში დეტალურად არის აღწერილი მიკრომოწყობილობის ფუნქციონირების სპეციფიკა. **საყურადღებოა, რომ ეს სამეცნიერო პუბლიკაცია იმდენად გამორჩეული იყო, რომ ჟურნალის ყდაზეც მთავარ ფოტოდ იყო გამოტანილი ნაწლავს მოჭიდებული მიკრომოწყობილობების სურათი.**




**„ეს სამეცნიერო პუბლიკაცია იმდენად გამორჩეული იყო, რომ ჟურნალის ყდაზეც მთავარ ფოტოდ იყო გამოტანილი ნაწლავს მოჭიდებული მიკრომოწყობილობების სურათი!“**

ფაქტია, რომ მიკრომოწყობილობების კვლევის დასრულებას დაემთხვა ჩინეთში ანალური ტესტირების დაწყება იმ მოტივით, რომ შედეგები უფრო საიმედოა . მოკლედ, ჩინეთმა შემოიღო ანალური ნაცხის აღება, როგორც ტესტირების ახალი ტიპი, რომელსაც უფრო ზუსტად შეუძლია კორონავირუსის გამოვლენა. მაშინ პეკინის კლინიკა იუანის ინფექციურ დაავადებათა განყოფილების სპეციალისტი **ლი ტონგზენგი** ოფიციალურად გამოვიდა ჩინეთის ცენტრალური სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში და ბრძანა: **თუ დავნერგავთ ანალურ ტესტირებას, ინფიცირებულ პაციენტთა გამოვლენა დაჩქარდებაო.** ისიც აღნიშნა — **რადგან ცხვირ-ხახის ნაცხის აღებასთან შედარებით ანალური ნაცხის აღება შედარებით მოუხერხებელია, ამ ეტაპზე საკვანძო ჯგუფები, ანუ ვინც კარანტინში იმყოფება — ორივე სერვისს მიიღებენო.** მას მაშინ მხარი დაუჭირა ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის პროფესორმა, მიკრობიოლოგმა **ჯოან სანტინიმ.** მისი განცხადებით, ანალურ ტესტირებას თავისი მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს, რადგან კორონავირუსი გაცილებით დიდხანს რჩება სწორ ნაწლავში და ფეკალიებში მისი აღმოჩენა უფრო ადვილიაო. **სანტინი** განავლის მასების გამოკვლევას უჭერდა მხარს, განსაკუთრებით ბავშვებში, ჩინეთში კი დაჟინებით ითხოვდნენ ტესტირების ამ ახალი ტიპის დანერგვას უსიმპტომო პაციენტთა გამოსავლენად, რის გამოც რამდენიმე ქალაქიც კი ჩაკეტეს.

იმ პერიოდში The Guardian-ით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩინელები იაპონელებს აიძულებდნენ ანალურ ტესტირებას და რომ ამ ფსიქოლოგიური წნეხით შეწუხებული და აღშფოთებული იაპონელები მიმართავდნენ თავიანთ საელჩოს. იაპონიის მინისტრთა კაბინეტის მთავარი მდივანი **კაცუნობუ კატო** მაშინ დისკრიმინაციაზეც მიანიშნებდა, რადგან ჩინელები, სხვა ქვეყნის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მხოლოდ იაპონელებს აიძულებდნენ ანალურ ტესტირებას.

**— ჩინეთთან მიმართებაში მართლაც ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს...**

— სწორედ ამიტომაც მოითხოვენ დაჟინებით ამერიკის სურსათისა და მედიკამენტების სანიტარიული ზედამხედველობის ადმინისტრაციისგან ჩინური Ellume-ფირმის ტესტების კონკრეტული წუნის გასაჯაროებას. ცნობისათვის: ამ ფირმის 2 მილიონი ტესტი (გამოშვებული 2021 წლის თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით) ქარხნული დეფექტის გამო ჩახსნა FDA-იმ, თუმცა, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც დაზარალებულთა სტატისტიკა ვეღარ დამალეს. ამ ტესტირების კვალობაზე ადამიანებს უვითარდებოდათ გულისრევა, ფაღარათი, თავის, მუცლის ტკივილი და სხვა სიმპტომები. გასაოცარია, რომ Ellume-ფირმის აღმასრულებელმა დირექტორმა **შონ პარსონსიმ** მობოდიშებასთან ერთად მომხმარებლებიც დაამშვიდა: წარმოებამ პრობლემათა განმეორების აღმოსაფხვრელად უსაფრთხოების დამატებითი ზომები შეიმუშავაო. ამით მან, პრაქტიკულად, აღიარა, რომ ტესტები მართლაც საფრთხის შემცველი იყო. მაგრამ კონკრეტულად რა დეფექტი ჰქონდათ ტესტებს, უცნობია ისევე, როგორც იმ ტოქსიკური ნივთიერების დასახელება, რომლებსაც შეიცავს ასევე ჩინური ფირმის Flowflex-ტესტები, რომელთა შესახებაც განცხადებას ავრცელებს **ამერიკის მოწამვლებისა და ტოქსიკოლოგიის ცენტრი** და აფრთხილებს მოქალაქეებს, არ გამოიყენონ ისინი, განსაკუთრებით ბავშვებში, რადგან იწვევს თავბრუხვევას, ეპილეფსიურ გულყრებს და შესაძლოა სიკვდილსაც კი.

ყოველივე ამის შემდეგ რატომ არ შეიძლება, საქართველოშიც გაგვიჩნდეს ეჭვი და უნდობლობა ჩინური ტესტების მიმართ და ასევე მოვითხოვოთ მათი გამოკვლევა და ანალიზი?!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***




When an open theragripper, left, is exposed to internal body temperatures, it closes on the instestinal wall. In the gripper's center is a space for a small dose of a drug.




## კვირგვინოსნები

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტარი*



ხალხმა უნდა იცოდეს, რომ **საქართველო უკრაინის შემდეგ რუსეთის ყველაზე დიდი სამიზნეა.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



უკრაინელ კოლეგებთან საქართველოს ხელისუფლებისთვის პირის მოწმენდა მიწევს. **ამ დაძაბულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში „ოცნების“ მოწყობილი საბავშვო ბაღისთვის არავის სცალია.** რამდენიმე ევროპარლამენტარმა პირდაპირ მითხრა, **საქმე იქით მიდის, რომ ქართველებს „ოცნებასა“ და ევროკავშირს შორის არჩევნის გაკეთება მოუწევთო.**

**უკრაინის პრეზიდენტის გადაწყვეტილება ელჩის გაწვევის თაობაზე დემარშია** — კიდევ მადლობა მინდა ვუთხრა, რომ **ამ ვითარებაში საქართველოსთან ურთიერთობის ყველა ხაზი ბოლომდე არ გადაჭრა.**

„კვირის პალიტრა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*



ვიდრე რუსეთში **სანქციებია,** მის ხელისუფლებაში კი — **პუტინი,** შანსი გვაქვს, საქართველომ **ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია** მოახდინოს და მოსკოვს ჯარები გააყვანინოს. **დღეს „ოცნებას“ ნაცმოძრაობის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შანსი გაუჩნდა, მაგრამ არ იყენებს.**

„კვირის პალიტრა“

**ია ანთაძე**
*ჟურნალისტი*



ჩვენი ხელისუფლება ელოდება და არცერთი მიმართულებით ხიდებს არ წვავს. **ერთი მხრივ, ასეთი სიფრთხილე ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას ლახავს,** მაგრამ, მეორე მხრივ, არ ვიცით, ხვალ ან ზეგ რა მოხდება, არ ვიცით, ბოლოს რა აღმოჩნდება სწორი და რა — არასწორი.

„კვირის პალიტრა“



„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე *ნიკოლოზ მჟავანაძე* ქვეყნის შიგნით და გარეთ შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და აცხადებს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ დიდი პროვოკაცია მზადდება, რომელშიც ამერიკის საელჩო და ქართველი მოსამართლეები მონაწილეობენ:

## ნიკოლოზ მჟავანაძე:

# როგორც კი ეს ომი დამთავრდება, ზელენსკის უკრაინელები ფეხებით ჩამოჰკიდებენ!



— რასაც დღეს ზელენსკის ხელისუფლება საქართველოს მიმართ სჩადის, მაგას, უკაცრავული პასუხია, მაგრამ ქართულად ასე ჰქვია — **ვირო, მადლიო!** არცერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, არც თურქეთი, არც ისრაელი და არც რუმინეთი რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ შეუერთდა, მაგრამ ამის მიუხედავად, უკრაინის ხელისუფლებაში მყოფი ნაძირალა ნაცები და, მათ შორის, პრეზიდენტი ზელენსკიც, ყველას ენის მოჩლექით ელაპარაკებიან. დიახ, ზელენსკი ბელარუსს არაფერს ეუბნება და, ამ დროს მაროკოდან და საქართველოდან ელჩები აბსურდული მიზეზით გამოიწვია — **აქაოდა, ჩვენმა ელჩებმა და სამხედრო ატაშეებმა ადგილობრივი ხელისუფლებები რუსეთის წინააღმდეგ სანქციებზე ვერ დაითანხმესო!** მაროკო არაფერ შუაშია, სინამდვილეში ჩვენთან უნდათ სიტუაციის არევა და ომისა და სისხლისღვრის გაჩაღება.

### ელჩის გაწვევა ზელენსკის მხრიდან არის სიგნალი, რომ საქართველოში ვითარება თავდაყირა უნდა დადგეს.

აშკარაა, რომ ზელენსკისა და სააკაშვილს ერთი პატრონი ჰყავთ! ზელენსკის ამ უკანასკნელი განცხადებით უნდა, საქართველოში კიდევ ერთი რევოლუციური ტალღა გამოიწვიოს, რისი ნიშნებიც უკვე არის.

**— ბატონო ნიკოლოზ, საამისო ნიშნებს თქვენ რაში ხედავთ?**

— სწორედ ამ მცდელობას, არეულობასა და საქართველოს ომში ჩათრევას ემსახურება ჟორიკა რურუას ძმაკაცის, უკრაინაში მებრძოლი, ვინმე **ვანო ნადირაძის** მოწოდებები სოციალური ქსელების მეშვეობით, რომ ქართველი ჯარისკაცები, თურმე, უნდა აჯანყდნენ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. **მე თუ მკითხავთ, ჟორიკა რურუას ძმაკაცი, ნაძირალა ვანო ნადირაძე უკრაინიდან ყურებით უნდა ჩამოათრიონ და სასწრაფოდ პასუხისგებაში მისცენ!** ეს მეძავი და „პროსტიტუტკა“ ევროპა და დასავლეთი უკრაინისთვის თვითმფრინავების მიწოდებას ვერ ბედავენ, საჰაერო სივრცე არ ჩაკეტეს და ამ დროს ჩვენგან რას ითხოვენ?

ვერავითარი „მაკდონალდსისა“ და „კოკა-კოლას“ ქვეყნიდან გასვლა რუსეთს სერიოზულ ზიანს ვერ მიაყენებს, მაგრამ რუსეთი დაზარალდება მაშინ, თუ ნავთობსა და გაზს ვერ გაყიდის. აქედან გამომდინარე, სწორედ უკრაინაზე გამავალი ნავთობსადენის გადაკეტვა იქნება დასავლეთსა და რუსეთზე ზეწოლის საუკეთესო საშუალება, მაგრამ ზელენსკი ისევე, როგორც სააკაშვილი, არის მასხარა! **ევროპელები რუსულ გაზსა და ნავთობზე უარს არ ამბობენ და ამ დროს ზელენსკის დანილოვი — ეს ნაგავი — ქართველებს გვეუბნება — მიდით, რუსეთის წინააღმდეგ იომეთ, ცოტათი ამოგვისუნთქავთო!**

**— რა შეიძლება მოხდეს, თუ სააკაშვილის სექტა გაიმარჯვებს და საქართველო ომში ჩაერთვება?**

— 1800 კილომეტრზეა უკრაინაში ფრონტის ხაზი გაჭიმული და ხედავთ, რაც ხდება... ახლა ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება საქართველოში, როცა თბილისიდან 30 კილომეტრში თოფის ლულა საფეთქელთან გვაქვს მობჯენილი?! სააკაშვილმა სამი დღე ვერ გაუძლო და მიწაზე იფორთხა. **ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ ომი დაიწყო, რუსები მიწასთან გაასწორებენ მთელ საქართველოს!** აი, სწორედ ეს უნდათ ნადირაძეებსა და ვიღაცებს და, რაც ყველაზე მთავარია, ეს უნდა დასავლეთს! დიახ, **დასავლეთს უნდა საქართველოდან მეორე ფრონტის გახსნა, რათა რუსეთს მეტი თავსატეხი გაუჩინოს, თორემ ჩვენი მოსახლეობა და ჩვენი ბავშვები რა დღეში ჩაცვივდებიან, ეს არავის ადარდებს.** მადლობა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ დღეს თავზე რუსული ბომბები არ გვაცვივა!

> „სწორედ უკრაინაზე გამავალი ნავთობსადენის გადაკეტვა იქნება დასავლეთსა და რუსეთზე ზეწოლის საუკეთესო საშუალება, მაგრამ ზელენსკი ისევე, როგორც სააკაშვილი, არის მასხარა!“

**— რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის პოზიციას, როგორ ფიქრობთ, ზურაბიშვილი ვისკენ და რისკენ იხრება?**

— ვაცხადებ პირდაპირ: **სალომე ზურაბიშვილი და ნაცები დღეს საქართველოში წარმოადგენენ „მეხუთე კოლონას“ და ამიტომ ხელისუფლება მაგათ ისე უნდა მოეპყრას, როგორც მოღალატეებს. გრიგოლ ვაშაძეც** კი, რომელიც გაქანებული ნაცია, ამ ბოლო დროს ჭკუაზე მოვიდა და გაიძახის — ხელისუფლება სწორად იქცევაო! — და ესენი ვინ არიან, ვერ გავიგე... თავიანთი შვილები სად ჰყავთ ამ ნაძირალებს გადამალული, სხვის შვილებს რომ მოუწოდებენ, გინდათ თუ არა, რუსებს ეომეთო?! **არ გამოვრიცხავ, ამ გამყიდველებმა და მართლაცდა „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლებმა ქვეყანაში პროვოკაციები მოაწყონ და რუსი ტურისტები მოკლან, რათა მერე გამძვინვარებულმა და ჭკუიდან გადასულმა პუტინმა „ისკანდერები“ თბილისს, ქუთაისსა და ბათუმს დაუშინოს!** ამაზე მერე ვინ იღებს პასუხისმგებლობას?

**— ამ ბოლო დროს ე.წ. სამხრეთ ოსეთის თემაც გააქტიურდა... ოსები ე.წ. რეფერენდუმს ატარებენ და რუსეთთან მიერთებას გეგმავენ!**

— ესეც პროვოკაციაა! არადა, სააკაშვილმა ქვეყანა ისე გაჭედა, ერთადერთი რამ დაგვრჩენია — **რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყება!** ზელენსკიმ გაყიდა და დაღუპა თავისი ქვეყანა — რასაც რუსეთი სთავაზობდა, არაფერს დათანხმდა და ახლა გაიძახის, ნეიტრალიტეტს გამოვაცხადებ და არცერთ სამხედრო ბლოკში არ შევალ, ოღონდაც ომი შეწყდესო! **ზელენსკი, შე ბოროტო მასხარავ, ამისთვის დაანგრევინე ეს აყვავებული და აშენებული ქვეყანა პუტინს, რომ ეს გეთქვა? თუ ამაზე მიდიოდი, მაშინ თავიდანვე რად არ დათანხმდი რუსეთის წინადადებას და ამდენი ბავშვი და ხალხი რატომ დაღუპე?** ასეულობით მილიარდი არ ეყოფა უკრაინის აღდგენას, რომელიც ტერიტორიულ მთლიანობას სამუდამოდ დაემშვიდობა. ვერავითარი ძალა ყირიმს, დონეცკსა და ლუგანსკს უკრაინას ვეღარ დაუბრუნებს, უფრო მეტიც, ამ მიწებს კიდევ ახალი დაკარგული ტერიტორიები მიემატება. საბოლოოდ რა გამოვიდა — რისთვის იომა უკრაინამ? **როგორც კი ეს ომი დამთავრდება, ვოლოდიმირ ზელენსკის უკრაინელები ფეხებით ჩამოჰკიდებენ!**

**— ზელენსკის მაღალი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს!**

— მხარდაჭერა სააკაშვილსაც უმაღლესი ჰქონდა და „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდნენ, მაგრამ დღეს ხომ ვხედავთ, სადაც არის მოყუჩებული? **აი, სწორედ ასე, როგორც ქართველებმა ჩავსვით ციხეში ერთი მასხარა, უკრაინელებიც ციხეში ჩასვამენ მეორე მასხარას — ზელენსკის!**

**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ სერიოზული პროვოკაცია მზადდებაო! რას გულისხმობთ?**

— ირაკლი ღარიბაშვილს სიტუაცია კბილებით უჭირავს და მაქსიმალურად ცდილობს, ომი თავიდან აგვაცილოს. სწორედ ასე ეჭირა მას სიტუაცია 2021 წლის 5 ივლისის ცნობილი მოვლენების დროსაც, როცა დიდი იყო შანსი, რუსთაველზე სისხლი დაღვრილიყო და სოდომისტთა „პრაიდის“ აქტივისტები დაღუპულიყვნენ. მართალია, მაშინ სერიოზულ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილმა ვითარების გაკონტროლება მაინც შეძლო. აი, ახლა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და პირადად **კელი დეგნანის** მხრიდან არის სერიოზული მცდელობა, რომ დააპატიმრონ ის ქართველები, რომლებიც მაშინ საქართველოს სოდომისტებისაგან იცავდნენ. მაგალითად, დღეს მე ვიცავ ერთ-ერთი ბრალდებულის **უშანგი დათუნაშვილის** ინტერესებს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის დანაშაული არ მტკიცდება და დღეს გირაოთი არის გათავისუფლებული, მაგრამ პროკურატურა იქცევა სამარცხვინოდ!

**— დააკონკრეტეთ!**

— პროკურატურამ **უშანგი დათუნაშვილს** შესთავაზა — დანაშაული აღიარეთ და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პირობით მსჯავრს დაგაკისრებთო! უამრავი ადამიანი ამ შემოთავაზებაზე წავიდოდა, მაგრამ ჩვენ უარი ვთქვით და კაცმა სასწორზე შეაგდო პირადი თავისუფლება! მოკლედ, მომავალ კვირას უნდა გამოცხადდეს განაჩენი, მაგრამ პარალელურად ძალიან ცუდი რამ ხდება — **ამერიკის საელჩო ქართველ მოსამართლეებზე დიდ ზეწოლას ახორციელებს და ოცდაათი კაცის დაჭერას ითხოვს!** ამიტომ მოსამართლეებს, რომლებიც ამ საქმეებს იხილავენ, მოვუწოდებ, არ მოჰყვნენ ამ სამარცხვინო ზეწოლის ქვეშ!

### დღეს ამერიკის საელჩოს მიზანი ის კი არ არის, რომელიმე პიროვნება დააპატიმრონ, არამედ ხალხი უნდა დაშინდეს, რათა ქუჩაში პროტესტის გამოხატვა არავინ გაბედოს და სოდომისტთა ბინძურ სექტას რუსთაველის პროსპექტზე გეიპარადის ჩატარებაში ხელი არ შეუშალოს!

ამ ხალხის დაპატიმრებას ასევე აქვს მეორე მიზანიც — საქართველოში ხელისუფლების მიმართ ხალხის მტრული განწყობა უნდა შეიქმნას! თქვენ ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, თუ ამ ბიჭებს, ოცდაათ კაცს ციხეში გაუშვებენ? **ცხადია, ეს საზოგადოებაში მაშინვე გამოიწვევს უძლავრეს საპროტესტო მუხტს, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული.** ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები სასამართლო პროცესს არ აცდენენ და ყოველ სხდომას ესწრებიან, რათა მოსამართლეებზე გავლენა იქონიონ და ეს ოცდაათი კაცი ციხეში გაუშვან! იქვეა ამერიკელების დესანტიც — ე.წ. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ყველაფერს აკონტროლებენ და მოსამართლეებზე პირდაპირ ფსიქოლოგიურად ძალადობენ.

აქვე საზოგადოებას ვეკითხები — **სააკაშვილსა და ზელენსკის რომ ერთი პატრონი ჰყავთ, როდემდე დავმალოთ?**

### კვირიკაშვილი ან გახარია რომ ყოფილიყო დღეს პრემიერი, საქართველოში უკვე საომარი მოქმედებები იქნებოდა დაწყებული!!!

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*



> „სალომე ზურაბიშვილი და ნაცები დღეს საქართველოში წარმოადგენენ „მეხუთე კოლონას“ და ამიტომ ხელისუფლება მაგათ ისე უნდა მოეპყრას, როგორც მოღალატეებს!“



> „მადლობა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ დღეს თავზე რუსული ბომბები არ გვაცვივა!“

# ტრისტან წითელაშვილი:
# მარიუპოლთან ახლოს ორგანოებამოცლილი ადამიანების საერთო სამარხები იპოვეს!



— „2016 წლიდან ქალაქ მარიუპოლში ადამიანები უგზო-უკვლოდ ერთმანეთის მიყოლებით იკარგებოდნენ... ახლახან მათი გაუჩინარების საზარელ საიდუმლოს ფარდა აეხადა, როცა დაკარგულები რუსმა სამხედროებმა საერთო სამარხებში აღმოაჩინეს!“ — ***ამ სკანდალური სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი სამხედრო ექსპერტმა ტრისტან წითელაშვილმა:***

— ახლახან პრესაში ასეთ პასაჟს წავაწყდი: *„უკრაინა განსაკუთრებით ბოლო რვა წლის განმავლობაში მთავარი მიმწოდებელი იყო ადამიანის ორგანოების აშშ-სა და ევროპისთვის. მიმდინარე წლის მარტში ადამიანის ორგანოთა მსოფლიო ბაზარზე მიწოდება კატასტროფულად შემცირდა. ანალიტიკოსები ამას რუსეთის მიერ სპეცოპერაციის დაწყებას მიაწერენ. უკრაინიდან ორგანოების მიწოდებას ახორციელებდნენ მთელი კრიმინალური ჯგუფები, რომლებსაც მხარს უჭერდა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა“.* — წავიკითხე თუ არა, თვალწინ სულ ახლახან მარიუპოლის მახლობლად აღმოჩენილი ნაწამები ადამიანების საერთო სამარხები დამიდგა.

**— რა მოუვიდათ ამ ადამიანებს?**

— მათ შავი ტრანსპლანტაციის მიზნით იტაცებდნენ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ზონდერდაჯგუფებები, აჭრიდნენ დამკვეთის მიერ მითითებულ ორგანოს, შემდეგ კი კლავდნენ და საერთო სამარხებში მარხავდნენ.

**— როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?**

— ყველაფერი სააკაშვილს უკავშირდება, რომელიც უკრაინაში ჩავიდა და თავისი გუნდის ჯალათი წევრებიც შემოიკრიბა. გავიხსენოთ ძველი არცთუ უსაფუძვლო ინფორმაციებიც, რომელთა თანახმად, სააკაშვილის რეჟიმი პენიტენციურ სისტემას ადამიანის ორგანოების მოსაპოვებლად იყენებდა. **დიახ, ვადასტურებ, რომ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში სააკაშვილის გუნდის მონაწილეობა სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს.** ეს საკმაოდ შემოსავლიანი შავი ბიზნესია, რომელსაც, თუ ხელისუფლების პირველი პირები არ მონაწილეობენ, ცალკეული კლინიკის ხელმძღვანელი დამოუკიდებლად ვერასოდეს აწარმოებს. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის მომენტიდან ამ ბოროტებამ საქართველოში სერიოზულად მოიკიდა ფეხი და მისი ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახდა მისი ყოფილი ცოლი **სანდრა რულოვსი.** გლდანის ციხის გვერდით აშენდა პენიტენციური სისტემის სამკურნალო დაწესებულება, სადაც აქტიურად ხდებოდა წამებით გარდაცვლილ პატიმართა სხეულებიდან უცხოეთში გადაგზავნის მიზნით ორგანოების ამოკვეთა. **ზოგჯერ სათანადო სამედიცინო მონაცემების მქონე პატიმარს შეგნებულად კლავდნენ,** ხოლო გარდაცვლილის ოჯახის წევრებს არ აძლევდნენ სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლებას. ეს ზუსტად ის პერიოდია, როცა პოლიტპატიმრის რანგში გლდანის ციხის სწორედ იმ კორპუსში ვიჯექი, რომლის გისოსებიდანაც მოჩანდა, როგორ შემოდიოდა ეზოში სპეციალური ავტომობილი ადამიანის ორგანოების შემდგომი ტრანსპორტირებისათვის. იქ არაერთხელ შემიმჩნევია **სანდრა რულოვსიც** თანმხლებ პირებთან ერთად.

**— როგორ მოხდა ამ საზარელი ბიზნესის უკრაინაში გადატანა?**

— როცა სააკაშვილის რეჟიმს ქართველმა ხალხმა ძალაუფლება ჩამოართვა და პოლიტიკური ჭიტლაყიც ამოჰკრა, დიქტატორი თავის დამნაშავე გუნდთან, ზონდერებთან და კრიმინალ მინისტრებთან ერთად უკრაინაში გაიქცა და კიევში რევოლუციის სამზადისს შეუდგა. დასავლელ მფარველთა ხელშეწყობით მან მოახერხა კიევის მაიდანზე სასაკლაოს ორგანიზება, ხოლო 2015 წლიდან დაიწყო ჯგუფების მომზადება, რომლებიც აღმოსავლეთ უკრაინაში გადაისროლეს დონეცკის, დონბასისა და მარიუპოლის მიმართულებით შეტევების განსახორციელებლად. **როცა ამ ტერიტორიებზე თავიანთი კონტროლი დაამყარეს, მარიუპოლში სააკაშვილისა და სანდრა რულოვსის ხელმძღვანელობით იხსნება სამხედრო-საველე კლინიკა, სადაც ბრძოლის ველზე დაჭრილი ჯარისკაცებისთვის უნდა ემკურნალათ და იქიდან ცენტრალურ ჰოსპიტალში გაეგზავნათ.** მაგრამ ამის ნაცვლად, დაჭრილი ჯარისკაცებისგან დაკვეთილი ორგანოების ამოჭრას მიჰყვეს ხელი. პარალელურად, მშვიდობიან რუსულენოვან მოსახლეობაზეც ნადირობდნენ და პირდაპირ მშობლიური ქალაქის უბნებიდან იტაცებდნენ.

**— რით დაადასტურებთ ამას?**

— ამის შესახებ მე სისტემატურად ვიღებდი ინფორმაციებს ჩემი კოლეგების — მაღალჩინოსანი უკრაინელი სამხედროებისგან. არ მინდა, მკითხველი დავზაფრო, მაგრამ ჩემმა უკრაინელმა კოლეგებმა ამ გამოშიგნული ჯარისკაცების ფოტოებიც გადმომიგზავნეს. **გამიზნულად ქმნიდნენ შთაბეჭდილებას, თითქოს ეს ჯარისკაცები ომში დაეცნენ, მაგრამ მათ სხეულებზე ნაოპერაციების კვალი სწორედ ამ საზარელ ფაქტს ადასტურებდა.** თანდათან ამ ბიზნესში ამერიკის მხარეც ჩაერთო. სააკაშვილს პრინციპულად არ სურდა, მაგრამ **ჯოზეფ ბაიდენმა ამ შავი ბიზნესის მეთვალყურედ საკუთარი შვილი დანიშნა.** მან კი, თავის მხრივ, ხელში აიღო ჭაბურღილების მართვა. ამავდროულად დაიწყო სამხედრო-ბიოლოგიური ლაბორატორიების დაფინანსება და უკრაინის ტერიტორიაზე მათი მშენებლობა. პარალელურად გახშირდა ზონდერჯგუფების თარეში მარიუპოლსა და მის მიმდებარე სოფლებში. სწორედ ამ ტერიტორიებიდან დაფიქსირდა მოქალაქეების გატაცება, რომლებსაც შემდგომში უგზო-უკვლოდ დაკარგულებად აცხადებდნენ, სინამდვილეში კი სამხედრო-საველე კლინიკებში გადაჰყავდათ ორგანოების ამოსაცლელად. ასე და ამგვარად იქცა უკრაინა მსოფლიო მასშტაბით ადამიანის ორგანოების ნომერ პირველ მიმწოდებლად, თუმცა, მოგვიანებით, სააკაშვილსა და უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ **პოროშენკოს** შორის დაპირისპირება დაიწყო, რადგან ამ უკანონო ბიზნესიდან შემოსავლები ვერ გაიყვეს. იმ პერიოდში უკრაინაში ჯანდაცვის მინისტრი **სანდრო კვიტაშვილი** გახლდათ, რომელმაც გაიაზრა, თუ რა დანაშაულისკენაც უბიძგებდა შლეგი ბელადი და დაუყოვნებლივ გადადგა. ადამიანის ორგანოების შავ ბიზნესს ხელს აფარებდნენ უკრაინის გენერალური პროკურატურიდან **ზურაბ ადეიშვილი,** ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროდან — **გიორგი ლორთქიფანიძე.** მთელი კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც საქართველოდან სააკაშვილს კიევში გაჰყვა და იქ საკვანძო თანამდებობები დაიკავა — ამ ბიზნესში იყვნენ ჩართული!

**— როდემდე გრძელდებოდა ეს საშინელება?**

— ვიდრე რუსეთი უკრაინაში საბრძოლო ოპერაციის განხორციელებას შეუდგებოდა და აღმოსავლეთ უკრაინაზე თავის კონტროლს დაამყარებდა. **როდესაც მარიუპოლზე შეტევა დაიწყო, სწორედ მაშინ აღმოაჩინეს საიდუმლო სამარხები — ზოგი მდინარის პირას, ზოგი — სადღაც ბნელ სარდაფებში...** წინასწარი ვარაუდით, იქ დამარხული ადამიანები სწორედ ისინი არიან, ვისაც ორგანოები ამოკვეთეს, მოკლეს და შემდეგ საიდუმლო ვითარებაში დამარხეს. ესენი არიან ის მოქალაქეები და სამხედროები, რომლებიც 2016 წლიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ სამარხებში აღმოჩენილ ადამიანთა დიდი ნაწილი, ვისი გამოკვლევაც აქამდე მოხერხდა — ტყვიით არ დაღუპულა და ცხედრებს, რომლებიც ჯერ ბოლომდე არ გახრწნილა, ქირურგიული ოპერაციების კვალი ეტყობა. **ჯერ წინ არის მათი სამედიცინო ექსპერტიზა, სადაც უფრო დაზუსტებით დადგინდება გარდაცვალების მიზეზები. დამატებით არსებობს ადგილობრივი მოსახლეობის ჩვენებები, რუსეთის კონტრდაზვერვისთვის მიწოდებული მასალები, რომლებიც მთლიანობაში ორგანოების ტრეფიკინგის საზარელ დანაშაულზე მიანიშნებს.**

**— თქვენ ამტკიცებთ, რომ შავი ტრანსპლანტაციის ბიზნესს სააკაშვილის ოჯახი კურირებდა. ვინ იყვნენ თანამონაწილეები?**

— ადრეც გაიჟღერა ამ საქმეში სანდრა რულოვსის ბიზნესპარტნიორის, ვინმე **ექიმ აბდულას** სახელმა. ის ამერიკის მოქალაქეა, მაგრამ წარმოშობით სირიიდან უნდა იყოს. მისი მეშვეობით ხდებოდა ამოკვეთილი ორგანოების ევროპის კლინიკებში გადაგზავნა. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ამერიკული მხარეც. პრეზიდენტ პოროშენკოს მანკიერი ესტაფეტა პრეზიდენტმა ზელენსკიმ გადაიბარა და ახლა უკვე ცხადი ხდება, რატომ მოახდინა მან მთელი რესურსების მობილიზაცია, რატომ შეახოცეს ამდენი ადამიანი, რათა რუსებს მარიუპოლი არ აეღოთ. **იკვეთება უზარმაზარი საერთაშორისო დანაშაული, რაზეც აუცილებლად მოუწევთ პასუხისმგებლობა მის ჩამდენებს. რასაკვირველია, კოლექტიური დასავლეთი, რომელმაც უკრაინა რუსეთთან საომრად წააქეზა, ამის ინიციატივას არ გამოიჩენს.** უკრაინაში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის სქემის გაშიფვრა ხომ ინერციით საქართველოში იმავე ხალხის მიერ ჩადენილ ანალოგიურ დანაშაულსაც გამოიტანს დღის სინათლეზე. სწორედ ამიტომ სააკაშვილის რეჟიმი უნდა გასამართლდეს! სწორედ ამ რეჟიმის ინტერესში შედის ომი და სისხლისღვრა, რათა ათასობით ადამიანის უბედურებით ხელები მოითბონ!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**




**„ნიშანდობლივია, რომ სამარხებში აღმოჩენილ ადამიანთა დიდი ნაწილი, ვისი გამოკვლევაც აქამდე მოხერხდა — ტყვიით არ დაღუპულა და ცხედრებს, რომლებიც ჯერ ბოლომდე არ გახრწნილა, ქირურგიული ოპერაციების კვალი ეტყობა!“**

**„გამიზნულად ქმნიდნენ შთაბეჭდილებას, თითქოს ეს ჯარისკაცები ომში დაეცნენ, მაგრამ მათ სხეულებზე ნაოპერაციების კვალი სწორედ ამ საზარელ ფაქტს ადასტურებდა!“**



**„ასე და ამგვარად იქცა უკრაინა მსოფლიო მასშტაბით ადამიანის ორგანოების ნომერ პირველ მიმწოდებლად, თუმცა, მოგვიანებით, სააკაშვილსა და უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ პოროშენკოს შორის დაპირისპირება დაიწყო, რადგან ამ უკანონო ბიზნესიდან შემოსავლები ვერ გაიყვეს!“**

ომარ მარგველაშვილი

# მიხარია, რომ ჭაბუა ამირეჯიბის სამწერლო ტრიუმფის ცოცხალი მოწმე ვარ!



ჭაბუა ამირეჯიბი და ომარ მარგველაშვილი

***ცხოვრებაში ძალიან ხშირად ხდება რაღაც განსაკუთრებული, მეხსიერებიდან რომ ვეღარ ამოშლი. ასე დამემართა მეც, როცა ჩვენი დიდი მწერალი, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი სამოცდახუთი წლის წინ სარეცხ მანქანასთან მდგარი ვნახე — თანაც ტანშიშველი, ფეხშიშველი და... შავი ტრუსების ამარა! მაშინ მივხვდი, რომ დიდი პიროვნებებისათვის არაფერი ადამიანური უცხო არ ყოფილა. და მაინც, უკეთესი იქნება, თუ თხრობას ოდნავ შორიდან დავიწყებ.***

ჩვენი ოჯახი თბილისში, ფალიაშვილის ქუჩის 50 ნომერში, ცხოვრობდა. ბატონმა ჭაბუამ ცოლად შეირთო ჩვენი კარის მეზობელი, მართლაც საყოველთაოდ გამორჩეული და მომხიბლავი გარეგნობის ქალიშვილი **მარინა მხეიძე.**

გადასახლებიდან ახალდაბრუნებული ჭაბუა **პავლე და ვერიკო მხეიძეების ოჯახში** ჩაესიძა. იგი მარინას პირველი ოფიციალური ქმარი იყო. ორი შვილი შეეძინათ. **ლაშა (ჩუკი) და ირაკლი** შესანიშნავი ბიჭები დადგნენ. ირაკლიმ აფხაზეთის ომში ვაჟკაცურად იბრძოლა და გმირულად დაიღუპა. კარგი მამის კარგმა შვილებმა ცხოვრების გამოცდა მართლაც რომ ფრიადზე ჩააბარეს.

დიდი ადამიანები სამშობლოს ტკივილს, ალბათ, სწორედ ისე პასუხობენ, როგორც მათ ეკადრებათ. **ბატონმა ჭაბუამ შვილები ზოგიერთებივით თვალს კი არ მოაფარა, არამედ ომში გზა თვითონვე დაულოცა...** მამა იყო, მაგრამ, უპირველესად, მაინც მამულიშვილის უღელი ედგა. ეს შვილებმაც ჩინებულად იცოდნენ. აკი, ის „სისხლის კალო“ მათი კაცობის გამოცდაც იყო. მოკლედ, სახელოვანმა მწერალმა ქართველ ხალხს ზნეობრივი გმირობისა და „ჭირსა შიგან გამაგრების“ საოცარი მაგალითი მისცა.

**მარინა მხეიძე** შესანიშნავ ოჯახში გაიზარდა, საამაყო წინაპრების — **დავით და კონსტანტინე მხეიძეების** შთამომავალს მზეთუნახავი ბებია ჰყავდა — ფრანგი **მარია არდანი,** რომელსაც საოცრად ჰგავდა. ბაბუამისი სახელოვანი ვაჟკაცი **ნიკოლოზ მეორის გენერალი ნიკოლოზ მხეიძე** იყო.

მარინა ჩემზე ოთხი წლით უფროსი გახლდათ. ჩვენი ოჯახები ერთ სართულზე ცხოვრობდნენ და მეგობრობდნენ. ბუნებრივია, ბავშვებიც ერთად ვიზრდებოდით.

გაიზარდა და დამშვენდა მარინა. მისი თაობის თითქმის ყველა ახალგაზრდა ეტრფოდა, თაყვანისმცემლებიც გაუჩნდა, მაგრამ ამის თქმას ვერავინ უბედავდა, ისე ღირსეულად ეჭირა თავი. მარინას უფროსი ძმა პროფესორი **ზურამ მხეიძე** შესანიშნავი გარეგნობის მქონე და ზედმიწევნით განათლებული პიროვნება გახლდათ. მან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. სპეციალობით ფიზიკოსი მთელი ცხოვრება დუბნაში მუშაობდა და იქ გარდაიცვალა.

ჭაბუას გამოჩენამდე მარინაზე უზომოდ იყო შეყვარებული თავისი თანატოლებისაგან გამორჩეული ახალგაზრდა **რობიკო ჯომარჯიძე.** რობიკო არაჩვეულებრივი გარეგნობის, მომხიბვლელი, განათლებული, შესანიშნავ ოჯახში კარგად აღზრდილი ახალგაზრდა იყო. გოგონების ყურადღება არ აკლდა, მაგრამ მისთვის მარინას გარდა არავინ არსებობდა.

რობიკოს მამა — **გიორგი** კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, დედა — **სუზან ბიპერი** ფრანგი წარმოშობის ულამაზესი ქალბატონი გახლდათ.

რობიკო ხშირად აკითხავდა მარინას სახლში. ისინი თავისუფალ დროს ერთად ატარებდნენ, დადიოდნენ თეატრსა და კინოში. მარინა როიალზე უკრავდა, ის კი გარინდებული უსმენდა და ულამაზეს მომავალზე ოცნებობდა. მალე მან მარინას მშობლებს სთხოვა ქალიშვილის ხელი და უყოყმანო თანხმობაც მიიღო, მაგრამ მარინა რატომღაც თავს იკავებდა გათხოვებისგან. ასე გრძელდებოდა საკმაოდ კარგა ხანს.

ერთ დღესაც რობიკო მივიდა მარინას დეიდასთან **ელიკო ბაქრაძესთან** ვერაზე და დიდხანს ეხვეწა, ცოლად გაჰყოლოდა მას. მარინა არც სახლიდან გამოსულა და სასეირნოდაც არ გაჰყოლია. მოიმიზეზა — ხვალ ბაკურიანში უნდა წავიდე და ვემზადებიო... ეხვეწა ვაჟი, არ წახვიდეო, მაგრამ უშედეგოდ...

**იმავე საღამოს რობიკო მივიდა სახლში, მამამისის იარაღი აიღო, შემდეგ სადღაც უგონოდ დათვრა, კვლავ მიბრუნდა მარინასთან და ელიკოს სახლის სადარბაზოსთან თავი მოიკლა.**

მთელი თბილისი შეძრა ამ საბედისწერო გასროლამ. ქალაქის მაშინდელი ახალგაზრდობა გოდებდა და გლოვობდა რობიკოს. მარინა ძძებით შეიმოსა. თუმცა, რატომ მოიქცა ასე, ამ კითხვაზე არავის ჰქონია პასუხი.

მარინა რამდენიმე წლის განმავლობაში სახლიდან არ გამოსულა. მასთან დადიოდნენ გამომძიებლები, პროკურორები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები... ახლობლებს სამღვდელოების წარმომადგენლებიც კი მიჰყავდათ.

გამოხდა ხანი. მარინა ჭაბუას მეუღლე გახდა. თუმცა, მათი თანაცხოვრება ხანგრძლივი არ ყოფილა — მეორე ბიჭის გაჩენის შემდეგ წყვილი დაშორდა ერთმანეთს თითიდან გამოწოვილი მიზეზის გამო.

**მას შემდეგ მარინა რამდენჯერმე უიღბლოდ გათხოვდა...** თან წლების მანძილზე მუშაობდა ენციკლოპედიის გამომცემლობაში.

ჭაბუა რომ გარდაიცვალა, გამოსვენების დღეს სამების საკათედრო ტაძარში სრულიად შემთხვევით ერთმანეთის გვერდიგვერდ მოვხვდით მე, **მარინა** და მისი ულამაზესი შვილი **ანა.** შევხედე მის ასაკოვან, ფერმკრთალ, მაგრამ ანგელოზივით ნატიფ სახეს, მის უზადო ნაკვთებს, მირინოსის ქათქათა თეთრ თხელ შალში შებურულს. გაოცება და აღტაცება ვერ მოვთოკე, ვაკოცე, მივუსამძიმრე... იდგა მაღალი, თხელი, ოდნავ მხრებში მოხრილი, ნაღვლიანი ცრემლიანი თვალებით... მგონი, ჭაბუასთან ერთად რობიკოსაც დასტიროდა და ეთხოვებოდა — მან ხომ რობიკო უკანასკნელ გზაზე ვერც კი გააცილა...

ერთხელაც ვკითხე: **— მარინა, რატომ უთხარი რობიკოს უარი ცოლობაზე?**

შემომხედა, გამიღიმა, თვალები სევდით აევსო და ნაღვლიანად ამოიოხრა:

**— ომარ, არ ვიცი, რა გიპასუხო, — ეს კითხვა მთელი ცხოვრება თან მდევს, მაწვალებს და მტანჯავს... სულელი ვიყავი, ჭკუა არ მქონდა, ჩემო კარგო...**

მარინაც წავიდა. წავიდა და წაიღო თავისი ტანჯული სული და ცხოვრება...

●

ერთხელ საღამოს სამსახურის შემდეგ მშობლებთან ფალიაშვილზე შევიარე, მოვიკითხე და მოვეფერე ჩემებს.

— ომარ, გუშინ საინტერესო რამ მოხდა, — სიცილით დაიწყო დედამ მოყოლა, სამზარეულოში ვფუსფუსებ და შემომესმა ბავშვის განწირული ტირილი, სასწრაფოდ გავედი სადარბაზოში და რას ვხედავ: **საფეხურზე ზის მარინა მხეიძის ოთხი წლის გოგონა, მოთქმით ტირის, ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდის ლოყებზე, თან რაღაცას ბუტბუტებს.**

მივედი, მოვეფერე, ვეკითხები:

— რატომ ტირი, ანი, შვილო? ვინ გაწყენინა?

— დედამ!.. — და გააგრძელა ხმამაღლა ტირილი.

— რატომ გაგაბრაზა?

— ქორწილში არ წამიყვანა...

— ვის ქორწილში არ წაგიყვანა?

— თავის ქორწილშიიი!..

გამეცინა, ჩემთვის ყველაფერი გასაგები გახდა. ბავშვი ჩემთან სახლში შემოვიყვანე. პირი მოვბანე, მაგიდასთან დავსვი, ხილითა და ტკბილეულით გავუმასპინძლდი. დაწყნარდა, დამშვიდდა, კარგ ხასიათზე დადგა, მაგრამ თავისთვის ჩუმად ლაპარაკობდა — გუშინ დედა დამპირდა, რომ თავის ქორწილში წამიყვანდა, მაგრამ მომატყუა, სახლში დამტოვა და გამეპარაო.



მარინა მხეიძე



ჭაბუა ამირეჯიბი

## კვირგვინოსნები

**მარგო ლუჩკო**
*ტელეწამყვანი*



მარჯანიშვილის მეტროპოლიტენის ტერიტორიაზე **ჩემთვის უცნობმა კაცმა ეროვნული ნიშნით შეურაცხყოფა მომაყენა.**

„ქართულ ზღაპარში“ ჩემ რიგს ველოდებოდი და ვთხოვე, ცოტა უკან დაბრუნებულიყო. **ეს რუსულად ვთქვი, რატომ რუსულად? ავტომატურად გავაკეთე. რადგან დედაჩემი რუსია და რამდენიმე ენაზე ვლაპარაკობ.** პოლიციამ მითხრა, რომ არ არსებობს არც კანონი და არც ადმინისტრაციული ჯარიმა, რომელიც დაისჯება ეროვნული თავდასხმებისთვის. **ამ კაცის სახელი მინდოდა, გამეგო, რომელმაც თქვა, რომ ცნობილი მწერალი იყო.** სირცხვილია, თუ ცნობილი ადამიანები ასე იქცევიან საჯარო ადგილას, გამოხატავენ ღია აგრესიას. მე პირადად მიმაჩნია, რომ პოპულარულმა ადამიანებმა მაგალითი უნდა მისცენ თავიანთი ქცევით. **როგორ ვიცხოვრო ახლა თბილისში?** „ახალი თაობა“

**თემურ თათარაშვილი**
*მომღერალი*



2006 წლის 25 სექტემბერი იყო. **პრეზიდენტის კანცელარიიდან დამირეკეს, რომ ოლიმპიელებთან და სააკაშვილთან ერთად ყურძენი უნდა დამეწურა.** ვუპასუხე, პრეზიდენტის გვერდით არ დავდგები-მეთქი. ოღონდ ეს ყველაფერი ცუდი სიტყვებით ვთქვი. **3 საათზე ყურძნის დაწურვაზე არ მივედი, 4-ს აკლდა 15 წუთი, რომ 9 მანქანამ გზა გადამიკეტა და დამიჭირეს.** „სარკე“

**ასმათ ტყაბლაძე**
*მსახიობი, ბიზნესმენი*



**საერთოდ არ მინდა ნატო,** თუ მის გამო ჩემი სამშობლო მიწასთან უნდა გაასწორონ. **იმ ნატომ, უკაცრავად და, ფეხებზე დაიკიდა უკრაინა.** ამიტომ არც ჩვენ გვჭირდება ეს ორგანიზაცია. „თბილისელები“

დღეს აღარც ჩემი მშობლებია და აღარც **მარინა მჟიძე**, ანა კი მშვენიერი ქალი დადგა. იგი მრავალშვილიანი დედაა და სამშობლოს ოთხ ვაჟსა და ოთხ გოგონას უზრდის.

●

როგორც აღვნიშნე, ჩვენს ბინებს მხოლოდ ერთი კედელი ჰყოფდა, ამიტომ ხშირი კონტაქტი, თბილი და გულითადი ურთიერთობა გვქონდა — სწორედ ისეთი, როგორიც ძველ თბილისში იცოდნენ — ჭირსა და ლხინს ერთად ვინაწილებდით. შესანიშნავი ტრადიცია იყო! სამწუხაროდ, რომ ის თანდათან იკარგება: დღეს ბევრს ვერ წარმოუდგენია, რას ნიშნავდა და რა მადლი ჰქონდა ნაღდ თბილისელობას.

დადგა დრო და ჭაბუა ამირეჯიბმა — იმხანად ბევრისათვის ჯერაც უცნობმა მწერალმა — პირველი წიგნი გამოსცა.

ერთხელაც ჩვენი ბელეტაჟის ფანჯარასთან შეჩერდა ჭაბუა — მაღალი, წარმოსადეგი, არაჩვეულებრივი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი. ისეთი ლაღი იყო, თითქოს ციხის ჯურღმულებში და შორეულ ციმბირში გადასახლება არც კი გამოუვლია. ცოდვა გამხელილი სჯობს და მაშინ ბევრმა არც იცოდა, რისთვის გაიღო მან ამხელა მსხვერპლი, რას ანაცვალა თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები. ეს ახლა გახდა ცნობილი, რომ ამ ადამიანმა ჯერ კიდევ მაშინ გამოუცხადა შეურიგებელი ბრძოლა იმას, რაც შეურაცხყოფს ყოველივე წმინდას და რის იქითაც ადამიანის პიროვნული თავისუფლება მთავრდება...

ჰოდა, დგას ეს აშოლტილი კაცი ჩვენს ფანჯარასთან, გახარებული. აშკარად ეტყობა, რაღაცით უზომოდ ბედნიერია და უნდა, ეს ბედნიერება სხვასაც გაუზიაროს.

ფანჯარაზე მორიდებით მოაკაკუნა.

დედაჩემმა გახედა.

— რამ შეგაწუხა, ჭაბუკა? — მაშინ მას ასე ვეძახდით.

ჭაბუამ დედას ახალთახალი, მომცრო, ცისფერყდიანი წიგნი მიაწოდა:

— დიდო თამარ, ეს ჩემი პირველი წიგნია... თქვენ პირველს მოგართვით...

დედაჩემმა საჩუქარი მოწიწებით ჩამოართვა. შიდა გვერდზე ავტორის გულთბილი მინაწერი წაიკითხა: **„ქალბატონ თამარს ნიშნად უდიდესი პატივისცემისა...“** დედას ეს წარწერა ძალიან ესიამოვნა. კიდევ მრავალი წიგნის გამოცემა უსურვა და მთელი გულით დალოცა.

დედაჩემი ძალიან ლამაზი ქალი იყო (თუმცა, ყველა დედა არაჩვეულებრივად ლამაზია!). იგი ადრეულ ასაკში გაჭაღარავდა, რაც მის სათნო სახეს ძალიან უხდებოდა. ჭაბუკა გამორჩეულად სცემდა პატივს და უყვარდა იგი, არადა, ჩვენს სახლში სხვაც ბევრი მშვენიერი ქალბატონი ცხოვრობდა, და მაინც, თავისი პირველი წიგნი მხოლოდ დედაჩემს მოართვა...

**სამწუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე: წიგნს განსაკუთრებით ესათუთები და უფრთხილდები, მაგრამ... რატომღაც მაინც სწორედ ის იკარგება. ახლაც ასე მოხდა: ბევრს უნდოდა მისი წაკითხვა და მიჰქონდა. ბოლოს ვინ წაიღო და აღარ დაგვიბრუნა, ვერ დავადგინეთ. დაგვეკარგა ჭაბუა ამირეჯიბის ნაჩუქარი ის პირველი წიგნი, რომელსაც, დამეთანხმებით, ახლა სულ სხვა ფასი ექნებოდა.**

როგორი იყო ჭაბუა ამირეჯიბი ყოველდღიურობაში? ეს მართლაც ბევრს აინტერესებს. ამ „საიდუმლოს გახსნაში“ დიდი წვლილის შეტანა შეუძლია იმ ეპიზოდს, ქვემოთ რომ მოგახსენებთ.

ერთ დღეს რაღაც საქმეზე შევედი მასთან. მაშინ კარს არავინ კეტავდა და მეზობლები ერთმანეთთან დაუკაკუნებლად შევდიოდით. სულ ზეპირად ვიცოდით, იმ დღეს სადილად ვის „აჯაფსანდალი“ ჰქონდა და ვის — „ლობიო“... ისიც უნდა ვთქვა, რომ ასეთ „თავისუფალ მიმოსვლას“ ბოროტად არავინ იყენებდა და დელიკატური ურთიერთობის ჩარჩოებში რჩებოდა, მეზობლის ოჯახის მყუდროების დარღვევას ერიდებოდა...

ჰოდა, შევედი ჭაბუასთან... ვხედავ: დგას იგი სარეცხ მანქანასთან, იატაკზე უამრავი თეთრეული ყრია. ულამაზესი აღნაგობის ახალგაზრდა კაცს მთელი ტანი მოსვირინგებული აქვს, ფართო მკერდს ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი უმშვენებს, ზურგს კი — დიდებული ეკლესია.

შევცბი. უჩვეულო სვირინგმა გამაოცა. მოგეხსენებათ, მაშინ ტატუირება ცუდ ტონად ითვლებოდა და უფრო ნაციხრებისა და კრიმინალების „პრივილეგიას“ წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, იგი თითქოს მათი პასპორტის ფუნქციასაც კი ასრულებდა. ჩვენ ჭაბუაზე უკვე ვიცოდით „რაღაც-რაღაცები“, თუმცა იმას, რაც მსმენოდა და რასაც ცხადში ვხედავდი, ერთმანეთთან ვერაფრით ვაკავშირებდი!

ჭაბუამ შეამჩნია ჩემი გაოგნება და ღიმილით მეუბნება:

— გადასახლებაში ავითვისე ეს ხელობა — ტაიგაში ტყის ჭრაზე, სამხერხაოშიც და „პრაჩეჩნაიაშიც“ კი მომიწია მუშაობა. აი, შანსი მომეცა და ჩემი გამოცდილების დემონსტრირებას ვახდენ, სიდედრს რომვასიამოვნო.

მერეც არაერთხელ შემინიშნავს: ეს საოცარი პიროვნება არც შავ სამუშაოს ერიდებოდა და არც მიუკარებელი მყინვარწვერის პოზას იღებდა. ისე ირჯებოდა, როგორც ოჯახის საჭიროება კარნახობდა.

მაშინ მე და ჩემი მეგობრები მეცხრე თუ მეათე კლასში ვსწავლობდით. ჭაბუა ყველას თანატოლებივით გვექცეოდა...

ვერ დავიჩემებ, რომ თავისი თავგადასავალი პირველად მე მიამბო, მაგრამ რომ მომიყვა, ფაქტია. ამ განდობამ განსაკუთრებულად თბილი და უშუალო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბა. მიხარია, რომ ჭაბუა ამირეჯიბის სამწერლო ტრიუმფის ცოცხალი მოწმე ვარ. ისიც მეამაყება, რომ რაც „გორა მბორგალშია“ მოთხრობილი, გაცილებით ადრე ვიცოდი, ვიდრე ფართო მკითხველი შეიტყობდა. თვითონ ჭაბუამ მიამბო. თუმცა, როგორც მახსოვს, რომანში ბევრი საინტერესო ამბავია გამოტოვებული. მწერალმა, რაღაც მოსაზრებით, ალბათ, მათი საჯაროდ გამოტანა მიზანშეწონილად არ ჩათვალა...

●

70 წელი რომ შემისრულდა, უამრავმა მეგობარმა და ახლობელმა, მათ შორის, ჩვენი დროის ცოცხალმა კლასიკოსმა, გენიალურმა მწერალმა და მოაზროვნემ, ჩემმა უფროსმა მეგობარმა **ჭაბუა ამირეჯიბმაც** მომილოცა!

*„**ძმაო და ბატონო ომარ!***

*გილოცავ სამოცდაათ წლისთავს დაბადებიდან და ერთ მაგდენს კიდევ გისურვებ, რასაც, მჯერა, ქართველი ერისთვის მსახურებად გამოიყენებ, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდი.*

***ჭაბუა ამირეჯიბი — ბერი დავითი.***

*თბილისი, ენკენისთვე, 2012 წელი“.*

●

როდესაც წერამ ამიტანა და პირველ წიგნს ვასრულებდი, რამდენიმე ნოველა მივუტანე ჭაბუას წასაკითხად და შესაფასებლად, მათ შორის, მოგონება თვითონ ჭაბუაზე... წაიკითხა, გაიღიმა და რადგან მას ბოლო წლებში მეტყველება უჭირდა, დაფაზე დაწერა:

***„ძალიან საინტერესოა, არ ვაჭარბებ, ვიტყვი, — პროფესიონალი მწერლის დაწერილია. აუცილებლად უნდა გამოაქვეყნო. რაც არ მოიტანე, არანაკლებ საინტერესო იქნება“.***

*ჭაბუა.*

*თბილისი 27, XII 2009.*

●

90 წლის რომ გახდა, მე და ჩემი სიყრმის მეგობარი **ჯონდო ჯავახიშვილი** სახლში ვეწვიეთ. იგი ჭაბუას მეუღლის **თამარ ჯავახიშვილის** ბიძაშვილი იყო. მივართვით საუკეთესო ღვინოები, ეტიკეტზე მისი ფოტოებითა და საიუბილეო თარიღის აღნიშვნით, რომლებიც ჩვენთან, **„თბილღვინო-ში“**, ჩამოვასხმევინე და გავაფორმებინე.

გაიხარა ჭაბუამ. ხან ერთ და ხანაც მეორე ბოთლს იღებდა ხელში, ათვალიერებდა და ღიმილიანი თვალებით მადლიერებას გამოხატავდა.

ქალბატონმა თამარმა სუფრა გაგვიშალა. დავლოცეთ იუბილარი, ვისაუბრეთ, არ გადავღალეთ ხანდაზმული და მალევე დავემშვიდობეთ.

ჩვენი წამოსვლიდან ცოტა ხანში ჭაბუასთან მისალოცად **ბიძინა ივანიშვილი** მისულა და იგი აღტაცებაში მოუყვანია ჭაბუას სურათებით დამშვენებულ ღვინის ბოთლებს, სწორედ ეს მომენტია ასახული ფოტოზე, რომელიც მხცოვანმა მწერალმა გამომიგზავნა.



როდესაც წერამ ამიტანა და პირველ წიგნს ვასრულებდი, რამდენიმე ნოველა მივუტანე ჭაბუას წასაკითხად და შესაფასებლად, მათ შორის, მოგონება თვითონ ჭაბუაზე... წაიკითხა, გაიღიმა და რადგან მას ბოლო წლებში მეტყველება უჭირდა, დაფაზე დაწერა: **„ძალიან საინტერესოა, არ ვაჭარბებ, ვიტყვი, — პროფესიონალი მწერლის დაწერილია. აუცილებლად უნდა გამოაქვეყნო. რაც არ მოიტანე, არანაკლებ საინტერესო იქნება“.**

*ჭაბუა.*
*თბილისი 27, XII 2009.*



ჭაბუა ამირეჯიბი (ბერი დავითი) და ბიძინა ივანიშვილი

# P.S.

სამწუხაროდ, ის შეხვედრა უკანასკნელი იყო ბატონ ჭაბუასთან, ვისთანაც 1958 წლიდან თბილი ურთიერთობები მაკავშირებდა...

**2013 წლის დეკემბერში, სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული დიდი მწერალი და მოაზროვნე, ბობოქარცხოვრებაგამოვლილი ჭაბუა ამირეჯიბი 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.**

მისმა შესანიშნავმა, ერთგულმა მეუღლემ **თამარ ჯავახიშვილმა** — ცნობილმა პოეტმა და მთარგმნელმა, თორმეტი წლის მანძილზე მუხლჩაუხრელი შრომით, ზრუნვითა და მოვლა-პატრონობით გაუხანგრძლივა სიცოცხლე მძიმედ დაავადებულ გენიოსს.

**მისმა უდიდებულესობამ, ქართველმა ერმა, ჭაბუა ამირეჯიბი ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის... გვერდით, მთაწმინდის კურთხეულ მიწას მიაბარა.** ეს ძალიან არ სურდათ სააკაშვილის მანქურთებს, რომლებმაც ოთარ ჭილაძის დაკრძალვის შემდეგ პანთეონი დახურულად გამოაცხადეს. **ის კი არ გაითვალისწინეს, რომ პანთეონებს ხელისუფლებები ვერ ხურავენ და ვერც აღებენ.** ამიტომ სრულიად საქართველომ პანთეონიც გაუღო, საკინძეც ჩაუხსნა მთაწმინდას და დიდი ჭაბუა — **ბერი დავითი** — გულში ჩაახუტა საქართველოს მადლიან მიწას აწ და მარადის!

●

ის თავისი დუმილით არისხებდა განგაშის ზარებს...

ალბათ, მრავალჯერ გაგვახსენდება მისი მგზნებარე გულიდან ამონათქვამი — შეგონება: **„ჩვენ ობოლი ერი ვართ“, „ჭკუით, ქართველებო“!** რამდენი სიბრძნეა ამ ღვთაებრივი უბრალოებით ნათქვამ სიტყვებში, ეს ერისთვის შეფარვით თქმული მოწოდება-გაფრთხილებაა...

დიდმა მწერალმა და მოაზროვნემ ჩემი ნაცნობი პუბლიცისტის დასმულ კითხვას — **ბატონო ჭაბუა, ალბათ, გსმენიათ ლამის რეფრენადქცეული გამონათქვამი — მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი! თქვენი აზრით, ვინ ვართ ჩვენ, ქართველები — ევროპელები თუ აზიელები?** ასე უპასუხა:

**— ჩვენ არც ევროპელები ვართ და არც აზიელები. ჩვენ ჩვენი სულიერებით მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან“ მიწა-წყალზე, პლუს, ის რაც ევროპიდან და აზიიდან „ვისესხეთ“ და გავაქართულეთ. ჩვენ ქართველები ვართ!**

## კვირგვინოსნები

**ნიკა ნერედიანი**
*სოხუმის თეატრის მსახიობი*



თუკი რამე წოდებას ანიჭებენ თეატრებს, **სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას თეატრს ნამდვილად ეკუთვნის „ეროვნული თეატრის“ სტატუსი.** იმ ავბედით დღეს, როდესაც სოხუმი დაეცა და ქართველებს ქუჩებში განურჩევლად ხვრეტდნენ და აწამებდნენ, თბილისის ერთ-ერთი თეატრიდან დარეკეს სოხუმში, თეატრის ნომერზე იმ იმედით, რომ იქნებ ვინმე გადარჩენილი მსახიობის ან თანამშრომლის ბედი გაეგოთ, ვინც თეატრს აფარებდა თავს. პასუხმა არ დააყოვნა. მოხუცმა დარაჯმა ასეთი სიტყვებით უპასუხა ზარს: **„სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრი გისმენთ!“**

„ახალი თაობა“

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**იმ პოლიტიკურ სპექტრს,** რომელსაც მე წარმოვადგენ, **არა აქვს უნარი, რამე შეცვალოს.**

„TV პირველი“

**კუკური ბარამიძე (დომენიკ მანგო)**
*სამოქალაქო აქტივისტი*



**არ ვაპირებ გმირის როლის მორგებას,** არც რამე მივარდება თავში და არც ქულების დაწერას შევეცდები. **საზოგადოებას კიდევ ბევრჯერ გავაბრაზებ.**

„თბილისელები“

**ავთანდილ ქამაშვილი**
*ფილოსოფოსი*



ჩვენნაირი ქვეყნისათვის **ომში ჩაბმა** და **შეიარაღების მოწოდება** პოლიტიკური ბოროტებაა.

„კვირის პალიტრა“

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი სტალინური ავტონომიზაციის გეგმის შესახებ საუბრობს და იმ უმძიმეს წლებს იხსენებს, როცა ბელადის წინააღმდეგ ქართველი კომუნისტები ლეიბა ბრონშტეინ-ტროცკისა და ვლადიმერ ლენინს შეეკრნენ:***



## სვიმონ მასხარაშვილი:

# საქართველოში აფხაზური და ოსური ავტონომიების შექმნის იდეა ტროცკისა და ლენინს ეკუთვნით!

— **არც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და არც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა სტალინის სახელთან დაკავშირებული არ არის!** მიუხედავად იმისა, რომ 1922 წლამდე სტალინი ნაციონალურ საკითხთა სახალხო კომისრის მოვალეობას ასრულებდა, ბელადს პოლიტიკურ პროცესებზე, ფაქტობრივად, არავითარი გავლენა არ ჰქონდა. ეს თანამდებობა ლენინმა სტალინს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის შეუქმნა, რომ მომავალი ბელადი პოლიტბიუროს წევრი გამხდარიყო, როგორც ლენინის უერთგულესი მხარდამჭერი და მიმდევარი.

**— ბატონო სვიმონ, აბა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიები ვინ შექმნა?**

— **საქართველოში აფხაზური და ოსური ავტონომიების შექმნის იდეა ტროცკისა და ლენინს ეკუთვნით.** აფხაზური ავტონომია კრემლმა **ნესტორ ლაკობას** შეუქმნა, რომელიც **სემიონ არალოვთან** ერთად შუალედურ რგოლს წარმოადგენდა ათათურქსა და მოსკოვს შორის. საქმე ის გახლავთ, რომ ნესტორ ლაკობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ დასაქმდებოდა რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ აპარატში, რადგან მას ბავშვობიდან უმძიმესი დაავადება ოტოსკლეროზი სჭირდა. ეს სწორედ ის დაავადებაა, რომელიც ბეთჰოვენს ტანჯავდა. თხუთმეტი წლის ასაკიდან ლაკობას სმენა დაუქვეითდა და 1920 წლისათვის მთლიანად დაყრუვდა. თუმცა, სიყრუე ნესტორ ლაკობას ხელს არ უშლიდა იმაში, რომ ყოფილიყო ცნობილი ტერორისტი, მკვლელი და, როგორც იტყვიან, „შემსრულებელი". სწორედ ამ შავბნელი საქმიანობის გამო კრემლი ნესტორ ლაკობას წინაშე ვალში იყო და 1921 წელს აფხაზეთის ავტონომიაც მას შეუქმნეს.

**— მაგრამ ამ ავტონომიას თავიდან ერქვა „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა".**

— დიახ, სწორედ ასე ერქვა, მაგრამ ის იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში არსებული ავტონომია!

**— გასაგებია, რომ ეს ნამდვილად ასე იყო, მაგრამ აფსუა სეპარატისტები დღემდე ამტკიცებენ — აფხაზეთი თავიდანვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო და არა — ავტონომიაო!**

— ეს აბსურდია, რადგან 20-ან წლებში რუსეთშიც არსებობდა დონის, ყუბანისა და შორეული აღმოსავლეთის სახალხო რესპუბლიკები, მაგრამ ყველა იყო ავტონომია და რუსეთის განუყოფელი ნაწილი. ტერმინი „ავტონომია" აფხაზეთმა 1931 წელს მიიღო და ამით დამთავრდა ყველა ეს ინსინუაცია. საერთოდ, 1936 წლის სტალინური კონსტიტუციის მიღებამდე საბჭოთა კავშირში ყველაფერი სპონტანურად და საერთაშორისო სამართლის უგულებელყოფით ხდებოდა. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ გასაბჭოების, ანუ 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ საქართველოს ერქვა ასე — **„საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა"** და არა — **„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა".** 1922 წლის 30 დეკემბერს, როდესაც საბჭოთა კავშირი შეიქმნა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ამიერკავკასიის სოციალისტურ საბჭოთა ფედერაციულ რესპულიკაში იყვნენ გაერთიანებული. არავითარ ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტი, რომ, როგორც ნახიჭევნისა და ყარაბაღის ავტონომიები ეკუთვნოდა აზერბაიჯანს, ისე ეკუთვნოდა აჭარის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიები საქართველოს. სხვათაშორის, **როცა საბჭოთა კავშირი შეიქმნა, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გახლდათ და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ იყო აღიარებული.** არც რუსეთი, არც უკრაინა, არც ბელორუსია და არც ამიერკავკასიის ფედერაცია, რომლებმაც საბჭოთა კავშირი შექმნეს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს არ წარმოადგენდნენ.

**— მაგრამ რუსეთის ფედერაცია ათა-თურქის თურქეთს ცნობილი და აღიარებული ჰყავდა...**

— კი, თურქეთმა 1922 წელს რუსეთის ფედერაცია აღიარა, მაგრამ თავად **ათა-თურქი** არ იყო ამ დროს აღიარებული. მოგეხსენებათ, თურქეთში სულთანატი 1923 წელს გაუქმდა და **ქემალ მუსტაფა ათა-თურქი** თურქეთის ერთპიროვნული ლიდერი სწორედ 1923 წელს გახდა.

**— სტალინის მიმართ დღემდე გაისმის ძალზე სერიოზული ბრალდება — ავტონომიზაციის გეგმა! მოგეხსენებათ, ბელადი მხარს უჭერდა მოკავშირე რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციაში შესვლას ავტონომიის სტატუსით!**

— დიახ, ეს ბრალდება ბელადის მიმართ დღემდე გაისმის და არავინ ფიქრობს, თუ რატომ უჭერდა სტალინი მხარს ავტონომიზაციის იდეას. დავიწყოთ იმით, რომ საბჭოთა კავშირის პირველ კონსტიტუციაში გარკვევით ეწერა — ეს კავშირი **მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკების ერთობად** უნდა გარდაიქმნასო! 1936 წლამდე საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში სწორედ ასე ეწერა. აქედან გამომდინარე, ამ ახალ სახელმწიფოს რომელიმე ერის სახელი, მაგალითად, რუსეთის, ვერ დაერქმეოდა. 1924 წელს სტალინს გერმანელ კომუნისტებთან შეთანხმება ჰქონდა, რომ, როგორც კი გერმანიაში სოციალისტური რევოლუცია გაიმარჯვებდა, საბჭოთა კავშირს გერმანიაც უნდა შეერთებოდა. ცხადია, გერმანია რუსეთს არ შეუერთდებოდა, მაგრამ ერთიანი საბჭოთა კავშირის წევრობაზე გერმანელი კომუნისტები თანხმდებოდნენ. სტალინმა ძალიან კარგად იცოდა, რომ მისი პროექტი ავტონომიზაციის შესახებ წინააღმდეგობაში მოდიოდა პარტიის გენერალურ ხაზთან, რომელსაც განასახიერებდა **ტროცკი** და მხარს უჭერდა **ლენინი,** მაგრამ ის ამ ნაბიჯზე განგებ წავიდა...

**— რა იყო ამის მიზეზი?**

— 1922 წლის აპრილში, ლენინის აქტიური მხარდაჭერით, სტალინი გახდა პარტიის გენერალური მდივანი, თუმცა, სულ რაღაც, ერთ თვეში ინსულტი დაემართა და მთელი სამი თვის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს. როცა ლენინი გონს მოვიდა და პარტიის საქმეები მოიკითხა, აღმოჩნდა, რომ სტალინს ამ მცირე დროში მთელი პარტიის მართვის სადავეები საკუთარ ხელში აეღო.

**— კი მაგრამ, ტროცკი ამ დროს რას აკეთებდა?**

— **ტროცკი** იყო უნიჭიერესი, მაგრამ თავის თავზე შეყვარებული, სექტანტური აზროვნებისა და განდიდების მანიით შეპყრობილი კაცი. მას ეგონა, რომ მსოფლიო რევოლუციას მოახდენდა და ამ რევოლუციის საჭეთმპყრობელი თავად იქნებოდა. ასეთი აზროვნების კაცი შიდაპარტიულ გარჩევებში არ ერეოდა, რითიც ისარგებლა სტალინმა და პარტიაში თავისი პოზიციები გაიძლიერა. მოკლედ, როცა ლენინმა იგრძნო, თუ რა საფრთხე მომდინარეობდა სტალინისგან, მაშინვე იხმო ტროცკი და უთხრა — **გარდა იმისა, რომ ხარ რევკომის თავმჯდომარე და თავდაცვის სახალხო კომისარი, პარალელურად უნდა შეითავსო ჩემი მოადგილეობა და გახდე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეც. ჩემი ავადმყოფობისა და არყოფნის შემთხვევაში ქვეყანას უნდა უხელმძღვანელოთ თქვენ!**

**— ტროცკი ამ წინადადებას დათანხმდა?**

— ტროცკი ლენინის ამ წინადადებას არ დათანხმდა, რადგან ინფანტილიზმი და განდიდების მანია გამუდმებით ამყოფებდა ილუზიათა ტყვეობაში და ისედაც პირველ კაცად მიიჩნევდა თავს. ტროცკის არ აღმოაჩნდა ის პოლიტიკური ალღო, რაც ასე მომეტებულად ჰქონდათ ლენინს და განსაკუთრებით სტალინს. აი, სწორედ ამ დროს მოსკოვში ქართველმა კომუნისტებმა საჩივარი გაგზავნეს და სტალინს ლენინთან უჩივლეს — არ გვინდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციაში ყოფნა, ხოლო, თუ კავშირი შეიქმნება, საქართველო



ვლადიმერ ლენინი



ლევ ტროცკი






**„1945 წელს სტალინმა მოითხოვა, საბჭოთა კავშირის თექვსმეტივე მოკავშირე რესპუბლიკა გაეროს წევრი გამხდარიყო, მაგრამ ამას კატეგორიულად შეეწინააღმდეგნენ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები!"**

## კვირგვინოსნები



**რეჯეპ ტაიპ ერდოღანი**
*თურქეთის პრეზიდენტი*

**თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ შეუერთდება** — მნიშვნელობას ვანიჭებთ დიალოგის შენარჩუნებას.

„იმედინიუსი"



**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*

**რუსული ჰიბრიდული ომის** მწარმოებლებისთვის მთავარი მიზანია განხეთქილების შეტანა პოლიტიკურ ელიტაში, საზოგადოების დაყოფა სხვადასხვა სეგმენტად და მათი ერთმანეთთან დაპირისპირება, ქვეყნის დასუსტებისთვის ხელშემწყობი იდეების გენერირება. **ამ საქმეში მათი მთავარი იარაღი მეხუთე კოლონაა...** მეხუთე კოლონა ხშირად ისე იყენებს პოლიტიკოსებს ან საზოგადოების ცნობილ პირებს, რომ ეს უკანასკნელნი ვერც ხვდებიან, რა მიზნებს ემსახურებიან. მათ **სასარგებლო იდიოტები** ჰქვიათ და ისინი, მე თუ მკითხავთ, **აგენტებზე უარესები არიან.**

„კვირის პალიტრა"



**თაკო ჩარკვიანი**
*პარტია „კანონი და სამართლის" დამფუძნებელი*

ხელისუფლება, რომელიც **რძის პროდუქტებით „ეფლირტავება" რუსეთს** და იჭერს ადამიანებს, რომლებიც საწვავის გაძვირებას აპროტესტებენ, **უნდა გამოიცვალოს.**

„იმედინიუსი"



**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

თუ მთელ მსოფლიოს ჩვენ ვმართავთ, **გაიწიეთ მაშინ, გვამართვინეთ ეს ქვეყანა** და მერე ნახავთ, როგორი იქნება ფასები და ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში.

„ინტერპრესნიუსი"

# „შავბნელი საქმიანობის გამო კრემლი ნესტორ ლაკობას წინაშე ვალში იყო და 1921 წელს აფხაზეთის ავტონომიაც მას შეუქმნეს!“




აუცილებლად უნდა იყოს ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა ან დამოუკიდებელი კომუნისტური სახელმწიფოო! ეს იყო მახინჯი ქართული შურით სტალინის წინააღმდეგ მოწყობილი დემარში. მოკლედ, ქართველ კომუნისტებს **ქართველი სტალინის აღზევების შურდათ და ტროცკისა და ლენინს შეეკრნენ!**

**— აი, ასეთ სიტუაციაში, როცა ლენინი ტროცკის შეეკრა, ხოლო ქართველი კომუნისტები თბილისიდან უჩივიან, ვინ რჩება სტალინის მოკავშირედ?**

— სტალინის მოკავშირე ამ შემთხვევაში ხდება **შოვინისტური რუსული სამხედრო-პოლიტიკური ელიტა,** რომელსაც ძალიან მოსწონს სტალინური „ავტონომიზაციის გეგმა“. მოგეხსენებათ, ამ გეგმის თანახმად, ყველა მოკავშირე რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით უნდა შესულიყო. ეს იდეა რუსულ შოვინისტურ და ველიკოდერჟავულ ელიტას ძალიან აღაფრთოვანებდა, ამიტომ სტალინის მხარდამჭერი გახდა.

## კამენევის, ბუხარინის, ფრუნზეს, ვოროშილოვის, ბუდიონის, ეგოროვის, ევდოკიმოვის, ახალგაზრდა მოლოტოვის და სამხედრო-პოლიტიკური ელიტის 80 პროცენტისათვის სტალინი გახდა რუსული ნაციონალური იდეის მედროშე და ყველა რუსზე უფრო დიდი რუსი, რამაც იგი გადაარჩინა.




ერთი სიტყვით, ლენინსა და სტალინს შორის 1922 წლის მარტიდან ისე იყო ურთიერთობა გაფუჭებული, ლენინმა ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს“ დაუჭირა მხარი, ავადმყოფობის პერიოდში ერთადერთი წერილი დაწერა და თქვა — **ქართველი ამხანაგების მოთხოვნა სავსებით სამართლიანიაო!**

**— დავუკონკრეტოთ საზოგადოებას, მაინც ვინ წარმოადგენდა ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს“?**

— **აბელ ენუქიძის** გარდა, ქართველ კომუნისტებს შორის სტალინს მომხრე და გულშემატკივარი აღარავინ შემორჩა. **სერგო ორჯონიკიძე,** თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სანდო არ იყო. რაც შეეხებათ „ნაციონალ-უკლონისტებს“, მათი ლიდერები იყვნენ **ბუდუ მდივანი** და **ფილიპე მახარაძე.** მოკლედ, **ნაცვლად იმისა, რომ ქართველ სტალინს დასდგომოდნენ გვერდით და საქართველოსთვის მეტი სიკეთე მოეტანათ, ეს მართლაცდა მახინჯი ქართული შურით გაბოროტებული ქართველი ბოლშევიკები, რომლებსაც მერე „ნაციონალ-უკლონისტები“ დაარქვეს, ნახევრად გაგიჟებულ ლენინსა და სექტანტური აზრებით შეპყრობილ ტროცკის მიემხრნენ.** უფრო მეტიც, 1922 წელს **ბუდუ მდივანი** და **ფილიპე მახარაძე** საქართველოს კომპარტიის ცეკადან პროტესტის ნიშნად გავიდნენ, მაგრამ 1924 წელს სტალინმა უკან დააბრუნა და ყველაფერი აპატია!

**— მაგრამ რატომ არ აპატია სტალინმა მომაკვდავ ფილიპე მახარაძეს, რომელსაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით დაკითხვებზე დაატარებდა? საქვეყნოდ ცნობილია, რომ ფილიპე მახარაძე 1941 წლის 10 დეკემბერს, ფაქტობრივად, ამ საქმეს შეეწირა და ნერვიულობისგან დაიღუპა...**

— სტალინი არ იყო შურისმაძიებელი... ამიტომ ფილიპე მახარაძესა და დანარჩენებს, რომლებმაც ლენინთან უჩივლეს, ეს საქციელი აპატია, მაგრამ, როცა 1934 წლის 1 დეკემბერს, **სერგეი კიროვის** მკვლელობიდან სულ ცოტა ხანში, შემთხვევით შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ მართლაც არსებობდა შეთქმულება, რომელშიც **ფილიპე მახარაძე, აბელ ენუქიძე, ალიოშა სვანიძე** და ქართველი კომუნისტების ძველი გვარდია იყო ჩართული, სტალინის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. აი, ამიტომ წამოსწია მან 1937 წელს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე და ფილიპე მახარაძეს, ფაქტობრივად, გული გაუხეთქა!

**— ე.ი. გამოდის, რომ ე.წ. ავტონომიზაციის თემის წამოწევა იყო პოლიტიკური ხრიკი, რომლითაც სტალინმა ლენინი და ტროცკი გაანეიტრალა და რუსული შოვინისტური სამხედრო-პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერა მოიპოვა?**



— რეალური ძალაუფლება სტალინმა ხელში აიღო ორ ეტაპად — 1926 და 1930 წლებში. ახლა ფაქტებით გავიხსენოთ, რა ხდებოდა ნაციონალურ ფრონტზე და რა პოლიტიკას აწარმოებდა სტალინი საბჭოთა კავშირში ეროვნული ცნობიერების ამაღლებისა და ერთა თვითგამორკვევისათვის. 1926-1937 წლებში სტალინის ბრძანებით რუსეთის ფედერაციას გამოეყო და ცალკე სახელმწიფოდ — მოკავშირე რესპუბლიკად ჩამოყალიბდა **ყაზახეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.** გარდა ამისა, 1940 წელს შეიქმნა **მოლდავეთისა და კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები,** ხოლო 1936 წელს **ამიერკავკასიის ფედერაცია** დაიშალა და **საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი** ცალ-ცალკე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად შევიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამით იმის თქმა გვსურს, რომ 1926 წელს, როცა სტალინი რეალურ ხელისუფლებას დაეუფლა, საბჭოთა კავშირი ოთხი მოკავშირე რესპუბლიკისგან შედგებოდა და ბელადმა, ძირითადად, რუსეთის ხარჯზე, 1940 წლის მდგომარეობით, საბჭოთა კავშირში ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ინკორპორაციის შემდეგ **16 მოკავშირე რესპუბლიკა** გააერთიანა!

1936 წლის სტალინურ კონსტიტუციაში ხაზგასმით ჩაიწერა, რომ თექვსმეტივე მოკავშირე რესპუბლიკა იყო სუვერენული სახელმწიფო თავისი შეიარაღებული ძალებით, სახელმწიფო ენით, საგარეო უწყებით და თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას კავშირიდან გასვლის უფლება ჰქონდა. უფრო მეტიც, 1945 წელს სტალინმა მოითხოვა, საბჭოთა კავშირის თექვსმეტივე მოკავშირე რესპუბლიკა გაეროს წევრი გამხდარიყო, მაგრამ ამას კატეგორიულად შეეწინააღმდეგნენ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები!

**— რა იყო ამ წინააღმდეგობის მიზეზი?**

— ბრიტანეთი და შეერთებული შტატები შიშობდნენ, რომ თექვსმეტი საბჭოთა რესპუბლიკის გაეროში გაწევრიანება საბჭოთა კავშირს მეტ ხმას შესძენდა. ამიტომ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ გაეროში მხოლოდ საბჭოთა კავშირი, საბჭოთა უკრაინა და საბჭოთა ბელორუსია გაწევრიანდნენ. **სტალინმა გააწითლა მთელი აღმოსავლეთ ევროპა, მაგრამ საბჭოთა კავშირში არც — ბულგარეთი, არც — რუმინეთი, არც — პოლონეთი, არც — ჩეხოსლოვაკია და არც იუგოსლავია არ შემოუყვანია.** იგი თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკასა და სოციალისტურ ქვეყანას აძლევდა ინიციატივას, შიდაეროვნულ საკითხებში ქვეყნის პრიორიტეტებით ეხელმძღვანელათ. არასოდეს პოლონეთი ერთპარტიული არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას სტალინის სიცოცხლეშიც და მერეც, ფაქტობრივად, მისი ერთ-ერთი საუკეთესო მარშალი **კონსტანტინე როკოსოვსკი** მართავდა. იუგოსლავიასა და თითქმის ყველა აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყანაში დატოვებული იყო კერძო საკუთრება. სტალინს აღმოსავლეთ ევროპაში არც კოლმეურნეობები შეუქმნია, ხოლო 1952 წლის ოქტომბერში ბელადის თორმეტწუთიანი გამოსვლა მე-19 ყრილობაზე იყო ნამდვილი სასწაული, როცა მან ასეთი რამ განაცხადა — **მსოფლიოს მომავალი არის გეგმური ეკონომიკა და სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკების ნაციონალიზმი. მან უნდა შეაჩეროს ფინანსური ოლიგარქიის განუსაზღვრელი თავაშვებულობა, რომელიც ებრძვის ყოველივე ადამიანურსა და ეროვნულს!** 1925 წლიდან 1934 წლამდე, სანამ სტალინი ამ ტიტულს იყენებდა, საბჭოთა კავშირში სტალინისავე გადაწყვეტილებით არსებობდა ორი გენერალური მდივანი. ერთი გახლდათ საკავშირო კომპარტიის ცეკას გენერალური მდივანი, ხოლო მეორე — სრულიად უკრაინის კომპარტიის ცეკას გენერალური მდივანი! სტალინი ცდილობდა, რუსეთის ფედერაციაში შემავალი ყველა ავტონომიის, ყველა ხალხის კულტურული იდენტობა და მათი მშობლიურ ენაზე განათლება უზრუნველყოფილი ყოფილიყო.

**— გორელმა კაცმა ხომ კარგად იცოდა, რომ ამ ქვეყანაზე ორი ოსეთი არ არსებობდა? მაშ, რატომ არ გააუქმა 1922 წლის აპრილში ტროცკისა და ლენინის მიერ შექმნილი ოსური ავტონომია?**

— სტალინს საქართველოს მიმართ თავისი გეგმები ჰქონდა, მაგრამ განხორციელება ვერ მოასწრო. მოდით, ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით მომავალ საგაზეთო ინტერვიუში ვისაუბროთ!

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**

**„1924 წელს სტალინს გერმანელ კომუნისტებთან შეთანხმება ჰქონდა, რომ, როგორც კი გერმანიაში სოციალისტური რევოლუცია გაიმარჯვებდა, საბჭოთა კავშირს გერმანიაც უნდა შეერთებოდა!“**




## კვირგვინოსნები

**ლიკა მუხაშავრია**
*საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი*



სავარაუდოდ, **ჰააგის ტრიბუნალმა** კარგად გაიაზრა, რა შედეგიც მოჰყვა ჩვენი საქმის გაჭიანურებას. შეიძლება, შედეგი მივიღოთ, მაგრამ არა მგონია, ის იყოს იმ მასშტაბის, როგორსაც ველოდებით. **ჩვენ მოვიგეთ ევროსასამართლოში აგვისტოს ომის საქმე, მაგრამ რუსეთს ჯერ არ გადაუხდია დაკისრებული კომპენსაცია** — 12 მილიონი.

„კვირის პალიტრა“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელო საქართველოსთვის“ — წევრი*



**პუტინს** სურს, სადმე წარმატების პროპაგანდისტული თემა შექმნას, იტყვის: **უკრაინა თუ ვერა, სამხრეთ ოსეთი შემოვიერთეთო** — უნდა ვიყოთ პრინციპულები, **ომი არ უნდა გავაჩაღოთ, მაგრამ თავდაცვისთვის მზად ვიყოთ.**

„პალიტრანიუსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ხალხი მზად არ არის, ეს ხელისუფლება ამ ოპოზიციით ჩაანაცვლოს.**

„ახალი თაობა“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



**პაატა ბურჭულაძე** ნაცმოძრაობის **რიგით რუპორად** მას შემდეგ ჩამოლაბორანტდა, რაც **პატრონ სააკაშვილს** იმედები ვერ გაუმართლა!

„საქართველოს რესპუბლიკა“

პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




**„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!**

სააკაშვილი თავის მემუარებში ბევრ საინტერესო დეტალს იხსენებს, როგორ მზადდებოდა „ვარდების რევოლუცია“, ანუ ხელისუფლების უკანონო მიტაცების სპეცოპერაცია, ოღონდ სიცრუისადმი მისი პათოლოგიური მიდრეკილების გათვალისწინებით. მაგალითად, სააკაშვილი აღწერს, „ვარდების რევოლუციამდე“, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ქვემო ქართლის აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან შესახვედრად ჩასულს როგორი უკადრებელი მეთოდებით ებრძოდა შევარდნაძის მოქკავშირული ხელისუფლება:

**„მარნეულის მუნიციპალიტეტში 100 000 ადამიანზე მეტი ცხოვრობს, ძირითადად, აზერბაიჯანელები. ისინი მუდამ ხმას ხელისუფლებას აძლევდნენ. ჩვენ პირველი ოპოზიცია ვიყავით, რომელიც იქ შევიდა. ხელისუფლებამ პროვოკაციების მოწყობა დაიწყო. მათი „ტიტუშკები“ ქვებს გვიშენდნენ, გვიწვავდნენ მანქანებს. ერთხელ ჩემს მანქანას გზა პატარა ბავშვების ჯაჭვით გადაუკეტეს, პირველკლასელები იყვნენ და მასწავლებელს მოაყვანინეს სწავლის საათებში“** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 65).*

სააკაშვილის ნაცსექტას ქვებს მართლა ესროდნენ — რაც მართალია, მართალია, მაგრამ ეს „პირველკლასელი ბავშვების ჯაჭვი“ საიდან მოიგონა, პირდაპირ გაგაოცებს ამის მუცელმეზღაპრეობის ნიჭი!

შემდეგ მემუარისტი ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“, 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, საარჩევნო კამპანიისას, ასლან აბაშიძის წინააღმდეგ აჭარაში გამართულ „გმირულ ბრძოლასაც“ იხსენებს:

**„იქ სრული დიქტატურა იყო, თითის განძრევაც კი არავის შეეძლო. აბაშიძის „მესაზღვრეები“ აჭარაში შემავალ თითოეულ მანქანას გულდასმით ჩხრეკდნენ, ვინც არ მოეწონებოდათ, მას, უბრალოდ, შიგნით არ უშვებდნენ. იქ პერსონა ნონ გრატად ვიყავი გამოცხადებული. და აი, მთელი პარტიით აჭარაში ჩავედით. პიკაპის უკანა სავარძელზე დავწექი, ზუგდიდის ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელის შვილმა ალეკო ქობალიამ ბრეზენტი გადამაფარა. მან ამ მანქანით უკვე რამდენჯერმე ჩაიარ-ჩამოიარა მესაზღვრეების წინ და ამჯერად ის აღარ გაჩხრიკეს. პარტიის დანარჩენი წევრები კი ტურისტების სახით შევიყვანეთ და ბათუმის ცენტრში მიტინგი მოვაწყვეთ“** *(იქვე, გვ. 65).*

როგორც ხედავთ, არაჟნის კონტეინერით სააკაშვილისეული საფირმო შეპარვა შთაგონების წყაროს სათავეს სწორედ აქედან იღებს!

სააკაშვილი იმ მიტინგზე საუბრობს, როდესაც აჭარაში ნაცებს მართლაც არაადამიანურად, სასტიკად გაუსწორდნენ, მაგალითად, **ბიბი თარბამაძე** ისე სცემეს, რომ სახე სულ დაუსისხლიანეს! მაგრამ იყო თუ არა იქ სააკაშვილი, ეს დანამდვილებით უცნობია! ამ დარბევას სააკაშვილი ასე იხსენებს:

**„აბაშიძეს საკუთარი „ტიტუშკები“ — სწრაფი რეაგირების რაზმი ჰყავდა, რომელსაც რუსი გენერალი ნეტკაჩოვი წვრთნიდა. მათ ვეღარ მოითმინეს და რაღაც დროის შემდეგ სასტიკად სცემეს მომიტინგეების უმრავლესობა, სახეები დაულეწეს, ორმოცდაათამდე კაცი დააპატიმრეს. უკან რაღაც საიდუმლო ბილიკებით გამოვაღწიეთ. მაგრამ ეს მთელმა საქართველომ ნახა, ადამიანები ძალიან აღშფოთდნენ...“** *(იქვე, გვ. 66).*

*რა თქმა უნდა, სააკაშვილი არ აკონკრეტებს, რა „საიდუმლო ბილიკებით“ გამოაღწია აჭარიდან — არადა, წესით, თუ მართლა იქ იყო, ჩოლოქის ხიდით უნდა დაეტოვებინა აჭარა! ის კი არა, ბევრს ემახსოვრება კიდეც, რომ მაშინ სააკაშვილზე ამბობდნენ — სწორედ მაგან ჩაუშვა და საცემრად გაწირა* ***„თავისუფლების ინსტიტუტის“*** *აქტივისტი* ***ბიბი თარბამაძე,*** *რომ სკანდალი მოეწყო და თავისი ნაცსექტისთვის, როგორც „უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ძალისათვის“, წინასაარჩევნოდ ხალხის ყურადღება მოეპოვებინა! აკი, იქვე სწორედ ამას აღიარებს:*

**„ხელისუფლების ამგვარი ქმედებების გამო ჩვენი პოპულარობა სწრაფად გაიზარდა, ვინაიდან მხოლოდ ჩვენ აღმოვჩნდით ისინი, რომელთაც არ გვეშინოდა... ჟვანიას ცალკე პარტია ჰყავდა. თავიდან მათ გაცილებით მაღალი რეიტინგი ჰქონდათ, მაგრამ ისინი დემონსტრაციულად ზომიერები იყვნენ, ჩემით კი ადამიანებს აშინებდნენ. სატელევიზიო არხები, მათ შორის, „იმედი“ და „რუსთავი-2“ ჟვანიას მხარეს იყო. მაგრამ „ტელევიზიონშიკებს“ არ შეეძლოთ იმ ფაქტის იგნორირება, რომ ბათუმში ერთი საათის განმავლობაში 500 კაცი სცემეს. ამის არჩვენება შეუძლებელი იყო... შედეგად ჟვანიამ და ბურჯანაძემ, რომელიც მასთან ერთად იყო, მიიღეს ხმების მხოლოდ 6%“** *(იქვე, გვ. 66).*

აი, ასეთი წინასწარდაგეგმილი პროვოკაციებით აქცია სააკაშვილმა თავისი ბანდა სატელევიზიო ახალი ამბების მთავარ თემად! იქვე მემუარისტი იხსენებს, როგორ დაიწყო სატელევიზიო „ვარდების რევოლუცია“:

**„ჩვენ პირველი ადგილი დავიკავეთ. ძირითადი ეგზიტპოლი 28%-ს გვაძლევდა. როდესაც შევიტყვე, რომ „რუსთავი-2“-ის ეგზიტპოლით ამდენი გვქონდა, მაგრამ ეროსი კიწმარიშვილმა თავიდან გადაწყვიტა, არ გამოეცხადებინა ეგზიტპოლის შედეგი, მე მას დავურეკე, საკმაოდ მკაცრად ვესაუბრე და აზრი შევაცვლევინე. „რუსთავი-2“-მა გამოაქვეყნა შედეგი, რაც შემდგომი მოვლენებისთვის გადამწყვეტი გახდა“** *(იქვე, გვ. 67).*

ანუ სააკაშვილმა გაურკვეველი ეგზიტპოლების საფუძველზე აიკვიატა, რომ ჩვენი პარტია პირველ ადგილზე გავიდა და ცესკოს მიერ გამოცხადებული 17 — კი არა, 28 პროცენტი დამიწერეთო! არადა, ცესკოს მონაცემებით, მაშინ პირველ ადგილზე **ასლან აბაშიძის „აღორძინება“** იყო, მეორეზე — **შევარდნაძის მოქკავშირი,** სააკაშვილის ნაცმოძრაობას კი მესამე ადგილი ერგო! ჰოდა, სააკაშვილმაც ხალხს ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდა!

სხვათაშორის, სააკაშვილი ხაზგასმულად იხსენებს, რომ ნაცების ქუჩის აქციებს ამერიკა უარყოფითად შეხვდა:

**„როდესაც მიტინგებზე გამოსვლები დავიწყეთ, ამერიკელებს ეს არც ისე მოეწონათ. ამერიკელი ხელისუფლების წარმომადგენლები ჩემი ნაცნობების მეშვეობით მითვლიდნენ, რომ მიტინგები დაუყოვნებლივ უნდა შეგვეწყვიტა, ვინაიდან ეს ძალადობამდე მიგვიყვანდა, ამით კი რუსეთი ისარგებლებდა“** *(იქვე, გვ. 67).*

ეს ძალიან მნიშვნელოვანი აღიარებითი ჩვენებაა, რადგან, ჯერ ერთი, მართლაც ასე იყო და, მეორეც, ზუსტად ისე მოხდა, როგორც ამერიკელები ამბობდნენ — რუსეთმა მართლაც ისარგებლა ამ ყველაფრით და




კრემლის მიერ თბილისში მოვლენილი პუტინის პირადი ემისარი **იგორ ივანოვი** და მისი როლი „ვარდების რევოლუციაში“ ყველამ საკუთარი თვალით იხილა!

სააკაშვილი ამერიკელებთან პაექრობის სხვა ძალიან საგულისხმო და საინტერესო დეტალებსაც იხსენებს:

**„ელჩმა რიჩარდ მაილსმა თავის სახლში ორჯერ მოაწყო მოლაპარაკებები ჩემსა და სახელმწიფო მინისტრს შორის, რომელიც მაშინ მთავრობის მეთაური იყო. ამერიკელები მარწმუნებდნენ, მეორე ადგილს დავთანხმებოდი. ფაქტობრივად, ისინი მზად იყვნენ, რომ ეღიარებინათ გაყალბება, მაგრამ, ასე ვთქვათ, ნაწილობრივ, რაზეც ვუპასუხე: ჩვენ პირველი ადგილი დავიკავეთ, რატომ უნდა დავთანხმდე მეორეს? „ქვეყნის შესანარჩუნებლად აჭარლები პირველ ადგილზე უნდა გავუშვათ“, — მპასუხობდნენ ამერიკელები, — „წინააღმდეგ შემთხვევაში, იქნება სეპარატიზმი და ქვეყანა დაიშლება“. აი, ასეთ პრაგმატულ არგუმენტებს გვთავაზობდნენ დემოკრატიის წინააღმდეგ“** *(იქვე, გვ. 67).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილი პირდაპირ აღიარებს, რომ ამერიკის ელჩი **რიჩარდ მაილსი,** რომელსაც ჩვენში „ვარდების რევოლუციის“ მთავარ ორგანიზატორად მოიაზრებდნენ, სინამდვილეში, „ვარდების რევოლუციის“ სახელით ცნობილი სახელმწიფო გადატრიალების მთავარი მოწინააღმდეგე იყო!

და, ამ შემთხვევაში, სააკაშვილი ჩვეულებისამებრ, მართლაც რომ არ თაღლითობს და ფაქტებით არ მანიპულირებს, ღიად წერს, რა დამოკიდებულებაც ჰქონდა ამერიკის მაშინდელ ელჩთან რიჩარდ მაილსთან:

**„ეს ელჩი თავის პატაკებში** *(ანუ თბილისიდან ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილ ანგარიშებში — გ.გ.)* **წერდა: „გიჟი სააკაშვილი და მისი მეგობარი „კოკერ-სპანიელი“ მეთიუ ბრაიზა“. მეტი საქმე არ მქონდა, მისთვის დამეჯერებინა. მაშინ საქართველო საერთოდ აღარ იარსებებდა. ეს შესანიშნავი მაგალითია იმისა, რომ განურჩევლად ყველას დაჯერება არ ღირს. სადღა ვიპოვიდი მერე ამ ელჩს? ან რა პასუხს მოვთხოვდი რომელიღაც უნივერსიტეტში ლექციების კითხვის დროს? ჩვენ ვერ მოვილაპარაკეთ“** *(იქვე, გვ. 68).*

აქ აუცილებელია, განიმარტოს ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი: რიჩარდ მაილსი იყო ამერიკის ელჩი და ის საკუთარი შეხედულებისამებრ არ მოქმედებდა — მაილსი ახმოვანებდა შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას და ეს პოზიცია, როგორც თავად სააკაშვილი ადასტურებს, ძალიან ცხადი გახლდათ: **არავითარი რევოლუცია და ხელისუფლების არაკონსტიტუციური მიტაცება!**

და ამერიკელების მხრიდან ისიც იყო ნათქვამი, რა საფრთხესაც შეიცავდა ეს რევოლუციობანას თამაში საქართველოსთვის — **ამით რუსეთის სასარგებლო საქმე გაკეთდებაო!**

ჰოდა, ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი: **კრემლის ემისრის იგორ ივანოვის ღია დახმარებით გახელისუფლებულმა სააკაშვილმა რუსეთს ყველა ოცნება აუსრულა: საქართველოს სტრატეგიული ობიექტების ლანგარზე მირთმევით დაწყებული და აგვისტოს ომით, ძირძველი ქართული მიწების გადაცემით დასრულებული — ბონუსად, კოდორის ხეობისა და ახალგორის რაიონების ჩათვლით!**

*გიორგი გიგაური*

*გაგრძელება იქნება*




## როგორ წერდა „ვარდების რევოლუციის“ წინ ელჩი რიჩარდ მაილსი თავის პატაკებში:

## „გიჟი სააკაშვილი და მისი მეგობარი „კოკერ-სპანიელი“ მეთიუ ბრაიზა!“

# ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘ *ᲔᲚᲘ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ:* ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲛᲧᲐᲕᲡ ᲮᲔᲠᲮᲔᲛᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲕᲐᲚᲡᲐᲮᲡᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲗ,

## ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ, ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲘᲐᲠᲔᲡ!



***ᲔᲚᲘ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲛᲐ ბუნებრივი კომპონენტების გამოყენებით შექმნილი უებარი მალამო პირველად 17 წლის წინათ დაამზადა, რათა თავისი ვაჟისა და მისი თანაგუნდელებისთვის ტრავმები შეემსუბუქებინა. ქალბატონი ელი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯისა და ცნობილი მორაგბის ᲜᲘᲙᲐ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘᲡ დედაა. ასე რომ, მისი მალამოს წყალობით ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები წლების განმავლობაში იყუჩებდნენ ტკივილებს. მალამოს პოპულარობა თანდათან გასცდა ახლობლებისა და მეგობრების წრეს, რომლისთვისაც ელი მას უსასყიდლოდ ამზადებდა და ძვალსახსროვანი სისტემის უმძიმესი პათოლოგიებით დაავადებული უამრავი ადამიანის ერთადერთ და უკანასკნელ შანსად იქცა:***

— უამრავი ადამიანი მირეკავს, მალამოს შეძენა სურთ. პაციენტების **80 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ** მნიშვნელოვანი შეღავათი მისცა მკურნალობამ. ამასწინათ **85 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ** დამიკავშირდა და მახარა, დღეს ერთი კილომეტრი გავიარეო. **27 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲥᲐᲚᲘ** ხერხემლის ოპერაციას გადაურჩა.

**— სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა ძვალსახსროვან დაავადებათა გაახალგაზრდავების ტენდენცია. განსაკუთრებით გახშირდა ახალგაზრდებში ხერხემლის თიაქარი.**

— ხერხემალი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანოა, მასზეა აწყობილი მთელი ორგანიზმი. საბედნიეროდ, **ᲛᲐᲚᲐᲛᲝ ᲙᲣᲠᲜᲐᲕᲡ ᲮᲔᲠᲮᲔᲛᲚᲘᲡ ᲗᲘᲐᲥᲐᲠᲡ, ᲩᲔᲛᲛᲐ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲘᲪᲘᲚᲔᲡ.**

**— ძვლების ტკივილი უმძიმესია, არადა, მოსახლეობის 80 პროცენტი იტანჯება ართრიტით, ართროზით, ოსტეოქონდროზითა და პროტრუზიით.**

— საერთოდ, ძვლის დეგენერაციის პროცესი 40 წლიდან იწყება და, ჩვენდა საუბედუროდ, შეუქცევადია. საქართველოს ყველა კუთხიდან მირეკავენ პენსიონერები, რა ღირს მალამოო. იაფი არ არის, რადგანაც მასალა ძვირი ჯდება. მინდა, „ასავალ-დასავალს" ჩემი ოცნება გავუმხილო:

**ᲦᲕᲗᲘᲡ ᲨᲔᲬᲔᲕᲜᲘᲗ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲨᲔᲕᲫᲚᲝ ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲓᲐ**

### ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲓᲐᲕᲣᲠᲘᲒᲝ!

**— ქალბატონო ელი, რისგან ამზადებთ მალამოს?**

— სხვადასხვა ბუნებრივი ინგრედიენტებისგან აბსოლუტურად უსაფრთხო მალამო შევქმენი. **ᲘᲒᲘ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ, ᲬᲔᲚᲘᲡ, ᲙᲣᲜᲗᲔᲑᲘᲡ, ᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ, ᲧᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲔᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ.** მალამოს შემადგენლობაშია დინდგელი, თაფლის ცვილი და ქართული ფიჭვის ფისი.

**— მისი გამოყენება თუ შეიძლება მათთვის, ვისაც თაფლის პროდუქტებზე ან ფიჭვის ფისზე ალერგია აქვს?**

— არა, ალერგიულებს ჩემი მალამო არ გამოადგებათ.

**— ართროზით დაავადებულებსაც შველით?**




— ართროზი ძვლის უმძიმესი პათოლოგიაა. გაცვეთილ ხრტილს, რა თქმა უნდა, მალამო ვერ აღადგენს, მაგრამ ის უძლიერესი ანტისეპტიკური საშუალებაა და თუ სახსარი მთლიანად მარილით არ არის სავსე, პათოლოგიის პროცესი კონსერვდება. ორი კვირაა საჭირო იმისთვის, რომ შეზელვით სახსარში ჩავიდეს მალამო კანიდან, ანთება ჩააქროს და ძვლები ფიჭვის ფისით გაპოხოს, რის შედეგადაც მათი ცვეთა ჩერდება და, შესაბამისად, ტკივილიც ქრება. გარდა ამისა, სახსარში ჩასული მალამო ძვალს კალციუმითა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით ამარაგებს.

**— რადიკულიტს თუ უმკლავდება?**

— **„ᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲛᲝ"** მისწრებაა **ᲠᲐᲓᲘᲙᲣᲚᲘᲢᲘᲡ, ᲝᲡᲢᲔᲝᲥᲝᲜᲓᲠᲝᲖᲘᲡ, ᲙᲘᲡᲠᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.** კურნავს **ᲡᲐᲮᲡᲐᲠᲡ, ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲫᲕᲚᲝᲕᲐᲜ ᲐᲜᲗᲔᲑᲐᲡ, ᲐᲠᲗᲠᲝᲖᲡ, ᲐᲠᲗᲠᲘᲢᲡ, ᲒᲝᲜᲐᲠᲗᲠᲝᲖᲡ,** როცა უკვე მუხლში წყალია ჩამდგარი. უმძიმესი პაციენტები მყავს ხერხემლისა და ძვალსახსროვანი სისტემის სხვადასხვა დაავადებით, ჩემი მალამოს წყალობით ბევრი გადაურჩა ოპერაციას. ადამიანებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ვერ დადიოდნენ, მკურნალობის შემდეგ გაიარეს.

*მოამზადა*
***ᲜᲘᲜᲝ ᲒᲝᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ***

## ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ «ᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲡ» ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲒᲣᲠᲐᲛ ᲡᲐᲚᲐᲠᲐᲫᲔ:** — მოჭიდავე ვარ, სსრკ-ის სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი. ჩემი ცხოვრების 50 წელი სპორტის ამ სახეობას ვემსახურე. 8 წელი გუნდის კაპიტანი ვიყავი. უკვე 83 წლის გავხდი და მაწუხებს მენისკი, მუხლები, მხრები, მაჯები, ხელები. მოკლედ, ძვლის ასაკობრივი პათოლოგიები. **„ᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲛᲝ" ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲧᲣᲩᲔᲑᲡ, ᲓᲚᲔᲨᲘ 2-3-ᲯᲔᲠ ᲨᲔᲕᲘᲖᲔᲚ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲓᲐ ᲓᲘᲓ ᲨᲕᲔᲑᲐᲡ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑ.** ამ მალამომ ბევრს უშველა. ქალბატონი ელი კარგ საქმეს აკეთებს, რისთვისაც პაციენტებისგან უღრმეს მადლობას იმსახურებს.

**ᲜᲐᲠᲒᲘᲖ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ:** — მუხლის აუტანელი ტკივილები მტანჯავდა. სიარული მიჭირდა, ვკოჭლობდი (სინოვიტი და გამონაზარდი მქონდა). **„ᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲛ" ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲚᲔᲡ ᲛᲝᲛᲪᲐ ᲨᲕᲔᲑᲐ.** 10 დღის მერე ტკივილი საერთოდ გამიქრა, ახლა უკვე აღარ ვკოჭლობ, ფეხი ავიდგი. „მადლობა" ის სიტყვა არ არის, რომელიც ქალბატონ ელის ჩვენგან ეკუთვნის. **ᲣᲔᲑᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ, ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲛᲣᲮᲚᲘ ᲛᲝᲛᲘᲠᲩᲘᲜᲐ.** ახლა კვირაში სამჯერღა ვიზელ პროფილაქტიკისთვის.

**ᲜᲘᲜᲝ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ:** — მაწუხებს ართროზი, ძვალსახსროვანი სისტემის უმძიმესი დაავადება. ნებისმიერი მოძრაობის შესრულება აუტანელ ტკივილს მაყენებდა. წამლებს ვსვამდი, მაგრამ უშედეგოდ. გულწრფელად მჯერა, რომ **„ᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲛᲝ" ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲛᲡᲣᲑᲣᲥᲔᲑᲚᲐᲓ.** პირდაპირ გაოცებული ვარ, რამდენიმე დღეში ტკივილი გაქრა, სახსრები უკეთ მუშაობს. მკურნალობას ვაგრძელებ და მჯერა, რომ ღვთის შეწევნით, უკეთესად ვიქნები.

**ᲚᲔᲚᲐ ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ:** — ჩემს მამამთილს ქვედა კიდურში გაუსაძლისი ტკივილი ჰქონდა. ექიმებმა დიაგნოზი დაუსვეს — წელის მე-4-მე-5 მილების პროტრუზია. წამლებს სვამდა, მაგრამ მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო, თანაც კუჭი გაუღიზიანა. **ᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲛᲐ ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲛ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ** — 2 კვირის თავზე კაცი სამსახურში გავიდა, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით ამ ღვთისნიერ ქალბატონს.

**ᲚᲝᲜᲓᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ:** — უკვე ასაკში ვარ და ძვალსახსროვანი სისტემის პათოლოგიამ არც მე დამინდო — ხერხემლის ყველა მალაზე მქონდა ძვლოვანი წანაზარდები, დამიდგინეს დისკების პროტრუზია, თაბუხის სკლეროზი და კოქსართროზის პირველი სტადია. ტკივილის გამო მიჭირდა მოძრაობა, წელში მოღუნული და გვერდზე გადახრილი დავდიოდი. **ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲚᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠ, ᲢᲙᲘᲕᲚᲘ ᲐᲚᲐᲠ ᲛᲢᲐᲜᲯᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲮᲐᲠᲘᲐ.**

**„ᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲡ" ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ 81-ᲨᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 12-ᲓᲐᲜ 19 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.**

**ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 599-22-59-09**

ᲛᲐᲚᲐᲛᲝ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲤᲣᲭᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲨᲔᲘᲜᲐᲮᲝᲗ

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲘᲠᲛᲐ ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲘ**
*სპორტსმენი, პარამოფარიკავე*



ყველა თითქოს თავისთვის ცხოვრობს, მაგრამ სხვის ცხოვრებაში მაინც ყოფენ ხოლმე ცხვირს. **საშინლად არ მომწონს დღევანდელი სოციალური ქსელის სისტემა, როგორ ილანძღება ხალხი და რა შეურაცხყოფას აყენებენ ერთმანეთს.** დღეს ერი გახლეჩილია.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ"

**ᲥᲔᲗᲘ ᲜᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ**
*თემურ წიკლაურის ქალიშვილი*



მჯერა ჩემი მშობლების **ნამდვილი სიყვარულის,** მაგრამ მე **ოჯახის მეორედ შექმნის** სურვილი არ მქონია.

„ᲡᲐᲠᲙᲔ"

**ᲒᲘᲕᲘ ᲩᲣᲒᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი*



**ავტომანქანით** ძალიან ცოტა მაქვს გავლილი, რადგან მაინც **მოტოთი** დავდივარ, არანაირი ამინდი არ მაშინებს — სიცხე, სიცივე, ქარი, არც ერთხელ გავცივებულვარ. მიყვარს საოცრად, რაღაცნაირი ჟინი მიპყრობს, **აბსოლუტურად ვთავისუფლდები ხუნდებისგან. ისეთი შეგრძნებაა, არაფერი შეედრება!**

„ᲡᲐᲠᲙᲔ"

**ᲝᲗᲝ ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲔ**
*ეკონომიკის ექსპერტი*



**საწვავის საშუალო ფასი იქნება 5,5 ლარი, ხოლო ლარის კურსი გაუფასურებას დაიწყებს 5 აპრილიდან.** ეს გარდაუვალია, ამას ვერ შეაჩერებენ.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ"

**ᲒᲘᲐ ᲯᲐᲯᲐᲜᲘᲫᲔ**
*ტელეწამყვანი, ფსიქოლოგი*



**60 წლის იუბილე** არაჩვეულებრივად აღვნიშნე, **სულ მარტო ვიყავი,** ასე ვარჩიე.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ"




# მიაღწევს თუ არა დავით გურამიშვილის საფლავი მირგოროდში მისი გარდაცვალებიდან 230-ე წლისთავს?




***უკრაინის ქალაქი მირგოროდი რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან პირველივე დღეს, 2022 წლის 24 თებერვალს, დაიბომბა.*** *230 წლის წინათ სწორედ ამ ქალაქში პოვა სამუდამო განსასვენებელი* ***დიდმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა,*** *რომელიც ბედმა ჯერ საქართველოდან შორს დატყვევებული ატარა და შემდეგ, რუსეთის არმიის რიგებში ომგამოვლილი, უკრაინის მიწაზე დაასახლა.*

***დავინტერესდით, რა მდგომარეობაშია დღეს მისი განსასვენებელი ქალაქ მირგოროდში, რისთვისაც დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის თანამშრომელს მირგოროდში დავუკავშირდით. დღეის მდგომარეობით, ქართველი პოეტის საფლავსაც და მუზეუმსაც, ქალაქის დაბომბვის მიუხედავად, ჭურვი არ მოხვედრია.***

*დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში პირველივე ზარზე ქალბატონმა უკრაინულ ენაზე გვიპასუხა:* ***თქვენ დარეკეთ დავით გურამიშვილის სახელობის მუზეუმში, გისმენთ!*** *ჩემს გაოცებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ამ უმძიმეს სიტუაციაში (დღევანდელი მდგომარეობით, უკრაინა 10 მილიონმა ადამიანმა დატოვა), მირგოროდში დავით გურამიშვილის სახელობის მუზეუმი მუშაობს, იქ განთავსებულ ქართულ ექსპონატებს პატრონობენ და პოეტის საფლავს უფრთხილდებიან! მუზეუმის თანამშრომელმა ქალბატონმა, რომელიც თბილისიდან დარეკილმა ზარმა ააღელვა, ხმაში ცრემლგარეულმა გვითხრა:* ***„ქალაქი დაბომბეს, მაგრამ ჩვენ აქ ვართ, ვმუშაობთ, ვდგავართ, ვიდგებით... მაპატიეთ, საუბრის გაგრძელება აღარ შემიძლია“.*** *ეს იყო ჩემთვის უკვე გმირი ქალბატონის ხმა, რომელიც ფრონტის წინა ხაზზე დგას და ჩვენს ძვირფას საუნჯეს, დიდი პოეტის დავით გურამიშვილის სახელს, საფლავსა და სახლს ისტორიას უნახავს.* ***და ეს მაშინ, როდესაც საქართველოში დავით გურამიშვილის ნასახლარის აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა და იმ კაცის სახელიც, ვისი ხელშეწყობითაც მოხდა უკრაინაში დავით გურამიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნა და საქართველოდან პირველი დელეგაციების გაგზავნა, სათანადოდ დაუფასებელია.*** *ეს გახლავთ საქართველოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლეგენდარული პირველი მდივანი* ***ვასილ მჟავანაძე,*** *რომელიც საქართველოში დაბრუნებამდე იყო ხარკოვისა და კიევის სამხედრო ოლქების სამხედრო საბჭოს წევრი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.*

***გვესაუბრება ვასილ მჟავანაძის ქალიშვილი ნინა მჟავანაძე:*** — 1964 წლის ოქტომბერში მამას მხარდაჭერითა და მოწადინებით, საქართველოში გაიმართა **უკრაინული ლიტერატურის დეკადა,** ჩამოვიდნენ მწერლები და პოეტები: **მიკოლა ბაჟანი, ოლეს გონჩარი, ივან დრაჩი, ივან ვირგანი, პავლო ზაგრებელნი, იური ზბანაცკი, ალექსანდრ იურენკო, ვასილ კოზაჩენკო, ვიტალი კოროტიჩი, დმიტრი კოსარიკი, ლეონიდ ნოვიჩენკო, ოლექსა ნოვიცკი, ვადიმ სობკო, მიხაილო სტელმახი, დმიტრი პავლიჩენკო.** მიკოლა ბაჟანს „ვეფხისტყაოსანი“ აქვს თარგმნილი უკრაინულ ენაზე, მამას წიგნიც აჩუქა თავისი ავტოგრაფით.

ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღოდა **პავლო ტიჩინასაც,** რომელსაც მამამ ქართული ენა შეასწავლა. აკი, ამბობდა კიდეც: ვამაყობ, რომ ქართველი გენერლის ვასილ მჟავანაძის მეგობარი ვარ და ქართულიც მან შემასწავლაო...

მამა მეგობრობდა უკრაინელ მწერალ **ალექსანდრ კორნეიჩუკთანაც,** მეორე მსოფლიო ომის დროს ისინი ერთად მსახურობდნენ მოქმედ არმიაში. უკრაინელებსა და ქართველებს ყოველთვის თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან,

## მარტო ის რად ღირს, რომ უკრაინაში არსებობს დავით გურამიშვილის საფლავი და მუზეუმი, ხოლო უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა საქართველომ თავის შვილად მიიღო, მოეფერა და მისი პოეზია შეიყვარა.

ლესია უკრაინკამ საქართველოში მეორე სამშობლო იპოვა, აქვე გარდაიცვალა და დღეს სურამში მისი ქანდაკება დგას, რომლის ავტორიცაა მოქანდაკე **თამარ აბაკელია.** ძეგლი გაიხსნა 1952 წლის ზაფხულში, იქვეა მისი სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმიც.

**— უკრაინაში, მირგოროდში, დავით გურამიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნის ხელშეწყობაც მამათქვენს — ვასილ მჟავანაძეს უკავშირდება...**

— მუზეუმი გაიხსნა იქ, სადაც დავით გურამიშვილმა თავისი ცხოვრების ბოლო 32 წელი გაატარა და სადაც მისი საფლავია. იდეის განხორციელება მოხერხდა **მიკოლა ბაჟანის** ძალისხმევით. ეს მოხდა 1968 წელს. მუზეუმის მოწყობაში უკრაინელებს დახმარება გაუწიეს ქართველმა მეცნიერებმა, მუზეუმებისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა. საბოლოოდ დავით გურამიშვილის სახელობის მირგოროდის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი გაიხსნა 1969 წლის 12 მაისს, უკრაინაში ქართული კულტურის დეკადის დღეების დროს. საზეიმო ცერემონიალს მთელი ქალაქი დაესწრო, ამაყობდნენ, რომ დავით გურამიშვილმა სწორედ მათ მიწაზე შექმნა უკვდავი „დავითიანი“, რომელმაც მის სამშობლომდე ჩააღწია და არ დაიკარგა. გაგიკვირდებათ და უკრაინელი ბავშვები გურამიშვილის გაცნობას სკოლიდანვე იწყებენ, „მშობლიური მხარის ლიტერატურის“ პროგრამაში აქვთ შეტანილი, ხოლო უფროსკლასელებს მცირე ნარკვევის დაწერას სთხოვენ გურამიშვილის შემოქმედების შესახებ. ვიცი, რომ 2005 წელს, გურამიშვილის დაბადებიდან 300 წლისთავზე, ხელახლა გამოიცა „დავითიანი“.

**— როდის დაიდგა ძეგლი დავით გურამიშვილის საფლავზე?**

— მირგოროდის მიძინების ეკლესიის სასაფლაოზე დავით გურამიშვილის ძეგლი დაიდგა 1949 წლის 1 აგვისტოს, მამა მაშინ კიევის სამხედრო ოლქში მსახურობდა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო. სასიხარულოა, რომ დღევანდელ ურთულეს სიტუაციაში მირგოროდში დავით გურამიშვილის სახელობის მუზეუმი ფუნქციონირებს და მისი საფლავის ქვაც სათანადოდ არის მოვლილი. ზაფხულში, 21 ივლისს, დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან 230 წელი სრულდება და ყველას ვუსურვებ მშვიდობას, რათა ღირსეულად აღვნიშნოთ დიდი პოეტის საიუბილეო თარიღი.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



**ნინა მჟავანაძე**


დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი მირგოროდში და დიდი პოეტის ქანდაკება მუზეუმის ეზოში


***ვასილ მჟავანაძე, ალექსანდრე კორნეიჩუკი და გრიგოლ აბაშიძე***




ქართველი და უკრაინელი პოეტები სურამში ლესია უკრაინკას ქანდაკებასთან, 1964 წელი

*„რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგის* ***ია ქანთარიას*** *დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, რომ შინსახკომს აინტერესებდა არა ხელოვნება და კულტურის დონე საქართველოში, არამედ ერთადერთი რამ — დაემტკიცებინათ სანდრო ახმეტელისა და მისი თეატრალური დასის კავშირი კონტრრევოლუციონერებთან“,* ***— ამბობს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ცნობილი ჟურნალისტი გუბაზ მეგრელიძე და ია ქანთარიას ბოლო დაკითხვის ოქმს გვაცნობს:***

# გუბაზ მეგრელიძე:

# რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობები ია ქანთარიამ მენშევიკებთან კავშირში ამხილა!






— ია ქანთარიას ბოლოს წინა დაკითხვის ოქმი შედგენილია 1937 წლის 25 აპრილს. ამ ოქმის მიხედვით, რუსთაველის თეატრში არსებობდა **მენშევიკური ჯგუფი,** რომლის წევრებიც, მის გარდა, იყვნენ მსახიობები: **აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, პლატონ კორიშელი, ბიძინა წულაძე, დიმიტრი მჟავია** და კომპოზიტორი **იონა ტუსკია.** მათ მენშევიკებისაგან დავალება ჰქონდათ, თეატრში თუ თეატრს გარეთ აგიტაცია გაეწიათ მათ სასარგებლოდ და მათივე იდეები გაევრცელებინათ. ია ქანთარიამ აღიარა, რომ პირადად ის დავალებებს იღებდა საკუთარი ძმისგან **ლავრენტი ქანთარიასაგან,** რომელიც მენშევიკურ ორგანიზაციაში მუშაობდა და მისთვის არალეგალური ლიტერატურა მოჰქონდა, მაგალითად, ჟურნალი „ბრძოლა“.

**— რაში გამოიხატებოდა დანარჩენ მსახიობთა კავშირი მენშევიკებთან?**

— ია ქანთარიამ განაცხადა — რუსთაველის თეატრში ჟურნალი „ბრძოლა“ აკაკი ხორავას თხოვნით მიმქონდა და აქ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს **ელგუჯა ლორთქიფანიძე** და **პავლე კანდელაკიც** ეცნობოდნენო... რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია საკმარისი იყო ამ მსახიობთა დასაპატიმრებლად. ამათგან 1937 წლის რეპრესიებს გადაურჩნენ **აკაკი ხორავა და პავლე კანდელაკი,** ხოლო **ელგუჯა ლორთქიფანიძე** და თავად **ია ქანთარია** 1937 წლის 29 ივნისს სანდრო ახმეტელთან ერთად დახვრიტეს.

**— დავუბრუნდეთ დაკითხვის ოქმს...**

— ია ქანთარიამ დაასახელა კონკრეტული პირი — მენშევიკი და კონტრრევოლუციონერი **შოთა კალანდარიშვილი,** რომლის სახლშიც სანდრო ახმეტელთან ერთად იკრიბებოდნენ მსახიობები: **აკაკი ხორავა, ემანუილ აფხაიძე და ელგუჯა ლორთქიფანიძე.** ქანთარიამ დაკითხვაზე თქვა — პირადად მე კალანდარიშვილთან ერთხელაც არ ვყოფილვარო. ოქმში ასევე დაკონკრეტებულია, რომ 1932 წლიდან მოყოლებული, **აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე** ხშირად სტუმრობდნენ მენშევიკსა და რუსთაველის თეატრის ყოფილ დირექტორს **გრიგოლ ალავიძეს,** ასევე ხშირად მიდიოდნენ მენშევიკთან და სანკულტურის თეატრის ყოფილ ხელმძღვანელთან **ვიქტორ ნინიძესთან,** ყოფილ ოფიცერთან და ექიმთან **ხორავასთან** (სახელი უცნობია) და ამავე ექიმის ნათესავ **ბაქრაძესთან.** მსახიობები **აკაკი ხორავა და ემანუილ აფხაიძე,** მხატვარი **ირაკლი გამრეკელი** და რეჟისორი **კუკური პატარიძე**

**— ვიქტორ ნინიძესა და იონა ტუსკიას შეეხო რეპრესიები?**

— არა, **ვიქტორ ნინიძე** გარდაიცვალა 1981 წელს 80 წლის ასაკში, რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო 1971 წლიდან. ხოლო **იონა ტუსკიამ** ახმეტელის მერე რუსთაველის თეატრში განაგრძო მუშაობა, შემდეგ გახლდათ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე. გარდაიცვალა პარიზში 1963 წელს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

**— აღიარებდა თუ არა ია ქანთარია იმ ფაქტს, რომ მან და რუსთაველის თეატრის სხვა მსახიობებმა პოლიტიკაში ჩაბმის გამო თეატრის მუშაობას ხელი შეუშალეს?**

— ია ქანთარია აღიარებს, რომ მენშევიკების სასარგებლოდ ეწეოდა აგიტაციას და **ნოე ჟორდანიას** აქებდა. უფრო მეტიც, **ბიძინა წულაძესთან, კუკური პატარიძესთან, ელგუჯა ლორთქიფანიძესთან, პავლე კან-**


აკაკი ვასაძე


აკაკი ხორავა


პლატონ კორიშელი


იონა ტუსკია

კომპოზიტორ **იონა ტუსკიას** სახლშიც ხშირი სტუმრები ყოფილან. ეს ბოლო თითქოს უწყინარი ინფორმაციაა, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ იონა ტუსკიას მეუღლე **ირინე ნიკოლოზის ასული მდივანი** იმ **ბუდუ მდივნის** ნათესავი იყო, რომელიც ტროცკისტულ-ჯაშუშური ცენტრის მუშაობაში მონაწილეობის ბრალდებით უკვე დაპატიმრებული იყო და ია ქანთარაია ამას საგანგებოდ უსვამდა ხაზს. **ბუდუ მდივანი დახვრიტეს 1937 წლის 9 ივლისს.**

**დელაკთან, სტეფან ჯაფარიძესთან, ემანუილ აფხაიძესთან, ივანე აბაშიძესთან, კოტე მთავრიშვილთან, აკაკი ვასაძესთან, აკაკი ხორავასთან, გიორგი სალარაძესთან და გიორგი დავითაშვილთან** ერთად განიხილავდა მენშევიკების მიერ შემუშავებულ გეგმებს. **პლატონ კორიშელზე** აცხადებდა — თავშეუკავებელი მოწოდებებით გამოირჩეოდა, ახალგაზრდებს შევაგროვებ და ტყეში წავალ, რადგან მთავრობა და პარტია მსახიობებს ადამიანებად არ გვთვლისო...

ჯგუფის ლიდერად მან კორიშელი დაასახელა, რუსთაველის თეატრიდან გათავისუფლებულ სანდრო ახმეტელთანაც სწორედ ის აწარმოებდა არალეგალურ მიწერ-მოწერას და თანამოაზრეებიც მის სახლში იკრიბებოდნენო.

**— ეს იყო ია ქანთარიას ბოლო დაკითხვა?**

— 27 აპრილის შემდეგ დაკითხვა გაგრძელდა 27 მაისს. ეს იყო მისი **ბოლო დაკითხვა.** შემდეგ თვეში, 29 ივნისს, ქანთარია დახვრიტეს. ბოლო დაკითხვაზე მან განაცხადა: სანდრო ახმეტელს დამოუკიდებელი საქართველო უნდოდა, ამის თაობაზე აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდა და კონტრრევოლუციურ-ტერორისტულ ჯგუფსაც ამზადებდაო. ქანთარიამ გაიხსენა, როგორ აქებდა ახმეტელი **კოტე აფხაზს,** როგორ ამაყობდა მასთან ერთად 1923 წლის დაპატიმრებას და როგორ მიიჩნევდა ბოლშევიკების მიერ დახვრეტილ კოტე აფხაზს გმირად. ახმეტელის სულისკვეთებით აღფრთოვანებულები ყოფილან **ელგუჯა ლორთქიფანიძე, სტეფან ჯაფარიძე, ემანუილ აფხაიძე, ლაზარე ყაზაიშვილი,** რომლებიც შემდეგ პარტიის ხელმძღვანელებისთვის საშიში გამხდარან. ეს აღფრთოვანება უფრო აშკარა გამხდარა 1932 წლის შემდეგ, როცა **ელგუჯა ლორთქიფანიძის მენშევიკი ძმა** დახვრიტეს.

ია ქანთარიას ბოლო დაკითხვის ოქმიდან ასევე ვიგებთ, რომ 1931 წლიდან სანდრო ახმეტელი ცდილობდა ქართული თეატრის სრულ იზოლირებას რუსული თეატრის გავლენისგან, სადავეები ხელში უნდა აეღოთ კონტრრევოლუციურად განწყობილ რეჟისორებს **აკაკი ვასაძეს, შოთა აღსაბაძეს და კუკური პატარიძეს.** კავკასიაში ანტისაბჭოთა განწყობის გასაღვივებლად ახმეტელს დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში მიუვლენია **არჩილ ჩხარტიშვილი,** სამხრეთ ოსეთში — **შოთა აღსაბაძე და აკაკი ვასაძე,** ხოლო თვითონ აჭარაში ჩასულა. სულ მალე იქვე ჩამოუყალიბებია სტუდია, რომლის წევრებსაც ახმეტელის წინაშე ფიცი დაუდიათ. ერთ-ერთზე — **ზაურბეკ ღლონტზე** ახმეტელს უთქვამს — თავის ფიცს არ გადავაო. ზოგადად, განზრახული ჰქონდათ მთელი კავკასიის კულტურული საზოგადოების დაქვემდებარება საქართველოს ინტერესებისათვის, სადაც ჰეგემონი იქნებოდა რუსთაველის თეატრი.

ია ქანთარიას ზემოაღწერილ ჩვენებას ახლავს დამატება, რომელშიც ფრიად საინტერესო ინფორმაციას ვეცნობით.

**— კონკრეტულად?**

— მას აღწერილი აქვს 1932 წლის ზამთარში სანდრო ახმეტელის კაბინეტში შემდგარი საუბარი, როცა ახმეტელმა გაიხსენა 1930 წლის გასტროლი და ლატვიის ელჩ **იურგის ბალტრუშაიტისთან** შეხვედრა. ბალტრუშაიტისი, იმის გარდა, რომ დიპლომატი იყო, პოეტი-სიმბოლისტიც გახლდათო. ია ქანთარიას გარდა იმ დღეს ახმეტელთან კაბინეტში ყოფილან **შოთა აღსაბაძე, ირაკლი გამრეკელი, აკაკი ხორავა,** ასევე რეჟისორის თანაშემწეები — **წერეთელი და თავაძე.** ია ქანთარიამ საეჭვოდ მიიჩნია კიდევ ერთი შეხვედრა, როცა ახმეტელგაზრდა ლატვიელი რეჟისორი **იურკევიჩუსი.** მას რაღაც პერიოდი რუსთაველის თეატრში უნდა ემუშავა და არ ვიცი, რატომ მოიწვიესო... იურკევიჩუსთან საუბარს დასწრებიან **ირაკლი გამრეკელი, კუკური პატარიძე, ვლადიმერ ადამიძე, დიმიტრი თავაძე.** ზემოხსენებული **იურგის ბალტრუშაიტისი** ახმეტელის დახვრეტის მერე, 1939 წლის აპრილში, წარგზავნილ იქნა საფრანგეთში ლიტვის ელჩის თანაშემწედ — სხვა ინფორმაციით, ლიტვიდან გაძევებული ყოფილა, ხოლო ახალგაზრდა რეჟისორ **იურკევიჩუსთან** დაკავშირებით, განახორციელა თუ არა მან რუსთაველის თეატრში დადგმები, ცნობილი არაფერია.

***ესაუბრა ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**თენგიზ შუბლაძე**
*გენერალ-მაიორი*



**კომუნისტების დროს აშენებულ კორპუსებში სარდაფები თავშესაფრებად არის გათვალისწინებული, მაგრამ ახლა ზოგან მაღაზიები აქვთ გახსნილი, ზოგან — კაფე-ბარები.** ერთადერთი, რაც დაგვრჩა, მეტროპოლიტენია, მაგრამ მთელი თბილისი მეტროში ვერ ჩავა. **საომარი მოქმედების დროს სახლის ფანჯარასთან ან სარკესთან ახლოს ყოფნა საშიშია, ჩვენ კი ავდექით და შუშის შენობები ავაშენეთ.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ანთაძე**
*„ჩვეულებრივის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელი*



უნდა დაველოდოთ, საბოლოოდ რაზე მოილაპარაკებენ რუსეთი და უკრაინა — **ეს ძალიან ჰგავს 1992 წლის ივნისის სოჭის შეთანხმებას** — ხელი მოგვაწერინეს, **იარაღი გაგვატანინეს და 2 თვეში ისევ დაგვცხეს.**

„ინტერპრესნიუსი“

**თამარ კორძაია**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**რას ხედავენ და რას გრძნობენ დღეს საქართველოს მოქალაქეები, როდესაც ისინი ჩვენ გვისმენენ? აბსოლუტურად არაფერს კარგს, იმიტომ, რომ ჩვენი აქ გამოსვლებითა და ერთმანეთის ლანძღვით მართლაც მხოლოდ ნიჰილიზმსა და უიმედობას ვთესავთ,** გაურკვევლობას ვთესავთ თითოეულ ადამიანში.

„რეზონანსი“

**ანა ბუჩუკური**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



10 წელია, **ნაციონალური მოძრაობა** ცდილობს, შეცვალოს ხელისუფლება, მაგრამ ფაქტია, რომ მას ეს არ გამოუვიდა. ის მეთოდები, რომლებითაც **ნაციონალური მოძრაობა** ცდილობს ხელისუფლების შეცვლას, არ მუშაობს.

„რეზონანსი“

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ აუტოჰემოთერაპიის არგამოყენება, რომელიც ფურუნკულების სამკურნალო ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და უძველესი საშუალებაა, დანაშაულია. ქართველი მეცნიერის აზრით, რიგ შემთხვევაში, თუ ფურუნკული არ გავხსენით და ჩირქს გარეთ გამოსვლის საშუალება არ მივეცით, შესაძლოა, კანის შიდა შრეში მოხვდეს, სისხლში გადავიდეს და გამოიწვიოს ჩირქოვანი მენინგიტი, რომელიც ხშირად სიკვდილით მთავრდება:***



## კახა საბახტარიშვილი:

# ვისაც ძირმაგარები ხშირად უჩნდება, პირველ რიგში, შაქარი და ფარისებრი ჯირკვალი უნდა შეიმოწმოს!

— ბევრ ადამიანს კანქვეშ, გარკვეულ ადგილებში აღენიშნება ცხიმგროვა, რომელსაც ხან — **ათერომას,** ხან კიდევ **ლიპომას** უწოდებენ. სინამდვილეში ათერომა და ლიპომა აბსოლუტურად სხვადასხვა წარმონაქმნებია. ლიპომა ცხიმოვანი ქსოვილის, ანუ ცხიმოვანი უჯრედების კეთილთვისებიანი სიმსივნეა. როცა ლიპომას ვეხებით, ის რბილია, იზრდება ნელა, მაგრამ, თუ ყურადღება არ მივაქციეთ, შესაძლოა, ქათმის კვერცხისოდენაც კი გახდეს. ლიპომა უფრო ვითარდება კისრის, ზურგის, ზედა და ქვედა კიდურების მიდამოში, ჯანმრთელობისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს და ავთვისებიან სიმსივნეში არასდროს გადაიზრდება.

**— ბატონო კახა, რა იწვევს ლიპომას?**

— ხშირად ლიპომას ადამიანის გენეტიკურ აპარატში მომხდარი ცვლილება იწვევს. ამ დროს ცხიმოვანი უჯრედები ზედმეტად მრავლდება. თუ ლიპომას გავაღიზიანებთ და გავამიზეზებთ, შესაძლოა, განვითარდეს ანთება, რომელიც დაჩირქებით დამთავრდება. ამიტომ ლიპომა ნებისმიერ შემთხვევაში ქირურგიულად უნდა მოვიშოროთ. რაც შეეხება **ათერომას,** ეს საოფლე ჯირკვლების კისტაა, რომლის შიგნითაც კანის ცხიმი, ანუ ქონი გროვდება. ათერომა არის „ტომარა“, რომლის სქელი კანის, ანუ კაფსულის ქვეშ ცხიმია...

**— რა იწვევს ათერომის განვითარებას და რომელი უფრო საშიშია, ლიპომა თუ ათერომა?**

— ადამიანის კანი შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმის, ანუ იმავე ქონის გამომმუშავებელ ჯირკვლებს, რომლებიც სადინარით არიან დაკავშირებული თმის ფოლიკულებთან, ანუ თმის ძირებთან. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ თმა ყოველთვის ცხიმით, ანუ ქონით იპოხება, რაც მას ელასტიკურობასა და მდგრადობას უნარჩუნებს. როცა ოფლის გამომყოფი სადინარი იხშობა, ან რაიმე მიზეზის გამო ცხიმი სქელდება, ასეთ შემთხვევაში თმის ფოლიკულებთან ცხიმი ვეღარ მიდის, გროვდება ჯირკვლებში და წარმოიშობა ათერომა, ანუ ერთგვარი ცხიმგროვა. ათერომა უფრო მკვრივია, ვიდრე ლიპომა, ზომაში გაცილებით სწრაფად იზრდება და თუ ოპერაციულად არ იქნა მოშორებული, შესაძლოა, განვითარდეს ანთება, რომელსაც სიწითლე და ტკივილი ახასიათებს. თუ ათერომის კისტაში მიკრობიც მოხვდა, ასეთი ათერომა მექანიკური ზემოქმედების შედეგად სეფსისის განვითარების მიზეზიც შეიძლება გახდეს! ასე რომ, როგორც ათერომა, ისე ლიპომა, ოპერაციული გზით სასწრაფოდ მოსაშორებელია.

**— რა არის ფურუნკული და რა ზიანის მოტანა შეუძლია?**

— **ფურუნკულს** ჩვენში ძირმაგარასაც ეძახიან. იგი საოფლე და ცხიმოვანი ჯირკვლების ანთებაა, რომლის შიგნითაც მიკრობები მრავლდება და, შესაბამისად, ჩირქიც გროვდება. ფურუნკული ჩნდება ყველგან, სადაც თმოვანი საფარია. ფურუნკული, ანუ ძირმაგარა შეუძლებელია, განვითარდეს ხელისგულსა და ქუსლის მიდამოში. განსაკუთრებით სახიფათოა ძირმაგარა ცხვირ-ტუჩის სამკუთხედის მიდამოში და ცხვირის ღრუში. ასეთ დროს თუ ფურუნკული არ გავხსენით და ჩირქს გარეთ გამოსვლის საშუალება არ მივეცით, შესაძლოა, კანის შიდა შრეში მოხვდეს, სისხლში გადავიდეს და გამოიწვიოს ჩირქოვანი მენინგიტი, რომელიც ხშირად სიკვდილით მთავრდება.

**— ვის უჩნდება ხშირად ფურუნკულები?**

— ფურუნკულები ხშირად უჩნდებათ იმ ადამიანებს, რომლებსაც სუსტი იმუნიტეტი აქვთ. ძალზე ხშირია ფურუნკულების რეციდივები დიაბეტიანებში. ფურუნკულები ხშირია იმ ადამიანებში, რომლებსაც ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ჭარბი წონა და ენდოკრინული პრობლემები აღენიშნებათ. ამიტომ ჩემი რჩევაა — **ვისაც ძირმაგარები ხშირად უჩნდება, პირველ რიგში, შაქარი და ფარისებრი ჯირკვალი უნდა შეიმოწმოს!**




# „ფურუნკულის მკურნალობის დროს ვიშნევსკის მალამოს გამოყენება არ შეიძლება!“



**— ოჯახურ პირობებში ფურუნკულის სამკურნალოდ ხშირად იყენებენ იხტიოლისა და ვიშნევსკის მალამოებს. რას გვეტყვით?**

— პირდაპირ ვაცხადებ: ფურუნკულის მკურნალობის დროს ვიშნევსკის მალამოს გამოყენება არ შეიძლება! მართალია, ამ მალამოს შემადგენლობა უნიკალურია, მაგრამ მისი ფუძე ვაზელინია, რომელიც ახშობს კანის ფორებს და ანთებითი ინფილტრატი გარეთ ვეღარ გამოდის. რაც შეეხება იხტიოლის მალამოს, იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა ფურუნკული დაჩირქების სტადიაშია. იხტიოლს ფურუნკულიდან ძალიან კარგად გამოჰყავს ჩირქოვანი, ნეკროზული ღერო, რომელსაც ხალხი ძირმაგარას „ფესვსაც“ უწოდებს! როგორც კი ფურუნკული ტკივილით, კანის გაწითლებითა და გამკვრივებით გამოვლინდება, მაშინვე უნდა დავამუშაოთ ბეტადინით და შემდეგ წავუსვათ ლევომიკოლის მალამო. იგი შეშუპებასაც ამცირებს და, ამავდროულად, შეიცავს ანტიბიოტიკს. დაჩირქებული ფურუნკულის ხელით გამორწყვა დაუშვებელია. ფურუნკულზე მექანიკური ზემოქმედებისას ხშირია შემთხვევები, როცა კანქვეშ ღრმად მოხვედრილი ჩირქი სისხლში გადადის და უმძიმეს შედეგებს იწვევს.

**— რა არის კარბუნკული?**

— თუ ფურუნკული ერთი თმის ფოლიკულის ანთებაა, კარბუნკული რამდენიმე თმის ფოლიკულის ანთებითი პროცესია და გაცილებით მძიმედ მიმდინარეობს.

**— ადრე ძირმაგარებს, ანუ ფურუნკულებს და, საერთოდ, კანის დაავადებებს ერთი საინტერესო მეთოდით ებრძოდნენ — ვენიდან მცირე რაოდენობის სისხლს აიღებდნენ და მერე ამ სისხლს იმავე ადამიანს კუნთებში უსხამდნენ. რატომ არის ეს მეთოდი დღეს მივიწყებული?**

— ამ მეთოდს **აუტოჰემოთერაპია** ეწოდება. ის ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დაინერგა და ფართოდ გავრცელდა. მიმაჩნია, რომ დღეს აუტოჰემოთერაპიის არგამოყენება დანაშაულია! ჩემთვის, როგორც პრაქტიკოსი ექიმი-ჰომეოპათისთვის, ამ მეთოდის ეფექტიანობა ადვილად ასახსნელია. საქმე ის გახლავთ, რომ ვენური სისხლი ჟანგბადით ღარიბია და შეიცავს ყველა იმ დაშლის პროდუქტს, რომელსაც მთელი ორგანიზმიდან აგროვებს. არტერიული სისხლი კი, რომელიც კუნთებსა და საჯდომის მიდამოებში მიედინება, მდიდარია ჟანგბადით და ყველა იმ სასიცოცხლო ნივთიერებით, რომელიც უჯრედებისათვის არის აუცილებელი.

## როდესაც აუტოჰემოთერაპიის შედეგად „ცუდი“ ვენური სისხლის უმცირესი რაოდენობა – 1–2 გრამი „კარგ“ არტერიულ სისხლს შეერევა, მოხდება მისი განზავება და, ფაქტობრივად, იქმნება ჰომეოპათიური, ბუნებრივი პრეპარატი.

ეს პრეპარატი ჰომეოპათიური პრინციპით — „მსგავსი იკურნება მსგავსით, ოღონდ უმცირესი დოზით!“ — მთელი ორგანიზმის იმუნტეტს ამაღლებს და არამარტო კანის, არამედ სხვა უამრავი დაავადების კურნებაშიც გვეხმარება. აუტოჰემოთერაპიისა და ჰომეოპათიური პრეპარატების კომბინაციით ბევრი ისეთი დაავადება დამიმარცხებია, სადაც ოფიციალური მედიცინა უძლურია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



# „როგორც ათერომა, ისე ლიპომა, ოპერაციული გზით სასწრაფოდ მოსაშორებელია!“

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ტატიშვილი**
*მსახიობი*



თუ ადამიანი სულ იმაზე ფიქრობს, რომ **არაფერი ეშველება და მხოლოდ ხელმოცარული იქნება,** მართლა სულ ასე გაატარებს ცხოვრებას. ასეთ დროს ადამიანი თავის კარმას აზიანებს. **ყოველდღე მჯერა, რომ წინ ნათელი დღეები მელოდება.**

„სარკე“

**გია ნიკოლაძე**
*მუსიკოსი*



**ქრისტე უკვე მოსულია ამქვეყნად მეორედ.** ეს გაცხადებულია, უამრავი ნიშანი და დოკუმენტი არსებობს. **ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ქრისტეს წესებით.** სამწუხაროდ, ვცხოვრობთ მისი ჯვარზე გამკვრელთა წესებით.

„სარკე“

**დათო დარჩია**
*მსახიობი*



უთქვამთ, რომ სადმე არ წავსულიყავი და დამიჯერებია. მერე გამიგია, რომ იქ რაღაც ცუდი მომხდარა, რასაც მე გადავურჩი. **არ ვიცი, რა ძალაა, არ ვიცი, რა დავარქვა,** მაგრამ მე მთელი ცხოვრება რაღაც ძალა მეხმარება.

„თბილისელები“

**ეკა ნიჟარაძე**
*მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი*



**საქართველოს ყველა კუთხე მიყვარს, მაგრამ კახეთი მაინც განსაკუთრებულია,** ძველი სახლი და ეზო შევიძინეთ, ვენახი გავაშენეთ და ყველაფერი ჩვენს ეზოში მოგვყავს. **სოფელში ისეთი მძიმე აურა არ იგრძნობა, როგორიც თბილისშია.**

„კვირის პალიტრა“

**– ბოლო წლებში ძალიან მომრავლდა მაგიის სკოლები. გაზეთებში უამრავ განცხადებას შეხვდებით სიყვარულის თილისმაზე, თვალის, ჯადოს მოხსნაზე. ჰარი პოტერზე შექმნილმა წიგნებმა მსოფლიოში უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. რით შეიძლება ამისი ახსნა?**



დასაწყისი იხ.2021 წლის „ა-დ" №23-52, 2022 წლის „ა-დ" №3-14

# სერგეი ლაზარევი

# კარმის დიაგნოსტიკა

— ჰეგელი ამბობდა: „ყველაფერი არსებული გონივრულია, ყველაფერი გონივრული კი — არსებული". ანუ ყოველი არსებული მოვლენის უკან, რაკი ის წარმოიშვა, უზენაესი აზრი და კანონზომიერება იმალება. კულტის მსახური გეტყვით, რომ მაგია, რომელმაც ამჟამად ირგვლივ ყველაფერი აღავსო, ზნე-ჩვეულებათა დაცემა და საერთო რღვევაა — და მართალიც იქნება. მეცნიერების მსახური იტყვის, რომ ეს არის სამყაროს განვითარება და შეცნობა — და ისიც მართალი იქნება. მაგრამ **სიტუაციის „კარგი" და „ცუდი" კატეგორიებით შეფასება მხოლოდ შინაურობაში გამოდგება,** ის დროის მცირე მონაკვეთებში ამართლებს. უფრო მოზრდილი პერიოდები გულისხმობენ კანონზომიერების, როგორც დადებითი და უარყოფითი მომენტების ერთობლიობის გაგებას. ამას იმისთვის ვიმეორებ, რომ მკითხველმა გაიგოს: **კეთილი და ბოროტი ძალების ბრძოლის შესახებ ზღაპრები დამთავრდა.**

მაშ ასე, ამ სიტუაციაში გარკვევა წუთიერი ინტერესების დაძლევით ვცადოთ. შორიდან დავიწყოთ. ხშირად მეკითხებიან, არიან თუ არა ინფორმაციის მატარებელი ნიშნები, სიმბოლოები, სახელები? ჩემი პასუხია: არიან. ამიტომაც **ჯობს, ბავშვებს წმინდანთა სახელები დავარქვათ. სახელის მეშვეობით მისი წყაროს ინფორმაციულ ველს ვუერთდებით.** ამასწინათ ადმირალ ნახიმოვის შესახებ ჩანაწერი წავიკითხე. ბრწყინვალე მეთაურმა, საზღვაო ბრძოლებში მრავალგზის გამარჯვებულმა საკუთარი გემების ჩაძირვის ბრძანება მიიღო, რათა მტრის ესკადრისთვის სევასტოპოლის უბეში გზა გადაეღობა. ამის შემდეგ მას სიცოცხლე აღარ უნდოდა და მალე ბრძოლაში დაიღუპა კიდეც. აღმოჩნდა, რომ „ადმირალ ნახიმოვად" წოდებული თითქმის ყველა გემი დღემდე ან იძირება ან განუწყვეტლივ შეკეთება სჭირდება. ნამდვილი მისტიკაა, მაგრამ, თუ კარგად დავუფიქრდებით, ასე ვლინდება სამყაროს კანონები.

„თავიდან იყო სიტყვა", — ნათქვამია ბიბლიაში. ნებისმიერ მატერიალურ პროცესებს საფუძვლად ენერგეტიკული პროცესები უდევს. ნივთიერება სტრუქტურირებული ენერგიაა. ყველა ენერგეტიკული პროცესის საფუძველი დროის პროცესებია, დროის პროცესებისა კი — ინფორმაციული. გარეგნულად ინფორმაცია — გაცილებით უფრო სუსტი, ვიდრე ფიზიკური და ენერგეტიკული პროცესები — სამყაროში ყველა მოვლენის საფუძველია. **უმაღლესი ინფორმაცია ღვთაებრივი სიყვარულის გრძნობაშია დაცული.**

ცოტა ხნის წინ საინტერესო აზრი დამებადა. შეუძლია თუ არა სახელმწიფო დროშას ქვეყნის ენერგეტიკაზე გავლენის მოხდენა? აღმოჩნდა, რომ შეუძლია. სხვათაშორის, რუსეთის დროშას ძალიან კარგი ენერგეტიკა აქვს, უფრო სწორად, ინფორმაციული შემადგენელი. კარგად გამოიყურება ესპანეთის დროშაც. სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებზე ფულის ნიშნებზე დაბეჭდილი გამოსახულებებიც მოქმედებს. ამასწინათ ნიუ-იორკიდან პაციენტმა ქალმა დამირეკა და მკითხა:

— დოლარის მეორე მხარეზე წარწერა წაგიკითხავთ?

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მე, — იქ ინგლისურად წერია: „ჩვენ ღმერთი გვწამს".

— მთლად მასე არ არის, — მითხრა ქალმა, — სიტყვასიტყვით იქ წერია: „ჩვენ ღმერთს ვენდობით".

მორწმუნეებს ღმერთი სწამთ, წარმართები კი ღმერთის ენდობიან. ინფორმაციული შემადგენლის უმნიშვნელო ცვლილება — და ადამიანური ასპექტის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა.

— შესაძლებელია, რომ ამან ქვეყნის ენერგეტიკაზე და აქ მომხდარ მოვლენებზე გავლენა იქონიოს? — მკითხა პაციენტმა.

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია.

— და ის ფაქტი, რომ ლენინი წითელ მოედანზეა დაკრძალული, რუსეთის ენერგეტიკაზე მოქმედებს?

— ამას წყალი არ გაუვა.

ქალმა განმარტება მთხოვა.

მოდით, გავიხსენოთ, რაში მდგომარეობს მუმიფიცირების აზრი. ძველი ადამიანების წარმოდგენით, როდესაც ადამიანი იმქვეყანას მიდის, თან უნდა წაიღოს ყველაფერი, რაც აუცილებლად სჭირდება. თუკი მსოფლიო რელიგიებში ინფორმაცია, სული ფიზიკურ შემადგენელს განსაზღვრავს და ის მთავარია, წარმართულ რელიგიებში, პირიქით, სხეულის ინტერესები ხშირად სულიერზე მაღლა დგას. თუ სულს კარგად ყოფნა უნდა, ამისათვის სხეული უნდა იყოს კარგად. სხვათაშორის, ამ ტენდენციას პროტესტანტიზმში ვხედავთ.

მაშ ასე, იმისათვის, რომ საიქიოში სულმა თავი კარგად იგრძნოს, სხეული კარგად უნდა იყოს შენახული. და რაც უფრო უკეთ არის შენახული სხეული, მით უფრო კომფორტულად გრძნობს თავს სული. ამიტომ ბელადების დაკრძალვისას ათასობით მონას, მხევალს, ცხენს ხოცავდნენ, რომლებსაც უზარმაზარ სიმდიდრესთან ერთად მიცვალებულს თან ატანდნენ. ანუ, ერთი მხრივ, საიქიოში გადასვლის კომფორტულობა, ხოლო მეორე მხრივ — ამ დროს სხეულის დაცულობა. ამ ტრადიციამ აპოგეას ეგვიპტეში მიაღწია. პირამიდა მასში დაცული ფარაონის ცხედრით ურყეობის და, აქედან გამომდინარე, იმქვეყნად კომფორტული არსებობის სიმბოლოა. რა თქმა უნდა, მატერიალური პროცესები გავლენას ახდენენ სულიერზე. შეგნება იმისა, რომ ყველაფერი ერთიანია, ძველებს საკმაოდ პრიმიტიული ჰქონდათ. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სულის ყველაზე მაღალი მისწრაფებების მართვა მატერიალური საშუალებებით შეიძლება. ღმერთისადმი, ანუ მარადისობისადმი ინტუიციურ სწრაფვას ისინი იმით ანაცვლებდნენ, რომ მატერიალური შემადგენლის მარადიულად გადაქცევას ცდილობდნენ.

**სოციალიზმმა ოფიციალურად უარყო რელიგია, სინამდვილეში კი, უბრალოდ, წარმართულ რელიგიას დაუბრუნდა.** ამიტომ ბელადის უხრწნადობა, მისი სხეულისა და იდეების მარადიულობა საბჭოთა (და არა მარტო საბჭოთა) კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი გახდა. მავზოლეუმები ბევრ სოციალისტურ ქვეყანაში გამოჩნდა. მაგრამ მატერიალური სიკეთეების მარადიულად ქცევის სურვილი, ისევე, როგორც კერპების თაყვანისცემა, რელიგიის დამხობაზე მეტყველებს. ეს სიყვარულის გრძნობის და მორალური საწყისების რღვევაა.

სოციალიზმი იმ წარმართული პროცესების ოპოზიცია გახლდათ, რომლებიც დასავლეთ ევროპაში იშლებოდა. ჯერ კიდევ აღორძინების ეპოქაში ქრისტიანობა სერიოზულ კრიზისს განიცდიდა. ჯორჯონეს, რაფაელის ნახატები გაიხსენეთ — მათში სულიერი შემადგენელი აშკარად მატერიალურზე ძლიერია. მაგრამ ფერწერაში თანდათან სულ უფრო იკვეთება ხორციელობა, მატერიალურობა და რუბენსთან უკვე ნატურმორტებსაც ვხვდებით, სადაც საჭმელსასმლის მთები და ქალების ვეებერთელა შიშველი სხეულებია გამოსახული. ზნეობაც ეცემოდა. აღორძინების ეპოქაში სრულიად სხვადასხვა სახის გარყვნილება ყვაოდა, თანაც არა მარტო ფიზიკურ დონეზე — დაიწყო მაგიისა და ოკულტიზმის ბობოქარი განვითარება.

ინკვიზიცია წარმოიშვა, როგორც ამ სახიფათო პროცესის შეჩერების მცდელობა. უხეშად, ულაზათოდ, მაგრამ შეაჩერეს. მიუხედავად ამისა, ფულის, საჭმლის, სექსუალური სიამოვნების კულტმა თანდათან დაიწყო ღვთისმსახურების წარხოცვა, ის სულ უფრო ზედაპირული, საწესჩვეულებო ხდებოდა. წარმართობას, რომელიც ქრისტიანობის ნიღაბქვეშ იმალებოდა, სოციალიზმმა ათეიზმის დროშას ამოფარებული წარმართობა დაუპირისპირა. ამ წარმართობას თავისი სულიერი შემადგენელი ჰქონდა: კოლექტიური ცნობიერება, საერთო საკუთრება, სტრატეგიული აზროვნება. ზნეობრიობა, იდეალები მატერიალურ ინტერესზე მაღლა დააყენეს, და ამ თვალსაზრისით სოციალიზმი, როგორც წარმართული სისტემა, უფრო პროგრესული იყო, ვიდრე ევროპული წარმართობა. შემოქმედის თაყვანისცემიდან ადამიანები მატერიალური და სულიერი ასპექტების თაყვანისცემამდე დაეშვნენ. უფლისადმი გარეგნული რწმენის შენარჩუნების ფონზე კათოლიკობა მატერიალურისკენ მიილტვოდა, მართლმადიდებლობა კი — სულიერისკენ.

მაგრამ რა მაღალ დონეზეც უნდა იყოს წარმართობა, მასში მომხმარებლური ასპექტი მაინც ძალიან ძლიერი იქნება. მაღალგანვითარებულ ადამიანს შეუძლია გააკეთოს ან იქონიოს ის, რისი გაკეთება ან ქონება სუსტის, განუვითარებლისათვის დაუშვებელია, მაგრამ, თუ მაღალი დონის ადამიანი პირუტყვივით მოიქცევა, ის კიდევ უფრო სწრაფად დაავადდება და მოკვდება.



თუ ღვთაებრივი შეიცანი და მასზე უარის თქმას, სიყვარულის უარყოფას, მცნებათა უხეში დარღვევებისკენ დაბრუნებას ცდილობ, ზემოდან სწრაფად შეგაჩერებენ. ძველ აღთქმაში ეს საკმაოდ ნათლად არის ნათქვამი. ამიტომ სოციალიზმი ისევე იყო განწირული, როგორც დასავლური ცივილიზაცია. დღეს მოსკოვში, წითელ მოედანზე, მავზოლეუმია, ანუ მარადიული მატერიალური კეთილდღეობის თაყვანისცემა გრძელდება. რაღა თქმა უნდა, ეს ქვეყნის ენერგეტიკაზე აისახება. ჩვენ გვძულს საკუთარ კეთილდღეობაზე მლოცველი ოლიგარქები, სულში ყოველწამს მათ ხატებებს ვიქმნით და თან წითელი მოედანი და მავზოლეუმი გვახსენდება.

კიდევ ერთხელ სიმბოლიკის შესახებ. ყოველთვის მაინტერესებდა უსასრულობის ნიშანი. **თუკი სამყარო დროში სასრულია და ყველაფერი მასში არსებული დროის მარაგით არის შეზღუდული, მაშინ ბუნებაში უსასრულობა ვერ იარსებებს.** ასეთი დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს, რამეთუ უსასრულობა გულისხმობს განუსაზღვრელობას არამხოლოდ სივრცეში, არამედ დროშიც. ესე იგი, უფრო კორექტული იქნება, თუ ვიტყვით: უსასრულოა, სანამ სამყარო არსებობს. მაშინ სინამდვილეში რას შეიძლება აღნიშნავდეს უსასრულობის ნიშანი? ამჟამად ეს ასე მესმის: უსასრულობის ნიშანი ორი წრის ერთობლიობაა. დავასკვენი, რომ დროის მოდელი წრეა. დრო წერტილიდან გამოდის, იშლება და წერტილში ბრუნდება. შედეგი მიზეზი ხდება, მიზეზი კი — შედეგი. ამავე დროს, მივედი დასკვნამდე, რომ **დრო ორი მიმართულებით მიედინება — ერთმანეთის შესახვედრად.** დღევანდელ ფიზიკურ დონეზე ის წარსულიდან მომავლისკენ მიდის, ხოლო ფაქიზ დონეზე — მომავლიდან წარსულისკენ. მაშასადამე, უსასრულობის ნიშანი სინამდვილეში ასეთი სულაც არ არის. ეს, უბრალოდ, დროის, როგორც სამყაროს ფუნდამენტური სიდიდის მოდელია. ჩვენს საყოფაცხოვრებო საქმეებზე თუ გადავალთ, შეიძლება ითქვას, რომ განვითარების, ანუ მომავლისკენ მისწრაფების ნებისმიერ პროცესს დეგრადაციის, მომავლიდან წარსულში დაბრუნების პროცესები ახლავს. მეტიც, **განვითარება დეგრადაციის გარეშე შეუძლებელია.**

**– ლექციებზე ხშირად გითქვამთ, რომ სანამ ადამიანი საკუთარ თავს მთლიანად არ გაწმენდს, შთამომავლობის გამოხსნას ვერ შეძლებს. მაგრამ ზოგიერთს უპასუხეთ, რომ ადამიანს განწმენდა არ შეუძლია, რადგან შთამომავლებს ჰყავთ დაბორკილი. როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში, ერთად ვილოცოთ საკუთარ თავზე, შვილებზე და შვილიშვილებზე?**

**— სხვების გასაწმენდად თვითონ უნდა განიწმინდოთ. რეალური განწმენდა კი ადამიანის სულის სიღრმისეული შეცვლაა.** თუ თქვენი სული არ შეიცვლება, მაშინ, ცხადია, ვერც იმისი სული შეიცვლება, ვისთვისაც ლოცულობთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ განწმენდა ზერელე იყო და ამან შეიძლება სულს ავნოს კიდეც.ერთი ქალი თავის ამბავს მომიყვა. დიდი ხნის წინ შვილი გაუხდა ავად. ვერანაირი წამალი ვერ შველოდა. ბავშვი კვდებოდა. დედა ლოცულობდა, როგორც შეეძლო, მაგრამ საშველი არ ჩანდა. მაშინ მან ასე დაიწყო ლოცვა: „ღმერთო, ყველა მისი ავადმყოფობა მე შემყარე". ბიჭუნა უმალ გამოჯობინდა. დედა კი ავად გახდა და კინაღამ სული განუტევა. თუმცა, ყველაფერი თითქოს კეთილად დამთავრდა. — ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვძულვარ ახლა, — მითხრა ქალმა, — ხანდახან მზად არის, მომკლას. მგონი, ახლა ვხვდები, რატომაც.

— **სწორია,** — ვუთხარი მე, — **ახლობელი ადამიანის საუკეთესო დახმარება საკუთარი სულის სიწმინდეა. და თუ გვსურს, ჩვენმა შვილმა სიყვარული და მიტევება იცოდეს, ეს თვითონაც უნდა ვისწავლოთ.** შეგვიძლია ბავშვის სულის გასაწმენდად ვილოცოთ, მაგრამ მაშინ მისი ჭუჭყი ჩვენზე გადმოვა. თუ შვილების ემოციები გვთრგუნავს, ესე იგი, ეს ჩვენი საკუთარი ემოციებია. უბრალოდ, მათ ძალზე ღრმად შეაღწიეს და ჩვენი სულიდან შვილების სულებში გადავიდნენ. და თუ შთამომავლებს „დაბორკილი" ვყავართ, ესე იგი, ჩვენი ყმაწვილობის დროინდელი ემოციები, მშობლებისადმი დამოკიდებულება, პირველი სიყვარული, ჩასახვის წინა პერიოდის, ფეხმძიმობის დროინდელი ემოციები და სხვა არ გვიშვებს. **რაც მეტად დავტვირთავთ შვილებს, მით უფრო გაგვიჭირდება საკუთარ თავზე მუშაობა.** ცვლილებები ტალღასავით გადაგვივლის და სამუშაოსადმი გაცილებით მეტ მზადყოფნასა და მისწრაფებულობას მოითხოვს. ამასწინათ 2004 წლის გამოსვლებისას გამოგზავნილ ბარათებს ვათვალიერებდი. ერთ-ერთ მათგანს მოვიყვან: **„წელს აპრილში ვიგრძენი, რომ ბოლოს და ბოლოს შეცვლა დავიწყე და მაშინვე დედაჩემს ჯანმრთელობა გაუუარესდა. ივნისში კუჭის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს და მაქსიმუმ ნახევარი წლის სიცოცხლე უწინასწარმეტყველეს. დედამ თქვენი წიგნების კითხვა და ვიდეოკასეტების ყურება დაიწყო. ტკივილები დაუყუჩდა. ჩემს ვაჟს მხედველობა თითქმის ნორმამდე აღუდგა და პანკრეასი მოუწესრიგდა. ისიც ცდილობს, შეიცვალოს. 12 წლისაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო თვეში დედას მდგომარეობა ისევ გაუარესდა. ახლა ძალიან ძლიერი ტკივილები აქვს. პრაქტიკულად, ვეღარც დგება".** ბარათში ტელეფონის ნომერი იყო მითითებული. დავრეკე. იმ ქალის დედა უკვე გარდაცვლილიყო. მიზეზი შვილიშვილი გახლდათ. ტრავმული სიტუაციის მიღება მას მეტისმეტად დაბალ დონეზე ჰქონდა. ყმაწვილი სქესობრივ მომწიფებას იწყებდა და ფაქიზ დონეზე წმენდა დაუწყეს. მომავალი წყენის, დამცირების, დანაკარგის გავლის ხარისხი გაუძლიერდა, მაგრამ მაინც არ კმაროდა იმისათვის, რომ ბებია ცოცხალი დარჩენილიყო. **როგორც წესი, მაშინ ვავადმყოფობთ და ვკვდებით, როდესაც ჩვენს შვილებს ან შვილიშვილებს უეცარი საშიშროება ემუქრებათ.** და მაშინ მათთვის ყველაზე დიდი დახმარება ჩვენი სიღრმისეული ჰარმონია და სულის აღზრდაა.

*გაგრძელება იქნება*



# მიხეილ ცაგარელი: აპრილი მთლიანობაში უფრო ჰარმონიული იქნება

*— 6 აპრილამდე პლანეტა ვენერას ზეგავლენით რა გაგვიადვილდება და რას შეეწყობა ხელი? 10 რიცხვის შემდეგ რამ შეიძლება, თავი შეგვახსენოს და რა მოგვეთხოვება? პლანეტა მარსმა რა შეიძლება, განაპირობოს? აპრილის თვეში როდის იქნება საუკეთესო დრო ინოვაციური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, მნიშვნელოვანი მოგზაურობებისთვის, პრიორიტეტული ამოცანების მარტივად დასანერგად ანდა საოჯახო ურთიერთობის გამოსასწორებლად? ტყუპის ზოდიაქოში მყოფი პლანეტა მერკური რას გაგვიადვილებს? რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში თვის მეორე დეკადის ბოლოს მზის გადანაცვლება ვერძის ზოდიაქოდან კუროს ზოდიაქოში? აპრილის ბოლო დღეებში რეტროგრადული პლუტონი და მზის დაბნელება რა პრობლემებს შექმნის და, ამავდროულად, ეს ასპექტი რის საშუალებას მოგვცემს და რა იქნება რეკომენდებული? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი** გვესაუბრება.*



**— აპრილის თვეში რას უნდა ველოდოთ, როგორია ასტროლოგიური პროგნოზი?**

— **აპრილი მთლიანობაში დადებითი კოსმოსური ენერგიების ზემოქმედების შედეგად ჰარმონიული იქნება. 6 რიცხვამდე მერწყულის ზოდიაქოში მოძრავი პლანეტა ვენერა ხელს შეუწყობს სოციალური კავშირების დამყარებას. ამ პერიოდში ადამიანებს გაუადვილდებათ კარიერასა და ბიზნესში სასიკეთო პერსპექტივების დანახვა და გამოყენება.** ასევე ხელმძღვანელებსა და ხელქვეითებს შორის ურთიერთობა არსებულ პროფესიულ ეთიკას სრულად დაექვემდებარება. **10 აპრილის შემდეგ კი თავს შეგვახსენებს მარტის თვეში წარმოქმნილი ის პრობლემები თუ მათი შედეგი, რომელიც დროულად მოგვარებული და დასრულებული არ იყო.** შესაბამისად, მსგავსი გარემოებანი ყველასგან წინდახედულებას, სიდინჯეს და ფრთხილ მიდგომას მოგვთხოვს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს დაუკავშირდება რაიმე სახის რისკებს. მითუფრო, რომ **15 აპრილამდე** ცის კაბადონზე **მერწყულის ზოდიაქოში განლაგებული პლანეტა მარსი განაპირობებს გაუაზრებელ და ნაჩქარევ ქმედებებს, რომლებსაც შესაძლოა, არაერთი პრობლემა, უსიამოვნება ანდა კონფლიქტი მოჰყვეს. იმისათვის, რომ სიტუაცია კიდევ უფრო მეტად არ გამწვავდეს, სასურველი იქნება, ნაჩქარევ დასკვნებს, გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს მოვერიდოთ და ეიფორიული ემოციები თუ აზარტული განწყობა მაქსიმალურად დავიოკოთ.**

**— როგორ განვითარდება მოვლენები და რა ტენდენციებია მოსალოდნელი აპრილის მეორე ნახევარში?**

— **აპრილის მეორე ნახევარი უფრო ჰარმონიული იქნება.** თვის ამ პერიოდში პრიორიტეტული ამოცანები მარტივად განხორციელდება, მნიშვნელოვანი მოგზაურობები, შეხვედრები და მოლაპარაკებანი წარმატებით ჩაივლის, ადრე დასახულ გეგმათა ხორცშესხმა გაადვილდება. ნებისმიერი აქტიური საქმიანობა ამ დროს ნაყოფიერ შედეგს მოიტანს. **ეს დრო საუკეთესო იქნება ინოვაციური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების დასანერგავად, რამეთუ მოსახლეობაში დადებით შეფასებას დაიმსახურებს და სოციუმის მიერ ძალზე პოზიტიურად იქნება მიღებული. განსაკუთრებით კი მაშინ, თუ მსგავსი ღონისძიებანი 15-25 აპრილის შუალედში ჩატარდება.** საქმე კი ის გახლავთ, რომ 15 აპრილის შემდეგ **თევზების** ზოდიაქოში განლაგებული პლანეტა **მარსი** ხელს შეუწყობს საოჯახო ურთიერთობების დალაგებასა და გამყარებას. დიდი ხნის შეყვარებული წყვილები კი დაფიქრდებიან ერთობლივ გეგმებსა და ოჯახის შექმნაზე. გარდა ამისა, **ტყუპის ზოდიაქოში მოძრავი პლანეტა მერკური გააადვილებს ახალი და სასარგებლო კავშირების დამყარებას, მეგობრებისა და თანამოაზრეების პოვნას, პირადი ცხოვრების მოწყობასა და ბიზნესიდეის რეალიზებას.**

**— რომელ თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში აპრილის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ვერძის ზოდიაქოდან კუროს ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 20 აპრილს (06.25) გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოს ნიშნიდან კუროს ზოდიაქოში და უახლოესი ერთი თვის მანძილზე გაამახვილებს ადამიანებში ორგანიზებულობას, ნებისყოფას, პრაგმატულობას, ერთგულებას, შეუპოვრობას, სტაბილურობისკენ მიდრეკილებას, შემოქმედებითობის გამოვლენას და ასევე სიჯიუტეს, ეჭვიანობას და მოქმედებას პრინციპით — „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“.**

**— როგორ ზემოქმედებას მოახდენს ადამიანებსა და მოვლენებზე აპრილის ბოლო დღეებში ცის კაბადონზე შექმნილი ვითარება?**

— ნიშანდობლივია, რომ აპრილის ბოლოს **რეტროგრადული** (უკანმოძრავი) **პლანეტა პლუტონის** (29 რიცხვიდან) ზემოქმედება და **30 აპრილს მზის დაბნელება კუროს ზოდიაქოში,** რაც თავის მხრივ, ეკონომიკისა და ფინანსურ სფეროში ხარისხობრივ ცვლილებებს ხელს შეუწყობს, გამოიწვევს პრობლემებს კომუნიკაციასთან დაკავშირებით და გაართულებს ურთიერთობებს. თუმცა, ეს ასპექტი ამავდროულად ბევრ ადამიანში შინაგან სიმტკიცესა და პრინციპულობას გააძლიერებს, ამიტომაც ამ დროს რეკომენდებულია უახლოესი მომავლისთვის პერსპექტიული გეგმის დასახვა, რომლის მეშვეობითაც მაისის თვეში შესაძლებელი იქნება მოსალოდნელი რიგი წინააღმდეგობებისა და სირთულეების დაძლევა.

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 5,8,9 და 10 აპრილი

**1 აპრილი – ახალმთვარეობა, 16 აპრილი – სავსემთვარეობა, 30 აპრილი – ახალმთვარეობა და მზის დაბნელება (23.42).**

## 4 – 10 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ახალი საქმიანობის დასაწყებად კარგი პერიოდია. ეცადეთ, იმოქმედოთ კანონით და არ გადალახოთ მორალური ზღვარი, რათა წლების განმავლობაში ნაშენი ურთიერთობები არ დაანგრიოთ. ემოციათა კონტროლი ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის შენარჩუნების საშუალებას მოგცემთ. ოჯახში სიტუაციის დაძაბვისას ეცადეთ, ტაქტიანად იმოქმედოთ. მოგზაურობა კი სასიკეთო იქნება როგორც ჯანმრთელობისთვის, ისე საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებისთვის.

**კურო** (21.04-20.05)
სახლის საქმეები თქვენს აქტიურ ჩარევას ითხოვს. ოჯახის წევრებისგან სულიერი და შემოქმედებითი მხარდაჭერის შემთხვევაში, თქვენი თავდაჯერება გაიზრდება. მეგობართა წრეში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი, რაც, შესაძლოა, როგორც პროფესიულ საქმიანობაზე, ისე სოციალურ სტატუსზეც აისახოს. სასიყვარულო სფეროც გააქტიურდება, თუმცა, მეტად მგრძნობიარე და ეჭვიანი გახდებით, შესაძლოა, საქმიანი ურთიერთობა რომანტიკულში გადაიზარდოს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ფანტაზიის უნარი და გონებრივი შესაძლებლობები გაგიძლიერდებათ. ახალი იდეა, შესაძლოა, დიდ გამოგონებას დაედოს საფუძვლად. საზოგადოებრივ ცვლილებებს ინტუიციურად იგრძნობთ. ახალ ინფორმაციას ადვილად აითვისებთ, მაგრამ მისი გამოყენებისთვის დაგჭირდებათ მოქნილად აზროვნება და ქმედებანი, კრიტიკის მიმართ მოთმინება გმართებთ, რათა პროვოკაციაზე არ წამოეგოთ. მოგზაურობები კი რომანტიკული ხასიათის იქნება და განწყობას გამოგისწორებთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
შესაძლოა, თქვენი სოციალური სტატუსი, სამსახური ან საქმიანობა შეიცვალოს. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, თუ საკმარისი ფინანსები არ გაგაჩნიათ. ქველმოქმედებისას შეეცადეთ, ხელმძღვანელობამ თქვენი ძალისხმევა დააფასოს. ცდუნებების დიდი ალბათობაა. პირად თუ სასიყვარულო საეჭვო კონტაქტებს მოერიდეთ. ბევრი მუშაობით კი ჯანმრთელობას შესაძლოა, ავნოთ. უცხოეთში გამგზავრების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ახალი საქმიანი ურთიერთობების დამყარება.

**ლომი** (23.07-23.08)
ნებისმიერი წამოწყება საქმიან სფეროში ფინანსურ კეთილდღეობას გიქადით. ეცადეთ, საჭიროებისას რჩევები გამოცდილი ადამიანებისგან მიიღოთ. პირადი პრობლემებისა და გაუგებრობის გარკვევისას გარშემო მყოფებთან ურთიერთობაზე უარს ნუ იტყვით. ალკოჰოლისა და ფსიქოტროპული პრეპარატების მიღებას მოერიდეთ, რათა ეს შესაძლოა, ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი გახდეს. მოგზაურობა დადებით შედეგს მოგიტანთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
საქმეში შეუპოვარი და თანამიმდევრული იქნებით, რის გამოც შესაძლოა, მეწვრილმანეობა დაგაბრალონ. საბუთებთან მუშაობისას განსაკუთრებით გაამახვილეთ ყურადღება. კარგი პერიოდია ადრე დაწყებული საქმის დასრულებისათვის, ურთიერთობის განხილვას ერიდეთ, განსაკუთრებით მეუღლესთან ან შეყვარებულთან. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ, ხშირ-ხშირად დაისვენეთ და ენერგიაც დაზოგეთ.

## 4 – 10 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
თქვენი განწყობა გაუმჯობესდება, შემოქმედებითი აქტივობა და შემართებაც მოიმატებს. გადაადგილებების, მივლინებებისა და მოგზაურობის რაოდენობა გაიზრდება. ახალი კავშირები თავდაჯერებასა და სარფიანი მოლაპარაკების ჩატარებაში დაგეხმარებათ. სასიყვარულო განცდები შემოქმედებითი მუშაობისთვის განგაწყობთ. შესაძლებელი იქნება დიდი კარიერული წინსვლა, დიდი საჩუქრის ან გასამარჯელოს მიღება.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
აქტიურად მოქმედების სურვილი მოგეძალებათ, თუმცა, შესაძლოა, გარშემო მყოფთა მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდეთ. უფროსი თაობის ადამიანები და ხელმძღვანელები გაგაღიზიანებენ, ამიტომ ეცადეთ, მათთან ნაკლებად იკამათოთ. მოგზაურობა წარმატებული იქნება და კარიერას ხელს შეუწყობს. კარგი დროა პროფილაქტიკური სამედიცინო კვლევებისა და მკურნალობისთვისაც. შემთხვევით სასიყვარულო კავშირებს მოერიდეთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
თქვენი განწყობა და სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდება. თქვენს ხიბლს ამ პერიოდში მშვიდად გვერდს ვერავინ აუვლის. ამიტომ ეს კვირა პირადი ურთიერთობების დამყარებისთვის და ცხოვრების გასაუმჯობესებლად გამოიყენეთ. სახლის საქმე ბევრ დროს წაგართმევთ. ჯანმრთელობის გასაკაჟებლად მიზანშეწონილია ფიზიკური ვარჯიშები. მოგზაურობა კი ბევრ სიახლესა და სიამოვნებას გიქადით.

**თხის რქა** (22.12-19.01)
თქვენი მგრძნობელობა და ინტერესი მიმდინარე მოვლენების მიმართ გაიზრდება. ძალისმიერად ნუ იმოქმედებთ და ნურავის შეეწინააღმდეგებით. ის აკეთეთ მხოლოდ, რაც მარტივად გამოგივათ. ინტუიციას უსმინეთ. მიღებული ინფორმაცია მოგზაურობას გადაგაფიქრებინებთ. სასიყვარულო ურთიერთობა სწრაფად განვითარდება. მგზავრობისას მოერიდეთ გამაბრუებელ საშუალებებს, სიჩქარესა და აზარტს, რათა არ დაშავდეთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
შეხვედრების რიცხვი იმატებს და ადამიანებთან ურთიერთობაში უფრო მეტ დროს გაატარებთ. ახალი პროექტების განხორციელებაში ხელს შეგიწყობენ მეგობრები. შემოსავალს ჩვეული ხერხით მიიღებთ და ზოგიერთი სურვილის ასრულებასაც შეძლებთ. შესაძლოა, თქვენს წრეში მდიდარი და გავლენიანი ადამიანები გამოჩნდნენ, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებას გაგიაქტიურებთ. საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობებისას თავშეკავებულობა გმართებთ, ინტრიგებს მოერიდეთ.

**თევზები** (19.02-20.03)
პირადი ურთიერთობებისას ინტუიციასა და წინათგრძნობას მიენდეთ. ამგვარად სხვისი შეცდომების თქვენ სასიკეთოდ გამოყენებას და სიტუაციის სწრაფად დარეგულირებას შეძლებთ. მიზნის მისაღწევად ამორალურ მეთოდებს ნუ გამოიყენებთ და კანონს ნუ დაარღვევთ. ფინანსური მოგების მიღება არ იქნება ადვილი. ოჯახის წევრებთან, ბავშვებთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ეცადეთ, აუცილებელი სიტყვები შეარჩიოთ და კამათის გარეშე გადაწყვიტოთ რთული საკითხები.

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 4 აპრილი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.39 საათზე, ჩადის 18.29 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 07.13 საათზე, ჩადის 21.50 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 08.05 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს თქვენი სტატუსი საქმით დაამტკიცეთ. თქვენი მიზნების ზუსტი ფორმულირება წარმატების საწინდარი იქნება, შესაძლებელია, ნებისმიერი საკითხის არსში ჩაწვდენა და პრობლემაში გარკვევა. ეფექტური იქნება შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, მგზავრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, სამშენებლო მასალების, უძრავი ქონების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, შემოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარგალიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 5 აპრილი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.37 საათზე, ჩადის 18.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.05) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 07.42 საათზე, ჩადის 23.00 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 08.20 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.53 საათიდან 07.05 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს **პლანეტა ვენერა** გადაინაცვლებს **თევზების** ზოდიაქოში, რაც ურთიერთობისას გააძლიერებს მგრძნობელობას, რომანტიკულობას, ინტუიციას, თანაგრძნობის უნარს და ასევე ზედმეტ ილუზიებსაც, დაინტერესებას რელიგიური, კოსმოსური საკითხებისადმი, ხელოვნებისა და პოეზიისადმი. დღეს კი წარმატების საფუძველი იქნება თვითდისციპლინა და ვალდებულების შესრულება. საბუთებზე ხელმოწერისას სიფრთხილე გმართებთ. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიმძიმეების აწევა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ქორწინება. კარგი დღეა მოლაპარაკებებისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, საკომუნიკაციო აპარატთა შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები. **ქვები:** ტოპაზი, ბერილი, ნეფრიტი, აკვამარინი, ჰელიოტროპი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 6 აპრილი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.36 საათზე, ჩადის 18.32 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 08.15 საათზე, ჩადის 23.54 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 08.41 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს შემოქმედებით სილაღეს ბოროტად ნუ გამოიყენებთ. აზრებისა და სიტყვების სისპეტაკე აკონტროლეთ. პარტნიორულ ურთიერთობაში შესაძლებელია განწყობის ცვალებადობა, ფლირტი, ჭირვეულობა. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, ძილის წინ ზედმეტი ინფორმაციის მიღება, სიმძიმეების აწევა, უძრავი ქონების შეძენა, ქორწინება. კარგი დღეა რეკლამისა და ინტერვიუებისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მიმოწერისთვის, სწავლისთვის, მშენებლობისთვის, საკანცელარიო ნივთების, საოფისე ავეჯის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, საფირონი, ჟადეიტი, ჰიაცინტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 7 აპრილი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.34 საათზე, ჩადის 18.33 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.31) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 08.55 საათზე, ჩადის 8 აპრილს 00.01 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 09.11 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.15 საათიდან 19.31 საათამდე. **ტენდენციები: გილოცავთ ხარების დღესასწაულს!** კარგი დღეა რეკლამისა და ინტერვიუებისთვის, მიმოწერისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, საბანკო ოპერაციებისთვის, მოლაპარაკებებისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. **საღამოს** ხელი შეეწყობა შემოქმედებას, ახლობლებთან ურთიერთობას. დღევანდელი სიზმარი საიდუმლოდ შეინახეთ. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი საქმის დაწყება. მაღალია ჭორების, ინტრიგების, დაცინვის, ქურდობის ალბათობაც. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, მხრები, ხელები, კუჭი, მკერდი, ღვიძლი. **ქვები:** ტოპაზი, ჰელიოტროპი, ბერილი, ამაზონიტი, ჰიაცინტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 8 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.33 საათზე, ჩადის 18.34 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 09.42 საათზე, ჩადის 9 აპრილის 00.57 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 09.54 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს საგვარეულო ტრადიციებით იხელმძღვანელეთ. მეტი დრო დაუთმეთ ხანდაზმულ ნათესავებს. პარტნიორობისას ტაქტი და ყურადღება მეტად გამოავლინეთ. შესაძლოა, ძველი საქმის გამო დრო და ენერგია ფუჭად დაიხარჯოს. კარგი დღეა ხერხემლის, ძვლების, სახსრებისა და კბილების სამკურნალოდ, შემოქმედებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ხალხური რეწვის ნიმუშების, ანტიკვარიატის შესაძენად, სასამართლო პროცესის დასაწყებად, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, დაპირებების გაცემა, ხელმოწერამდე საბუთები კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, ოპალი, მარჯანი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 9 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.31 საათზე, ჩადის 18.35 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 10.36 საათზე, ჩადის 10 აპრილს 01.47 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 10.50 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 10.49 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ძირითადი ყურადღება გადაუდებელ საქმეს მიაპყარით. შესაძლოა, ილუზიამ და ცდუნებამ იჩინოს თავი. მაღალია მოტყუების ალბათობა. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, კბილების მკურნალობისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, ხალხური რეწვის საგნების, საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ტექნიკის, ანტიკვარიატის, ცხოველების შესაძენად. არ არის სასურველი ბინის შეცვლა, სესხის აღება, ქორწინება, დაპირებების გაცემა, ალკოჰოლისა და ყავის მიღება, თავის დაბანა. სასიკეთოა დიეტური საკვების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, ოპალი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 10 აპრილი, კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.29 საათზე, ჩადის 18.36 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.01) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 11.36 საათზე, ჩადის 11 აპრილს 02.31 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 11.59 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.01 საათიდან 08.01 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს თქვენი არასწორი ქმედება უკან ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ. დასვენებას ან გადაუდებელ საქმეს დაუთმეთ მეტი დრო. მიღებულ ინფორმაციას (მასმედიის ან ინტერნეტის საშუალებით) კრიტიკულად მიუდექით. არ არის სასურველი ფიზიკური ან ემოციური გადატვირთვა, ნერვიულობა, სიმძიმეების აწევა, ქორწინება, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება. კარგი დღეა ძვირფასი ნივთების და საჩუქრების შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის, გასართობი ღონისძიებისთვის, თმის შეჭრამოვლისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სარდიონი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.





7 აპრილი – ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

✝ **4 აპრილი. ორშაბათი.** მღვდელმოწამისა ბასილისი, ანკვირელი ხუცისა; მოწამისა დროსიდასი, ტრაიანე მეფის ასულისა; ღირსისა ისააკ დალმატელისა.

✝ **5 აპრილი. სამშაბათი.** ღირსმოწამისა ნიკონ ეპისკოპოსისა და ასოთხმოცდაცხრამეტთა მოწამეთა მისთა; მოწამეთა: ფილიტისა და ლიდიასი — მეუღლისა მისისა, მაკედონისა და თეოპრეპესი — ძეთა მათთა, კრონიდესი და ამფილოქესი; მართლისა ბასილი მანგაზეისკელისა.

✝ **6 აპრილი. ოთხშაბათი. წინადღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხარებისა.** ღირსისა ზაქარია მონაზონისა; არტემისა, თესალონიკელი ეპისკოპოსისა; ღირსისა იაკობ აღმსარებელისა, ეპისკოპოსისა.

✝ **7 აპრილი. ხუთშაბათი. ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.**

✝ **8 აპრილი. პარასკევი. წარგზავნა ღმრთისმშობლის ხარების დღესასწაულისა. კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა;** მღვდელმოწამისა ირინეოსისა, სირმიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: ბათუსი და ვერკი ხუცესთა, არპილე მონაწონისა, საეროთა: აბიბოსი, აგნისა, რეასესი, იგათრაქსისა, ისკოისა, შილასი, სიგიცესი, სონირილესი, სვიმბლესი, თერმესი, ფილესი და დედათა: ანასი, ალასი, ლარისასი, მოიკოსი, მამიკასი, უირკოსი, ანიმაისასი, გაათასი —გუთელი დედოფლისა და დუკლიდასი; ღირსისა მალქოს ასურისა; ღირსისა ვასილი ახლისა; ღირსისა თეოფილე იკონომოსისა.

✝ **9 აპრილი. შაბათი. ღმრთისმშობლის დაუჯდომლის შაბათი.** მოწამისა მატრონა თესალონიკელისა; მოწამეთა მანუელისა და თეოდოსისა; ღირსისა იოანე წინამხედველისა, ეგვიპტელისა.

✝ **10 აპრილი. კვირა. დიდმარხვის მე-5 კვირა. ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა;** იოანესი, მანგლელი ეპისკოპოსისა. ღირსისა ილარიონ ახლისა, პელიკიტელი იღუმენისა. ღირსისა სტეფანე სასწაულმოქმედისა, აღმსარებელისა, ტრიგლიელი იღუმენისა; მოწამეთა: იონასი, ბარაქისესი და სხვათა მათთანა; მოწამისა ბოიანისა, ბულგარელი მთავრისა.


იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა



GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC

გიდმედი

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

574-73-46-96, 243-01-17

555-68-82-90




**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. გამბიტი; 8. სასკო; 12. ჯამბაზები; 13. ესკადრა; 14. მარტენი; 15. რილეევი; 16. აკოლადა; 20. მანდარინი; 21. გალიფე; 24. ასიგნატი; 25. ფილიპიკა; 29. ლიკურგი; 30. სონატინა; 31. ნოვატორი; 32. ნიუტონი; 33. მისისიპი; 37. კრემი; 38. ჩირიკი; 41. ციტო; 42. სამართალი; 43. დიდი; 45. ლიტავრა; 46. იდო; 47. ანაბაზისი; 52. ლებანი; 53. ამპირი; 57. ტრანზიტი; 58. ნასიძე; 59. გაბარიტი; 60. ბაზილიკა; 61. ჩიკორი.

შვეულად: 1. გეენა; 2. მაკაო; 3. ინდრა; 4. იჯარა; 5. სმალტა; 6. გაზეთი; 7. მერიმე; 8. სიმინდი; 9. სირტაკი; 10. ონეგინი; 11. კრიტიკა; 17. კოსმოსი; 18. ლეგრანი; 19. დიალიზი; 21. გილანი; 22. ლაკმუსი; 23. ფურგონი; 25. ფინიკი; 26. ლივრეტი; 27. პატრიცი; 28. კარიატიდი; 33. მესია; 34. სამბა; 35. სირმა; 36. პიაფი; 38. ჩილი; 39. რატომ; 40. კევრი; 43. დალი; 44. დაბლარი; 46. ინდიგო; 48. ნარმა; 49. ბონდი; 50. ზაირი; 51. საიგა; 53. ალბა; 54. პური; 55. რეტი; 56. დელი.

**მარიაჟილეტიციალიმონიავარიანაბადიშიფერიალი**
**კაფელიტერილენინიპელიკანიბალისტადიონისესია**

| ქორწილი (ფრანგ.) | ... კასტა | ციტრუსი | ავტო-კატასტროფა | მწყემსების მოსასხამი | გერმანელი მოდელი | ავი სული |
|---|---|---|---|---|---|---|

| მომღერალი ... კალასი | მამაკაცის უსახელო სამოსი | ციმციმი | ქართველი მსახიობი მამაკაცი | ბარბადოსელი მომღერალი | შვილიშვილი | ზღაპრული ბრძნეული ქალი | ვივ-იენ ... |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ჭადრაკის პარტიის ერთ-ერთი დასაწყისი; 8. ქართული სამშენებლო კომპანია; 12. რ. ლეონკავალოს ოპერა; 13. სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების დიდი შენაერთი; 14. ფოლადის გამოსადნობი ღუმელი; 15. რუსი მწერალი; 16. ფრჩხილი, რომელიც აერთებს რამდენიმე ხუთხაზიან სანოტო სისტემას; 20. ციტრუსი; 21. ერთგვარი სამხედრო შარვალი; 24. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში გამოშვებული ქაღალდის ფული; 25. მკაცრი მამხილებელი სიტყვა, გამოსვლა ვისიმე წინააღმდეგ; 29. ლეგენდარული სპარტელი კანონმდებელი; 30. პატარა, მარტივი სონატა; 31. რაიმე დარგში სიახლის შემტანი ადამიანი; 32. ინგლისელი ფიზიკოსი; 33. მდინარე აშშ-ში; 37. ტორტის მოსართავი მასა; 38. გოგლა — „... და ჩიკოტელა“; 41. ცხოველურ ან მცენარეულ უჯრედებთან დაკავშირებული რთული სიტყვის ნაწილი; 42. მეცნიერების დარგი; 43. პატარას საპირისპირო; 45. სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 46. ხელოვნური ენა; 47. ძველი ბერძენი მწერლის ქსენოფონტის თხზულება; 52. კაკლის გულის ნახევარი; 53. სტილი არქიტექტურაში; 57. მგზავრთა გადაყვანა გზაზე მდებარე პუნქტების გავლით; 58. ქართველი კომპოზიტორი; 59. საგნის ზღვრული გარემოხაზულობა; 60. უგუმბათო ტაძარი; 61. ერთგვარი სათამაშო, ბზრიალა.

შვეულად: 1. ჯოჯოხეთის ცეცხლი; 2. ბრაზილიური თუთიყუში; 3. ღმერთების ხელმწიფე ვედიზმში; 4. არენდა; 5. სამოზაიკე მინა; 6. პერიოდული გამოცემა; 7. ფრანგი მწერალი; 8. მარცვლოვანი კულტურა; 9. ბერძნული ცეკვა; 10. ა. პუშკინი „ევგენი ...“; 11. ლიტერატურული ჟანრი, მიძღვნილი ნაწარმოების გარჩევისადმი; 17. სამყარო, როგორც მთლიანობა; 18. ფრანგი კომპოზიტორი; 19. სისხლის გაწმენდის პროცესი თირკმლების დაავადებისას; 21. ჯგუფი „დიფ ფარფლის“ სოლისტი; 22. ქიმიური ინდიკატორი; 23. გადახურული სატვირთო ოთხთვალა საზიდარი; 25. ინდისხურმა; 26. ოთახის მოკლებეწვიანი ძაღლი; 27. პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი ძველ რომში; 28. შენობის კოჭების საყრდენი კოლონა, რომელიც ქალის ქანდაკებას წარმოადგენს; 33. ზეციური მხსნელი; 34. ბრაზილიური ცეკვა; 35. ოქრომჭედი; 36. ფრანგი მომღერალი ქალი; 38. წიწაკის სახეობა; 39. რისთვის? 40. ძველებური იარაღი პურეულის სალეწად; 43. ნადირობის ქართული ქალღმერთი; 44. დაბალი ვაზი; 46. მუქი ლურჯი საღებავი ნივთიერება; 48. უხეში მიტკალი; 49. ი. ფლემინგის აგენტი 007; 50. აფრიკის სახელმწიფო; 51. სტეპების წყვილჩლიქოსანი ცხოველი; 53. ამერიკელი მსახიობი ჯესიკა ...; 54. „ჩვენი არსობის“ საჭმელი; 55. თავბრუ; 56. ინდოეთის დედაქალაქი.

კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე

| კედელზე გასაკრავი ფილები | ლავსანის სახელწოდება ინგლისში | მილების გადასაბმელი ლითონის მილაკი | კატიჭამია, ველური | სპორტული ნაგებობა | პარლამენტის პერიოდული სხდომა |
|---|---|---|---|---|---|

| პატარა რესტო-რანი | პირობითი ასოითი ნიშანი | პროლე-ტარიატის ბელადი | ვარხვი | ლოდს-ატყორცნი მანქანა (ძვ.) | ღვინის ბერძნ. ღმერთი | ჩამონა-თვალი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზვიადისტური
ასავალ დასავალი
2022 წლის 4 – 10 აპრილი №15 (1427)
გამოდის ორშაბათობით

მედიაკორპორაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
სარედაქციო კოლეგია

აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol

**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**